

გიორგი ნულაძე
ავთანდილ სულაბერიძე
ნიკა მაღლაფერიძე
გიორგი მამარდაშვილი

საქართველოს დემოგრაფიული

განვითარება:

გუგინ, ღღეს, სვალ

თბილისი

2008



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი



საქართველოს დემოგრაფიული ბანკითარება:

ბუშინ, დღეს, სვალ

ბიორბი ვულაძე
ავთანდილ სულაბერიძე
ნიკა მაღლაფერიძე
ბიორბი მამარლაშვილი

თბილისი
2008

ნაშრომი მკითხველს აცნობს საქართველოში 1960-2006 წლებში მიმდინარე ისეთ დემოგრაფიულ პროცესებს, როგორც არის შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება და სხვა და მოცემულია დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები 2050 წლამდე. ამასთან, როგორც მოსახლეობის რაოდენობა, ისე დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობა ახლებურად არის წარმოდგენილი.

რედაქტორები:

გოგი ლორთქიფანიძე
ნინო გომელაური

ტექსტი პერსონალურ კომპიუტერზე მოამზადა მარინა ხაჩატუროვამ

© ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წიგნი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში

ISBN 978-9941-0-0492-6

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	5
1. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება 1960-2000 წლებში.....	7
1.1. მოსახლეობა.....	7
1.2. შობადობა.....	15
1.3. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა.....	28
1.4. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება.....	45
1.5. ქორწინება.....	48
1.6. განქორწინება.....	56
1.7. გარე მიგრაცია.....	61
2. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება 2001-2006 წლებში.....	68
2.1. მოსახლეობა.....	68
2.2. შობადობა.....	71
2.3. სქესობრივი ურთიერთობა, ხელოვნური აბორტი და კონტრაცეპცია.....	78
2.4. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა.....	83
2.5. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება.....	97
2.6. ქორწინება და განქორწინება.....	99
2.7. გარე მიგრაცია.....	103
2.8. ეროვნული შემადგენლობა (1959-2006 წლები) და ეთნოდემოგრაფიული პროცესები.....	108
3. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები.....	114
3.1. მოსახლეობა.....	114
3.2. შობადობა.....	116
3.3. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა.....	117
3.4. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება.....	118
4. საქართველო და მსოფლიო.....	120
4.1. მოსახლეობა.....	120
4.2. შობადობა.....	122
4.3. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა.....	124
4.4. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება.....	128
4.5. საერთაშორისო (გარე) მიგრაცია.....	131
ბოლოსიტყვაობა.....	133
დ ა ნ ა რ თ ი 1. დემოგრაფიული მაჩვენებლები.....	136
დ ა ნ ა რ თ ი 2. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები.....	159
დ ა ნ ა რ თ ი 3. საქართველო და მსოფლიო.....	160
Demographic Development of Georgia: Yesterday, Today, Tomorrow. Summary.....	173

წინასიტყვაობა

2002 წელს გიორგი წულაძის, ნიკა მაღლაფერიძის და ალექსანდრე ვადაჭკორიას ავტორობით გამოვიდა ნაშრომი “საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000)”.

აღნიშნულ ნაშრომში როგორც მოსახლეობის რაოდენობა, ისე დემოგრაფიული პროცესების მსვლელობა ახლებურად იყო წარმოდგენილი. პრაქტიკულად მკითხველი გაეცნო საქართველოს ახალ დემოგრაფიულ სურათს 1960 წლიდან 2000 წლის ჩათვლით.

წინამდებარე ნაშრომი, გარკვეულწილად ზემოთ აღნიშნულის გაგრძელებას წარმოადგენს და მასში ასახულია დემოგრაფიული ვითარება 2001-2006 წლებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2002 წელს საქართველოში ჩატარდა მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა. აღწერის შედეგებიდან გამომდინარე მოხდა 1989 და 2002 წლების აღწერათა შორის პერიოდში არსებული დემოგრაფიული მაჩვენებლების გადაანგარიშება. ამდენად, მოცემულ ნაშრომში 1989-2000 წლების სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, რომლებიც “საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000)” წიგნში იყო წარმოდგენილი, კორექტირებულია. აღნიშნული პერიოდისათვის უცვლელი დარჩა შეფასებითი მონაცემები.

უნდა ითქვას, რომ ახალი ნაშრომი არ იმეორებს მხოლოდ 1989-2000 წლების მონაცემებს, არამედ მოტანილია “ძველი” და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გადაანგარიშებული დემოგრაფიული მაჩვენებლების შედარება.

დემოგრაფიული პროცესების შედეგები მოსახლეობის რაოდენობასა და მის ასაკობრივ-სქესობრივ შემადგენლობაში აისახება. თავის მხრივ, მოსახლეობის რაოდენობა და მისი ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს დემოგრაფიული პროცესების დონესა და ინტენსივობას.

მოსახლეობა და მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები ერთიანი დემოგრაფიული სისტემის სახით წარმოგვიდგება. დემოგრაფიული სისტემის შემადგენელი ელემენტები (მოსახლეობა, შობადობა, მოკვდაობა, გარე მიგრაცია და სხვა) მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება. ერთი რომელიმე მათგანის ცვლილება აისახება სხვებშიც, იწვევს რა მათ ცვალებადობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხშირად საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, თუ დემოგრაფიული სისტემის რომელი შემადგენელი ელემენტიდან დავიწყოთ ნაშრომი. ერთ შემთხვევაში შეიძლება შობადობა-მოკვდაობისა და გარე მიგრაციის დახასიათებით ნაშრომის დაწყება და მოსახლეობისა და მისი შემადგენლობის მათ შემდეგ განხილვა, როგორც შედეგის, ხოლო მეორე შემთხვევაში – მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებით დაწყება.

“საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000)” – ადრეული ნაშრომი გარკვეულწილად ახლებური დიზაინით იყო აგებული. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ნაშრომის ცალკეული ნაწილების განლაგებას – დემოგრაფიული სისტემის შემადგენელი ელემენტების განხილვა-ანალიზის განთავსებას. როგორც ჩანს “კლასიკური” სქემა როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ზოგადად მკითხველისათვის უფრო მისაღები აღმოჩნდა.

ამიტომ მოცემულ შემთხვევაში, ნაშრომის ცალკეული ნაწილი განლაგებულია დემოგრაფიაში დამკვიდრებული წესისა და ტრადიციის მიხედვით.

მკითხველისათვის ნათელი რომ იყოს და მთლიანობაში გაიაზროს დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობა, მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ნაშრომი “საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2006-2050)” თავდაპირველად იწყება 1960-2000 წლების დემოგრაფიული ვითარების

მოკლე მიმოხილვით, რომელიც ხშირ შემთხვევაში იმეორებს “საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000)” წლების ანალიზს.

ამის შემდეგ კი განხილულ-გაანალიზებულია 2001-2006 წლების დემოგრაფიული ვითარება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოგრაფიული ინდიკატორების ბოლო პროგნოზი ჩვენს მიერ 2003 წელს იქნა გაკეთებული. მოცემულ ნაშრომში, ახალი მონაცემების საფუძველზე, ნახვენებია საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები 2050 წლამდე.

ნაშრომის ბოლო ნაწილში – “საქართველო და მსოფლიო” – შედარებულია საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები და ნახვენებია დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები.

ავტორები დიდ მადლობას უხდიან ყველას, ვინც დახმარება აღმოუჩინა ნაშრომზე მუშაობისას.

სიმბოლოების აღნიშვნა

მონაცემები არ არის
შემთხვევა არ არის	—
სიდიდის მნიშვნელობა მცირეა	0 ან/და 0.0

1. საქართველოს დემოკრატიული განვითარება 1960-2000 წლებში

1.1. მოსახლეობა

მიჩნეულია, რომ სანდო მონაცემები მოსახლეობის რაოდენობისა და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის შესახებ მოსახლეობის აღწერებისას მიიღება.

მოსახლეობის რაოდენობის აღწერათაშორის პერიოდში, ქვეყნის მოსახლეობის და მისი ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის გაანგარიშებებში გათვალისწინებულია შობადობა, მოკვდაობა და გარე მიგრაცია.

ამდენად, მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრის სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული დაბადებათა, გარდაცვალებათა და გარე მიგრაციის მიმდინარე აღრიცხვის სრულფასოვნებაზე.

საქართველოში მოსახლეობის ბოლო აღწერა 2002 წლის იანვარში ჩატარდა. იქამდე მოსახლეობის აღწერა 1989 წლის იანვარში იქნა ჩატარებული. აღწერათაშორის პერიოდში, კერძოდ, 1990-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს მოჰყვა დემოგრაფიული შემთხვევებისა და მიგრაციის რეგისტრაციის გაუარესება, რის შედეგადაც გართულდა მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე ოფიციალური სტატისტიკის პარალელურად გაჩნდა არაოფიციალური სტატისტიკა, მეცნიერულ შეფასება-გაანგარიშებების სახით (შემდგომში შეფასება), რომლის მონაცემები, არაიშვიათად, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და განსხვავდება საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის (შემდგომში ცხრილებსა და დიაგრამებში – სდ) შესაბამისი მონაცემებისა და მაჩვენებლებისაგან.

1990-იანი წლების მოსახლეობის რაოდენობის აღნიშნული შეფასება-გაანგარიშებები, ისევე როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი გაანგარიშებები, ძირითადად 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებს ეფუძნება.

მაგრამ იყო კი 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი?

სანამ მოცემულ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოგვიწევს 1989 წლამდე არსებული დემოგრაფიული მონაცემების განხილვა-გაანალიზება. მოცემულ შემთხვევაში, საწყისად 1959 წლის აღწერის შედეგად დადგენილ მოსახლეობის რაოდენობას და მის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას ავიღებთ.

აღნიშნული რამდენიმე მიზეზითაა განაპირობებული. ჯერ ერთი, 1959 წლამდე მოსახლეობის აღწერა მხოლოდ 1939 წელს, ანუ დიდი ხნით ადრე ჩატარდა; მეორე, მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მონაცემები იდეალურად სანდოც რომ იყოს, ომმა თავისი, ასე ვთქვათ, კორექტივები შეიტანა. შეიტანა იმ თვალსაზრისით, რომ ომში დაღუპულთა რაოდენობა სადღეისოდაც საკამათოა და ზუსტი კი არა, მიახლოებითი რაოდენობის განსაზღვრაც კი რთულია.

ამდენად, 1959 წლის აღწერის მონაცემები, მოსახლეობის რაოდენობისა და მისი ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის შესახებ, ჩვენს შემთხვევაში, საბაზისოდ იქნა მიჩნეული შემდგომი გაანგარიშებებისათვის.

ცხრილში 1.1. მოცემულია მოსახლეობის რაოდენობა აღწერების მიხედვით, ბუნებრივი მატება, გარე მიგრაცია (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით) და მათგან გამომდინარე შედეგები.

ცხრილი 1.1. მოსახლეობის რაოდენობა, ბუნებრივი მატება, გარე მიგრაცია და საერთო მატება საქართველოში 1959-1999 წლებში (სდ მონაცემებით) და მათგან გამომდინარე შედეგები (ათასი)

პერიოდი	მოსახლეობის რაოდენობა			ბუნებრივი მატება ¹	გარე მიგრაციის საღდო	საერთო მატება	წელი	საერთო მატებიდან გამომდინარე მოსახლეობის რაოდენობა იქნება		სხვაობა ⁴	
	პერიოდის დასაწყისი	პერიოდის ბოლო	სხვაობა								
1959-1970	4044	4686	642	724	-90	634	1970	4678	4678	8	8
1970-1979	4686	4993	307	477	-140	337	1979	5015 ²	5023 ³	-22	-33
1979-1989	4993	5400	407	487	-175	312	1989	5327 ²	5305 ³	73	95
1959-1989	4044	5400	1356	1688	-405	1283	1989	5327		73	

¹ 1959-1969, 1970-1978, 1979-1988.

² წინა პერიოდის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

³ მხოლოდ აღწერების დროს მიღებული მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

⁴ სხვაობა მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული და საერთო მატებიდან გამომდინარე მოსახლეობის რაოდენობას შორის.

ცხრილში მოტანილი ოფიციალურად რეგისტრირებული მოსახლეობის გარე მიგრაციისა და ბუნებრივი მატების მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1989 წლისათვის იქნებოდა 73-95 ათასით ნაკლები, ვიდრე იმავე დროს მოსახლეობის აღწერის მიერ იყო დაფიქსირებული.

ამასთან, იგივე მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ როგორც 1970, ისე 1979 და 1989 წლის აღწერების დროს აღრიცხული მოსახლეობის რაოდენობა არ შეესაბამება ბუნებრივი მატებისა და გარე მიგრაციის არსებული მონაცემებიდან გამომდინარე მოსახლეობის რაოდენობას.

იმასაც თუ გაითვალისწინებთ, რომ 1960-1989 წლებში, საქართველოში, გარდაცვლილთა არასრულ რეგისტრაციას ჰქონდა ადგილი, მაშინ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1989 წლისათვის კიდევ უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიერ იყო დადგენილი და ზემოთ მოტანილი გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს.

გარდა ამისა, მოსახლეობის აღწერებისას, ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, შეიმჩნევა აშკარა შეუსაბამობა მათ რაოდენობასა და დემოგრაფიულ მონაცემებს შორის. მაგალითად, 1970 წლის აღწერით, რომლის კრიტიკული მომენტი 15 იანვარი იყო, ერთ წლამდე ასაკის მოსახლეობა 71,9 ათასით განისაზღვრა. 1969 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ 87,1 ათასი შეადგინა. იმავე წელს, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ერთ წლამდე ასაკში გარდაიცვალა 2,5 ათასამდე ბავშვი. ამდენად, რთული გამოსათვლელი არ არის, რომ ერთ წლამდე ასაკის მოსახლეობა, 1970 წლის იანვარში, უნდა ყოფილიყო დაახლოებით 84 ათასის ფარგლებში. ერთ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა, აღნიშნული სხვაობიდან გამომდინარე (87,1 ათასი – 71,9 ათასი), 15 ათასის ფარგლებში იყო, მაშინ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი დაახლოებით 170-ზე მეტი გამოდის (ათას დაბადებულზე), რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და პრაქტიკულად შეუძლებელია იმ დროისათვის.

მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ 1969 წელს, გარე მიგრაციის უარყოფითი საღდო ერთ წლამდე ასაკის მოსახლეობაში 15 ათასი იყო, ესეც ნაკლებად მისაღებია. 1969 წელს, საქართველოსათვის, სტატისტიკის დეპარტამენტის

მონაცემებით, გარე მიგრაციის უარყოფითმა საღდომ მხოლოდ 8,6 ათასი შეადგინა. მოტანილი კი საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ 1970 წლის მოსახლეობის აღწერა სათანადოდ არ იყო ჩატარებული.

მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მოსახლეობის 1979 წლის აღწერისას¹.

ზოგიერთ შემთხვევაში ასევე ნაკლებად სანდოა მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში მოსახლეობის რაოდენობის მიმდინარე გაანგარიშებების ოფიციალური მონაცემები. მაგალითად, 1987 წელს საქართველოს მოსახლეობა განსაზღვრულია 5266 ათასის ტოლად, ხოლო 1988 წელს – 5397 ათასად. 1987 წელს ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 48,3 ათასი, ხოლო გარე მიგრაციის საღდო უარყოფითი იყო და 19,9 ათასს შეადგენდა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1988 წლის დასაწყისისათვის უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 5295 ათასისა და არა 5397 ათასის ტოლი, როგორც ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარეობს (5266 ათასი + 48,3 ათასი – 19,9 ათასი = 5294,4 ათასი). ანუ, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1988 წელს, ოფიციალური მონაცემებით, 102 ათასით მეტი იყო (5397 ათასი – 5295 ათასი = 102 ათასს), ვიდრე ეს ბუნებრივი მატებისა და გარე მიგრაციის იგივე ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარეობდა.

მეორე შემთხვევაში, ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარე, 1989 წლის 12 იანვრისათვის 1988 წლის 1 იანვართან შედარებით საქართველოს მოსახლეობა სულ 3 ათასით არის მომატებული (5400 ათასი – 5397 ათასი). მაშინ, როდესაც 1988 წელს ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 44,4 ათასი, ხოლო გარე მიგრაციამ – მინუს 13,3 ათასი. აქედან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობა 1989 წლის 1 იანვრისათვის უნდა ყოფილიყო 5428,1 ათასი და არა 5400 ათასი.

საერთო ჯამში, თუ მოსახლეობის 1987 წლის რაოდენობიდან გამოვალოთ, საქართველოს მოსახლეობა 1989 წლის დასაწყისისათვის უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 5325,5 ათასი და 12 დღეში, აღწერის კრიტიკული მომენტისათვის, ვერ მოიმატებდა 74-75 ათასით. იმდროინდელი ბუნებრივი მატების და გარე მიგრაციიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობას 12 დღეში შეიძლება მოემატა 1,5 ათასით.

მსგავსი უზუსტობების სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლება.

რაც შეეხება 1990-2000 წლებს, 1980-იან წლებთან შედარებით, დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვა კიდევ უფრო გაუარესდა. დაბადებულთა და გარდაცვლილთა არასრულმა რეგისტრაციამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ ამის არ დანახვა შეუძლებელია.

გარე მიგრაციის გაზრდილი ინტენსივობის პირობებში, სწორედ გარე მიგრაციის აღრიცხვის გაუარესების შედეგად, 1996 წლიდან, გარე მიგრაციის უარყოფითი საღდო, ოფიციალური მონაცემებით, ნაკლები გამოდიოდა 1980-იან წლებთან შედარებით. 1997 წლიდან გარე მიგრაციის სტატისტიკა საერთოდ გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ამავე დროს, 1990-1995 წლების გარე მიგრაციის ოფიციალური სტატისტიკაც ვერ ასახავდა რეალურად მიმდინარე პროცესებს.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ შორს იქნებოდა ფაქტობრივი რაოდენობისაგან.


¹ მოსახლეობის 1979 წლის აღწერის მონაცემებით, ერთ წლამდე ასაკის მოსახლეობა იყო 73,4 ათასი. 1978 წელს რეგისტრირებული იყო 88,8 ათასი ცოცხლად დაბადებული და 2,5 ათასამდე ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვი. მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ აღწერისას ერთ წლამდე ასაკის მოსახლეობა იქნებოდა 86 ათასის ფარგლებში, ანუ განსხვავება 12 ათასს აღემატება.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1960-2000 წლების პერიოდში, ოფიციალური მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მათ შორის აღწერებისას, არაზუსტი და ნაკლებად სანდო იყო. მოსახლეობის აღწერებისას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ასაკობრივი ჯგუფი აშკარად ნაკლები რაოდენობით იყო განსაზღვრული ფაქტობრივად არსებულთან შედარებით, მთლიანობაში, მოსახლეობის საერთო რაოდენობა გადამეტებით იყო წარმოდგენილი (1979 წლის გარდა). ჩვენი აზრით, მოსახლეობის რაოდენობის ასეთი გადამეტება იმ დროის ხელისუფლების ინტერესების შედეგებიდან გამომდინარეობდა, რომელსაც, სხვადასხვა მიზეზით, აწყობდა ფაქტობრივთან შედარებით მოსახლეობის მეტი რაოდენობის ჩვენება.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემები კიდევ უფრო ნაკლებად სანდო აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ 1960-2000 წლებში გარდაცვლილთა არასრული რეგისტრაციიდან გამომდინარე გარდაცვლილთა შესაძლებელ რაოდენობას.

გარდაცვლილთა და გარე მიგრაციის არასრული აღრიცხვის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა, 1960-2000 წლებში, ჩვენი შეფასებით, განსხვავებულია საქართველოს მოსახლეობის იმ რაოდენობისაგან, რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ არის წარმოდგენილი (გადაანგარიშებამდე). ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი დიაგრამა.

დიაგრამა 1.1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) 1960-2000 წლებში სდ (გადაანგარიშებამდე) და ჩვენი შეფასებითი მონაცემების მიხედვით



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2001. Tbilisi, 2002, p. 16-17.


როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტის და ჩვენს მიერ გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობას შორის არსებული სხვაობა 1960 წლიდან სულ იზრდება. 1970 წელს ეს სხვაობა 107 ათასი იყო, 1980 წელს – 157 ათასი, 1990 წელს – 236 ათასი, ხოლო 2000 წელს სხვაობამ 1028 ათასი შეადგინა. ამრიგად, ჩვენი შეფასებითი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960-2000 წლებში ყოველთვის ნაკლები იყო სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამის მონაცემებთან შედარებით. ამასთან, ჩვენი შეფასებით, 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდება, მაშინ, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტის გაანგარიშებები მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ასახავენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სტატისტიკის დეპარტამენტმა 2002 წლის

აღწერის მონაცემების საფუძველზე გადაიანგარიშა აღწერათაშორისი პერიოდის (1990-2001 წწ.) მოსახლეობის რაოდენობა.

ამ გადაანგარიშებისა და გადაანგარიშებამდელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე.

დიაგრამა 1.2. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა სდ და ჩვენი შეფასებითი მონაცემებით 1990-2000 წწ.



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2001. Tbilisi, 2002, pp. 16-17; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, pp. 16-17.

როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ გადაანგარიშებამდე და გადაანგარიშების შემდეგ, მნიშვნელოვნად განსხვავდება. 2000 წლისათვის სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებული მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 665,3 ათასით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე გადაანგარიშებამდე იყო მიჩნეული. მიუხედავად ამისა, 2000 წლისათვის, სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებულ და ჩვენი შეფასებით განსაზღვრულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას შორის განსხვავება საგრძნობია. კერძოდ, ჩვენი შეფასებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 362,5 ათასით ნაკლები იყო, ვიდრე სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებული მონაცემებით.

დიაგრამა 1.3. საქართველოს მოსახლეობის საერთო მატება-კლება (ათასი) 1960-2000 წლებში (ჩვენი შეფასებითი მონაცემებით)




წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ შემდეგი მონაცემების საფუძველზე – G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, pp. 16-17.

მოტანილი დიაგრამა 1.3. აშკარად გვიჩვენებს, რომ საქართველოში 1960-1991 წლებში, მართალია სხვადასხვა სიდიდით, მაგრამ მოსახლეობის მატებას ჰქონდა ადგილი, რომელიც 1992 წლიდან კლებით შეიცვალა.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960-1991 წლებში გაიზარდა 1099 ათასით, ხოლო 1992-2000 წლებში დაიკლო 882 ათასით.

მოსახლეობის საერთო მატებაში ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობას (მიგრაციას) განსხვავებული წილი ჰქონდა (იხ. დიაგრამა 1.4.)

დიაგრამა 1.4. მოსახლეობის საერთო მატების (კლების) კომპონენტები საქართველოში 1960-2000 წლებში, ათასობით (გარე მიგრაცია: 1960-1989 წწ. – სდ, 1990-2000 – ჩვენი შეფასებითი მონაცემებით; ბუნებრივი მატება – ჩვენი შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ შემდეგი მონაცემების საფუძველზე – საქართველოს მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003, გვ. 67; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, pp. 38-39, 186.

მოელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი მატება მცირდებოდა და პერიოდის ბოლოსათვის ნულთან სიდიდემდე დავიდა, მისი მნიშვნელობა მაინც დადებითი იყო, მაშინ, როდესაც გარე მიგრაციის სალდო უარყოფითი იყო.

1992 წლამდე მოსახლეობის ბუნებრივი მატების სიდიდის მეტობა გარე მიგრაციის უარყოფით სალდოზე ძირითადად განსაზღვრავდა საქართველოს მოსახლეობის საერთო მატებას. 1992 წლიდან კი, ერთი მხრივ, ბუნებრივი მატების მკვეთრმა შემცირებამ და მეორე მხრივ, ემიგრაციის ინტენსივობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, მომდევნო წლებში განაპირობა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება.

ამდენად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი ფორმირების ძირითად კომპონენტს 1960-1991 წლებში ბუნებრივი მატება, ხოლო 1992-2000 წლებში გარე მიგრაცია წარმოადგენდა.

2000 წელს 1959 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივმა შემადგენლობამ.


2000 წელს 1959 წელთან შედარებით ძირითადად შემცირდა 10 წლამდე ასაკის ორივე სქესის მოსახლეობის რაოდენობა და 20-24 წლის ასაკის ქალების რაოდენობა. დაახლოებით იგივე დარჩა 20-34 წლის ასაკის მამაკაცების და 25-29 წლის ასაკის ქალების რაოდენობა. ამავე დროს გაიზარდა 35 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო შობადობის შემცირების პროცესით. მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის ცვლილებას ნათლად ასახავს დიაგრამა 1.5.-ზე მოტანილი

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა, საიდანაც ასევე აშკარად ჩანს დემოგრაფიული დაბერებაც.

დემოგრაფიული დაბერების შეფასებისათვის ძირითადად ორი სკალა გამოიყენება. ერთ-ერთია უბოჟე-გარნიეს მიერ შემუშავებული და ეროსეტის მიერ განვითარებული სკალა, სადაც დემოგრაფიული სიბერე განისაზღვრება 60 და უფროსი ასაკის პირთა წილით (%) მთელ მოსახლეობაში.

ე. როსეტის სკალიდან გამომდინარეობს, რომ მთელ მოსახლეობაში, თუ 60 და უფროსი ასაკის პირთა წილი 12 და მეტი პროცენტია, მაშინ დემოგრაფიულ დაბერებას აქვს ადგილი (დაბერებული მოსახლეობის წილიდან გამომდინარე გამოიყოფა სიბერის სხვადასხვა დონე).

დიაგრამა 1.5. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა 1059 და 2000 წლებში (სდ მონაცემებით)




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze. Demographic Yearbook of Georgia 1999. Tbilisi, 2000, p. 24-25.

გაეროს დემოგრაფების მიერ შემუშავებული სკალისას გაითვალისწინება 65 და უფროსი ასაკის პირთა წილი (%) მთელ მოსახლეობაში. ასეთ პირთა წილი, თუ 7 პროცენტზე მეტია, მაშინ მოსახლეობა დაბერებულად მიიჩნევა.

ქვემოთ ჩვენ ორივე სკალას გამოვიყენებთ.

დიაგრამა 1.6. დემოგრაფიული დაბერების პროცესი საქართველოში – 60 და 65 და უფროსი ასაკის პირთა წილი მთელ მოსახლეობაში (შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, pp. 30-32.

როგორც ვხედავთ საქართველოს მოსახლეობა, 1970 წელს, როსეტის სკალით დემოგრაფიული სიბერის ზღვარზე იმყოფებოდა, ხოლო გაეროს სკალით – დემოგრაფიული სიბერე უკვე დაწყებული იყო. 1979 წლისათვის საქართველოში დემოგრაფიული დაბერების ეტაპი დაწყებული იყო, თუმცა ამ დროისათვის დემოგრაფიული სიბერის მხოლოდ საწყისი დონე იყო.

განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა დემოგრაფიული დაბერების პროცესი 1992-1997 წლებში. ამას ორი მიზეზი განაპირობებდა. ერთი ის არის, რომ 1992-1993 წლებში მოხდა შობადობის მკვეთრი და მნიშვნელოვანი შემცირება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო დონეზე დაბლა, რომელიც, გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, შემდგომშიც პრაქტიკულად ასეთივე დონეზე დარჩა. მეორე მიზეზად კი წარმოგვიდგება ემიგრაციის ინტენსიუობის მაღალი დონე, რომელშიც ძირითადად 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა მონაწილეობდა.

მართალია, 1998 წლიდან დემოგრაფიული დაბერების პროცესი რამდენადმე შენედა, მაგრამ უკვე 1996 წლიდან საქართველოში ფორმირებულ დემოგრაფიული სიბერის ძალიან მაღალ დონეზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ქალების დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო და არის, ვიდრე მამაკაცების. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების სიცოცხლის უფრო მაღალი ხანგრძლივობით.

სხვაობა ქალებისა და მამაკაცების დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებლებს შორის ნაკლები იყო, მაგრამ თანდათან გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო მამაკაცების ჭარბმოკვდაობის ზრდით. 1990 წლის შემდეგ აღნიშნული სხვაობა არ გაზრდილა, ხოლო ბოლო წლებში კლებაც კი შეიმჩნევა.

1.2. შობადობა

შობადობის ნებისმიერი მაჩვენებლის ანალიზი ეფუძნება ინფორმაციას დაბადებულთა რაოდენობის შესახებ. ამიტომ, რაც უფრო სრულფასოვანია დაბადებათა რაოდენობის აღრიცხვა, მით უფრო სანდოა საბოლოოდ გაანგარიშებული ესა თუ ის მაჩვენებელი და მის საფუძველზე ჩატარებული ანალიზი და გამოტანილი დასკვნები.

დაბადებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო არსებობს: 1) მოსახლეობის აღწერები, 2) მიმდინარე აღრიცხვა, 3) სპეციალური შერჩევითი გამოკვლევები.

მოსახლეობის აღწერები მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით ტარდება და ძალიან მაღალი სანდოობის შემთხვევაშიც ყოველთვის რჩება საკითხი დაბადებულთა რაოდენობის შესახებ აღწერების შუა პერიოდში.

ამიტომ დაბადებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მიიღება მიმდინარე აღრიცხვის მეშვეობით სტატისტიკური ორგანოების მიერ.


საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, დაბადებულთა მიმდინარე აღრიცხვას აწარმოებენ როგორც სარ (სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია; ადრე მმჩ-ი) ორგანოები, რომელთაგან შესაბამისი ინფორმაცია საბოლოოდ სტატისტიკის დეპარტამენტში იყრის თავს, ისე სამშობიარო სახლები და, ზოგადად რომ ვთქვათ, ჯანდაცვა, რომელიც სამშობიაროების გარდა მოიცავს ბინაზე დაბადებათა ნაწილს მაინც.

შერჩევითი გამოკვლევები თვითონ შეიცავენ გარკვეული სიდიდის რეპრეზენტატულობის შეცდომას. ამასთან, მათი შედეგების განზოგადებისათვის ხშირად საჭიროა იმ სახის ინფორმაცია, რომელიც პრობლემატურია. მიუხედავად ამისა, შერჩევითი გამოკვლევების შედეგები გამოსადეგია შეფასებებისათვის.

გარდა ამისა, როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე შობადობის დონის განსაზღვრის შემთხვევაშიც არის ცალკეულ მეცნიერთა გაანგარიშება-შეფასებები. თუმცა დაბადებულთა რაოდენობის შესახებ სანდო ინფორმაცია საბოლოოდ მაინც მიმდინარე აღრიცხვის სიზუსტეზეა დამოკიდებული.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

დიაგრამა 1.7. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა სდ და გაეროს ექსპერტთა მონაცემებით




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia. 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 38-39; World Population Prospects. The 1998 Revision. V.1: Comprehensive Tables. UN, N-Y, 1999, p. 200.

ცოცხლად დაბადებულთა შესახებ სტატისტიკის დეპარტამენტის

მონაცემებსა და გაეროს ექსპერტთა შეფასებას თუ შევადარებთ, დავინახავთ გარკვეულ განსხვავებას (იხ. დიაგრამა 1.7).

1960-1965 წლებში, გაეროს ექსპერტების შეფასებით, საქართველოში დაბადებათა არასრული აღრიცხვა 6%-ის ფარგლებში იყო. დაბადებათა აღრიცხვის კარგი მოცვა შეიმჩნევა 1965-1980 წლებში. 1980 წლიდან დაბადებათა რეგისტრაციის მოცვა უარესდება და ძალიან დიდ მასშტაბს აღწევს 1995-2000 წლებში (არასრული აღრიცხვის წილი – 26-27%-ის ფარგლებშია).

დიაგრამა 1.8. დაბადებათა და 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობის დინამიკა საქართველოში 1960-2000 წლებში, ათასობით (ჩვენი შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 43; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia. 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, pp. 22-24, 38-39.

როგორც ვხედავთ, 1960-1979 წლებში ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობის მატების მიუხედავად, დაბადებათა რაოდენობა საქართველოში კლებულობდა. ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობა, წინა პერიოდთან შედარებით, 1990-იან წლებში შემცირდა, თუმცა იმავე დროს დაბადებათა რაოდენობამ გაცილებით მნიშვნელოვნად იკლო. მაგალითად, 2000 წელს, 1960 წელთან შედარებით საქართველოში 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა 10% შემცირდა, ხოლო დაბადებათა რაოდენობა – 2-ჯერ.

ცხრილი 1.2. დაბადებულთა ფაქტობრივი და ჰიპოთეზური რაოდენობის ცვლილება საქართველოში 1990-2000 წლებში (ათასი)

წელი	დაბადებულთა რაოდენობა		დაბადებულთა რაოდენობის კლება 1989 წელთან შედარებით		ჰიპოთეზური ცვლილების % ფაქტობრივთან შედარებით
	ფაქტობრივი	ჰიპოთეზური	ფაქტობრივი	ჰიპოთეზური	
1990	92,8	93,9	1,7	2,8	164,7
1991	89,1	90,4	-2,0	-0,7	35,0
1992	72,6	75,1	-18,5	-16,0	86,5
1993	61,6	67,8	-29,5	-23,3	79,0
1994	57,3	67,5	-33,8	-23,6	69,8
1995	56,3	69,5	-34,8	-22,1	63,5
1996	55,0	70,2	-36,1	-20,9	57,9
1997	54,0	70,9	-37,1	-20,2	54,4
1998	52,0	69,4	-39,1	-21,7	55,5
1999	49,5	65,4	-41,6	-25,7	61,8
2000	50,0	68,2	-41,1	-22,9	55,7
1990-2000	690,2	807,8	-311,9	-194,3	62,3

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 43.
1989-1995 წწ. – სდ მონაცემებით; 1996-2000 წწ. – შეფასებითი მონაცემებით.

ცხადია, დაბადებათა რაოდენობის შემცირებას მარტოდენ ფერტილური ასაკის ქალების კლება არ განაპირობებდა და არც იყო ეს ძირითადი მიზეზი. იგი უშუალოდ ბავშვების ყოლის მოთხოვნილების შემცირების და შესაბამისად რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარი ცვლილებების შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

ცხრილში (1.2.) მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება შევაფასოთ რეპროდუქციული ქცევის და სტრუქტურული ფაქტორების წვლილი დაბადებულთა საერთო რაოდენობის ცვლილებაში. დაბადებათა ფაქტობრივი რაოდენობა შედარებულია დაბადებათა ჰიპოთეზურ რაოდენობასთან, ანუ იმ რაოდენობასთან, რომელიც შეიძლება ყოფილიყო, თუ საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა არ შეიცვლებოდა 1989 წლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკულად, დაბადებათა რაოდენობის ცვლილების ერთადერთი ფაქტორი ასაკობრივი შობადობის ცვალებადობა იქნებოდა.

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ 1990-2000 წლებში, საქართველოში, შობადობის ინტენსივობის კლებას რომ არ ჰქონოდა ადგილი დაიბადებოდა 807,8 ათასი ბავშვი. ამ უკანასკნელი მიზეზის გამო დაიბადა 117,6 ათასით ნაკლები.

1990 წელს, 1989 წელთან შედარებით, დაბადებულთა რაოდენობამ მოიმატა. დაბადებულთა რაოდენობის ზრდას ხელი შეუწყო როგორც რეპროდუქციული ქცევის, ისე ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებამ. შემდგომში დაბადებულთა რაოდენობა ისევ მცირდება.

1991 წელს ეს კლება უმნიშვნელო იყო და ძირითადად (65%) გამოწვეული იყო ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით.

1992-1993 წლებში, განსაკუთრებით 1992 წელს, დაბადებულთა რაოდენობის კლებას ძირითადად უკვე რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებები განაპირობებდა, ხოლო ასაკობრივი სტრუქტურის უარყოფითი გავლენა 13-21%-მდე შემცირდა.

შემდეგ წლებშიც დაბადებულთა რაოდენობის კლებაში მეტი წვლილი რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებებს შეჰქონდა და ნაკლები (30-45%) – ასაკობრივ სტრუქტურას.


საერთო ჯამში, 1990-2000 წლებში, საქართველოში დაბადებულთა რაოდენობის კლების 62,3% განაპირობებული იყო რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებებით, ხოლო 37,7% კი ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით.

რაც შეეხება დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი), მიუხედავად იმისა, რომ ის შობადობის დონის საკმაოდ ზოგადი მაჩვენებელია, უკვე მისგან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ 1960 წლიდან 2000 წლისათვის შობადობის დონე საქართველოში მნიშვნელოვნად მცირდებოდა (იხ. დიაგრამა 1.9.).

დიაგრამაზე შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა გამოსახულია როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების, ისე ჩვენი შეფასებითი მონაცემების მიხედვით. სხვაობა მათ შორის გამომდინარეობს 1996 წლამდე მოსახლეობის რაოდენობის განსხვავებიდან, ხოლო 1996 წლიდან – როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე დაბადებულთა რაოდენობის განსხვავებიდან.

როგორც ვხედავთ, განსხვავება მათ შორის საკმაოდ უმნიშვნელო იყო 1960-იანი წლების პირველ ნახევარში, მაგრამ თანდათან იზრდებოდა 1990 წლამდე. 1992 წლიდან განსხვავება სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებითი მონაცემებს შორის ისევ საგრძნობი ხდება და თანდათან მატულობს. 2000 წლისათვის სხვაობა მათ შორის შეადგენდა 1,3%. მიუხედავად ამისა, ორივე წყარო მსგავს ტენდენციას ასახავს.

დიაგრამა 19. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა საქართველოში 1960-2000 წლებში სდ და ჩვენი შეფასებითი მონაცემებით



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia. 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, pp. 38-39.

ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების გავრცელების შემდეგ შობადობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივი შობადობის დონეზე ნაკლებია, ანუ ბოლომდე არ რეალიზდება შობადობის პოტენციალი. ეს უკანასკნელი შეიძლება ძალიან მაღალი იყოს, მაგრამ შობადობის არსებული დონე ძირითადად მისი რეალიზაციის ხარისხზეა დამოკიდებული.

შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხის გასაზომად ორი მაჩვენებელი გამოიყენება: კოულის ინდექსები და ბორისოვის ინდექსი (ბუნებრივი შობადობის რეალიზაციის ხარისხი).

კოულის ინდექსები შობადობის ჰიპოთეზური მაქსიმალური ინტენსივობიდან გამომდინარეობენ და ახასიათებენ შობადობის არსებული დონის გადახრას შესაძლებელი მაქსიმუმიდან.

კოულის ინდექსების მნიშვნელობა ყოველთვის ერთზე ნაკლებია. რაც უფრო ნაკლებია იგი ერთზე, მით უფრო გავრცელებულია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება. ამასთან, კოულის ინდექსების ერთობლივად გამოყენება შობადობის ცვალებადობის ახსნის კარგ საშუალებას წარმოადგენს.

ქვემოთ მოტანილი მონაცემები კოულის ინდექსებს დაეფუძნება.

კოულის მიერ შემოთავაზებული იყო ოთხი ინდექსი:


1. საერთო შობადობის ინდექსი (I_f) – უჩვენებს იმას, თუ რომელიმე კონკრეტულ მოსახლეობაში ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა რა ხარისხით უახლოვდება დაბადებათა იმ რაოდენობას, რომლებსაც ისინი იყოლიებდნენ, თუ მათთვის დამახასიათებელი იქნებოდა შობადობის მაქსიმალური მაჩვენებლები;

2. ქორწინებითი შობადობის ინდექსი (I_g) – უჩვენებს, თუ რა ზომით უახლოვდება (ან განსხვავდება) ფერტილური ასაკის დაქორწინებული ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა მაქსიმალურად შესაძლებელ ქორწინებაში დაბადებულთა რაოდენობისაგან;

3. ქორწინების გარეშე შობადობის ინდექსი (I_h) – უჩვენებს ფერტილური ასაკის გაუთხოვარი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობის მსგავსება – განსხვავების ხარისხს მაქსიმალურად შესაძლებელ ქორწინების გარეშე დაბადებულთა რაოდენობისაგან;

4. ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის ინდექსი (I_m) – უჩვენებს, თუ რა ზომით უწყობს ხელს ქორწინებაში ყოფნა მაქსიმალურად შესაძლებელი შობადობის მიღწევას².

დიაგრამა 1.10. კოულის ინდექსების ცვლილება საქართველოში 1959-1999 წლებში



წყარო: 1959-1999 წწ. – გ. მელაძე, გ. წულაძე. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 1997, გვ. 10. 1999 წელი გაანგარიშებულია ჩვენს მიერ.

1960-1970 წლებში საქართველოში საერთო შობადობის ინდექსი უფრო მნიშვნელოვნად შემცირდა, ვიდრე 1970-დან 1979 წლამდე. 1960-1970 წლებში, 1970-1979 წლებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვნად დაიკლო ქორწინებითი შობადობის ინდექსმა, თუმცა, პირველ პერიოდში გაუმჯობესდა მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობა, ხოლო შემდგომ პერიოდში – რამდენადმე გაუარესდა.

ზემოთ მოტანილიდან გამომდინარეობს, რომ 1960-1970 წლებში მიმდინარე შობადობის შემცირება ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების ზრდით იყო გამოწვეული, ხოლო 1970-იან წლებში შობადობის კლებას უფრო საქორწინო სტრუქტურის გაუარესება განსაზღვრავდა.

1979-1989 წლებში საერთო შობადობის ინდექსი განაგრძობს შემცირებას, მაგრამ რამდენადმე ნაკლები ზომით, ვიდრე 1970-1979 წლებში. იმავე დროს, 1979-1989 წლებში, ქორწინებითი შობადობის ინდექსი მნიშვნელოვნად კლებულობს, განსაკუთრებით 1970-1979 წლებთან შედარებით. მისი კლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ 1980-იან წლებში არ გაუმჯობესებულყო მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობა (გაიზარდა ფერტილური ასაკის ქორწინებაში მყოფ ქალთა წილი).

1990-იანი წლები უპრეცედენტო იყო კოულის ინდექსების ცვლილების თვალსაზრისით. 1989 წლიდან 1999 წლამდე, ათი წლის განმავლობაში, საერთო შობადობის კოულის ინდექსი თითქმის ისეთივე სიდიდით შემცირდა, რაც წინა 30 წლის განმავლობაში, 1959 წლიდან 1989 წლამდე. ამასთან, ქორწინებითი შობადობის კოულის ინდექსის კლება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საერთო შობადობის ინდექსის კლება, რაც რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებებს ასახავს. იმავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდა ფერტილური ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების წილის ინდექსი, რაც სტრუქტურული ცვლილებების, კერძოდ, მის გაუარესებაზე მეტყველებს.

1990-იან წლებში გაიზარდა ქორწინების გარეშე შობადობის კოულის ინდექსი. 1999 წელს ის საკმაოდ მიუახლოვდა ქორწინებითი შობადობის ინდექსის მნიშვნელობას.

² Coale A. Factors associated with the development of low fertility a historic summary. U.N., World Population Conference. Belgrad, 1965; Coale A. The decline of fertility in Europe from the French Revolution to World War II. In: Fertility and family planning. A world view. The University of Michigan press, 1969.

ამდენად, კოულის ინდექსებიდან გამომდინარეობს, რომ 1990-იან წლებში, საქართველოში, შობადობის კლება ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: უფრო მეტად – რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარი ცვლილებებით და ნაკლებად – მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის გაუარესებით³.

მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში ბავშვთა შობის პოტენციალის რეალიზაციის შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ 20-29 წლის ასაკის ქალები. ამასთან, 2000 წლისათვის, 1990 წელთან შედარებით, შემცირდა ყველა ასაკის ქალების ბავშვთა შობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხი, გარდა 40 და უფროსი ასაკის ქალებისა (45 და უფროსი ასაკის ქალებისათვის რამდენადმე გაიზარდა), თუმცა 35 წლის შემდეგ რეალიზაციის ხარისხი ისედაც ძალიან დაბალია. 2000 წელს შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ყველაზე მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ 20-24 წლის ასაკის ქალები, თუმცა ისინი იყენებდნენ აღნიშნულ პოტენციალს მხოლოდ 23%-მდე.

1990 წელს საქართველოში დაიბადა 92,8 ათასი ბავშვი. ამავე დროს მაქსიმალურად შესაძლებელ დაბადებათა რაოდენობა 5-ჯერ მეტი იყო და 487,2 ათასს შეადგენდა, ხოლო 2000 წლისათვის 374,1 ათასამდე შემცირდა, თუმცა ამ წელს მხოლოდ 50 ათასი ბავშვი დაიბადა (შეფასებითი მონაცემებით).

1960-2000 წლებში მომხდარი ცვლილებების შედეგად, 2000 წელს 1960 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა 20 წლამდე ასაკის ქალების შობადობის ინტენსივობა. 1970-1990-იან წლებში მატების შემდეგ, 2000 წლისათვის იგივე დონეზე დარჩა 20-24 წლის ასაკის ქალების შობადობის ინტენსივობა, ხოლო 25 და უფროსი ასაკის ქალების შობადობამ მნიშვნელოვნად დაიკლო. ამასთან, 25-44 წლის ასაკის ქალების შობადობის კლებას მთელი პერიოდის განმავლობაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილება აისახა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ცვლილებასა და კლებაში (იხ. დიაგრამა 1.11).

დიაგრამა 1.11. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ცვლილება საქართველოში (სწორი ხაზი – მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარი)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia. 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 41.

1960-1988 წწ. – სდ მონაცემებით; 1989-2000 წწ. – ჩვენი შეფასებითი მონაცემებით.

გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, 1960-1990 წლებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. 1991 წელს იგი

³ Г. Пуладзе. Демографическое развитие Грузии: прошлое и настоящее. International workshop, Population Development and Emerging Requirements for Data Comparability: Baltic and Caucasian Region. Tallin, 2000, p. 8.; ა. სულაბერიძე. გარდამავალი პერიოდის ნეგატიური სოციალურ-დემოგრაფიული ტენდენციები. – “სოციალური ეკონომიკა”. 2001, №1, გვ. 32-37.

მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარამდე შემცირდა, ხოლო 1992 წლიდან მისი დონე ამ ზღვარზე ნაკლები იყო.

ამდენად, საქართველოში, 1992 წლიდან შობადობის დონე ვერ უზრუნველყოფს თაობათა სრულად განახლებას.

მართალია, 1993-2000 წლებში მოხდა შობადობის დონის გარკვეული სტაბილიზაცია, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის 1,7 სიდიდის ფარგლებში, მაგრამ აღნიშნული მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო დონეზე (2,1) ნაკლებია.

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს გარკვეული წვლილი შეაქვს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში. ვნახოთ, თუ როგორი იყო და რა ცვლილებებს განიცდიდა აღნიშნული მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 1.3.).

1960 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში ყველაზე დიდ როლს თამაშობდნენ 25-29 წლის ასაკის ქალები. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე 20-24 და 30 და უფროსი ასაკის ქალების როლი, ხოლო ყველაზე უმნიშვნელო – 20 წლამდე ასაკის ქალების როლი.

1970 წლისათვის ვითარება რამდენადმე შეიცვალა. საქმე ის არის, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში მეტი წვლილის შეტანა დაიწყო უფრო ახალგაზრდა ასაკის ქალებმა, თუმცა მაინც საგრძნობი რჩებოდა 30 და უფროსი ასაკის ქალების წვლილი.

1980 წლისათვის მდგომარეობა კიდევ უფრო შეიცვალა. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მნიშვნელობის ნახევარი (50,7%) უკვე 25 წლამდე ასაკის ქალების რეპროდუქციული ქცევის შედეგად ყალიბდებოდა. 1960 წელთან შედარებით ორჯერ შემცირდა 35 და უფროსი ასაკის ქალების “შენატანი”.

1990 წლისათვის, წინა პერიოდთან შედარებით, კიდევ უფრო გაიზარდა ახალგაზრდა ასაკის ქალების წვლილი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში.

ამდენად, მთელი 1960-1990-იანი წლების პერიოდში მიმდინარეობდა პროცესი, რომლის ძირითადი არსი ის იყო, რომ შობადობის ასაკის “გაახალგაზრდაების” შედეგად შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში სულ უფრო მცირდებოდა შედარებით უფროსი ასაკის ქალების როლი და იზრდებოდა ახალგაზრდა ასაკის ქალების წვლილი. ამავე დროს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი განაგრძობდა კლებას, რაც ძირითადად ახალგაზრდა ასაკის ქალების დაბალი რეპროდუქციული ქცევის შედეგს წარმოადგენდა.

1991-1994 წლებში კიდევ უფრო იზრდება ახალგაზრდა ასაკის ქალების წვლილი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში. ამავე დროს მნიშვნელოვნად დაიკლო სწორედ აღნიშნული კონტინგენტის შობადობის ასაკობრივმა კოეფიციენტებმა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად და არსებითად შემცირდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომლის სიდიდემ მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარზე ქვემოთ დაიკლო.

1995 წლიდან, გარკვეული თვალსაზრისით, უკუპროცესს ჰქონდა ადგილი. 1995-2000 წლებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში მცირდება 20 წლამდე ასაკის ქალების წვლილი, ცვალებადობას განიცდის 20-24 წლის ასაკის ქალების წვლილი და იზრდება 25 და უფროსი ასაკის ქალების როლი.

აღნიშნული ცვლილებები, ჯერჯერობით, საკმარისი არ აღმოჩნდა შობადობის დონის არსებითი შეცვლისათვის გაზრდის თვალსაზრისით.

შობადობის დონის კლებაზე ასევე მიგვიითიუბს დაბადებულებში პირველი რიგითობის ბავშვების წილის ზრდა და მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვების წილის კლება.

თუ 1960 წელს დაბადებულთა საერთო რაოდენობაში პირველი რიგითობის ბავშვების წილი 34,7% შეადგენდა, ხოლო, მესამე და შემდგომი რიგითობის – 36,5%. 2000 წლისათვის ვითარება რადიკალურად შეიცვალა და დაბადებულთა

საერთო რაოდენობაში პირველი რიგითობის ბავშვების წილი 51,9%-მდე გაიზარდა, ხოლო მესამე და შემდგომი რიგითობის – 14,8%-მდე შემცირდა.

ცხრილი 1.3. საკობრივი ჯგუფების როლი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში საქართველოში 1960-2000 წლებში (%)

წელი	დღის ასაკი					სულ
	20 წლამდე	20-24	25-29	30-34	35 და მეტი	
1960	4.5	26.2	32.0	21.5	15.8	100.0
1970	6.5	35.0	29.0	18.0	11.5	100.0
1980	10.6	40.1	27.0	14.7	7.6	100.0
1990	13.6	39.9	25.2	14.4	6.9	100.0
1991	14.1	40.7	23.9	14.2	7.1	100.0
1992	15.0	42.7	22.2	13.9	6.2	100.0
1993	18.7	39.9	21.8	13.5	6.1	100.0
1994	22.4	37.1	21.4	13.1	6.0	100.0
1995	21.3	36.4	22.1	13.6	6.6	100.0
1996	19.8	35.8	23.1	14.3	7.0	100.0
1997	18.2	34.7	24.1	14.4	8.6	100.0
1998	17.7	35.1	24.7	14.1	8.4	100.0
1999	16.7	35.2	24.8	14.9	8.4	100.0
2000	14.2	37.0	25.4	14.7	8.7	100.0

წყარო: Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia. 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 38-39.

1960-1980 წწ. – სდ მონაცემებით.

1990-2000 წწ. – შეფასებითი მონაცემებით.

განსახილველ პერიოდში მიმდინარე აღნიშნულმა ცვლილებებმა გავლენა იქონია დაბადების რიგითობის საშუალო მაჩვენებელზე, ანუ ე.წ. შვილიანობის სტრუქტურულ კოეფიციენტზე.

როგორც ვხედავთ, უკვე 1975 წელს დაბადებულთა საშუალო რიგითობა საქართველოში 2-ზე რამდენადმე ნაკლები იყო, ხოლო 1995 და 2000 წლებში 1,7-ის სიდიდემდე შემცირდა. 1995-2000 წლებში შვილიანობის სტრუქტურული კოეფიციენტისა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის სიდიდე მსგავსი იყო. ასეთი მდგომარეობა იმის მანიშნებელია, რომ 1995 წლიდან მიმდინარეობს შობადობის რეჟიმის თანდათანობითი ცვლილება თაობიდან თაობამდე.

ამდენად, ზემოთ განხილულიდან გამომდინარეობს, რომ 1990-იანი წლები, საქართველოში, მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო დონეზე ქვემოთ შობადობის შემცირების პერიოდი.

1990-იან წლებში საქართველოში მომხდარი შობადობის კლების პროგნოზირება 1980-იან წლებშიც კი შეიძლებოდა და ასეთი პროგნოზები გაკეთებულ იქნა კიდევ.

კერძოდ, აღნიშნულ იქნა რომ მომავალში საქართველოში მცხოვრები ყველაზე ხალხმრავალი ეროვნებებისათვის (ქართველები, სომხები, რუსები) ბავშვთა შობის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა იქნებოდა⁴.

შემდგომში, სკოლის ასაკის მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლის საფუძველზე⁵, რომელთაც როგორც აღმოჩნდა სტაბილური ხასიათი გააჩნიათ⁶, გამოტანილ იქნა შემდეგი დასკვნები:

⁴ გ. წულაძე. შობადობის სოციოლოგიის საკითხები. თბილისი, 1984, გვ. 114.

⁵ Г. Цуладзе, Т. Чанкветадзе. Формирование представлений школьников о числе детей в семье // Детность семьи: вчера, сегодня, завтра. М., 1986, с. 104-116. ზ. ცხოვრებაძე. რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირების თავისებურებანი (თბილისის მაგალითზე). სადისერტაციო მაცნე. ეკ. მეცნ.კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1993 და სხვა.

1. დღევანდელთან შედარებით შობადობის დონე მომავალში კიდევ უფრო დაიკლებს;

2. ბავშვთა შობის ინტენსივობის კლებას მომავალშიც ექნება ადგილი, ამასთან, ძალიან არასასურველ დონემდე, რომელიც საკმარისი არ იქნება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის⁷;

3. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2000 წლისათვის, დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების გარეშე, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შემცირდება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო დონეზე დაბლა, ხოლო დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვების წილი 15%-ზე ნაკლები იქნება⁸.

როგორც ვხედავთ, პროგნოზები გამართლდა.

ყურადღებას იქცევს რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა.

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა (შემდგომში ქორწინების გარეშე შობადობა) საერთო შობადობის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ქორწინების გარეშე დაბადებებით წარმოიქმნება. ქორწინების გარეშე დაბადებად ითვლება ბავშვის გაჩენა ქალის მიერ, რომელიც მოცემული მომენტისათვის არ იმყოფება იურიდიულად გაფორმებულ (რეგისტრირებულ) ქორწინებაში. კონსენსუალურ ქორწინებასა და თანაცხოვრებაში (სქესობრივი კავშირის თვალსაზრისით) დაბადებული ბავშვები მიმდინარე სტატისტიკურ აღრიცხვაში ითვლებიან ქორწინების გარეშედ⁹.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, 1944 წლამდე, ქორწინების გარეშე დაბადების ცნება პრაქტიკულად არ არსებობდა. არარეგისტრირებული ქორწინებები რეგისტრირებულის ტოლფასად მიიჩნეოდა. არსებობდა მამობის ნებაყოფლობითი აღიარების ან სასამართლოს წესით დადგენის პრაქტიკა. 1944-1969 წლებში რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რეგისტრაციისას ცნობები მამის შესახებ არ ფიქსირდებოდა, ხოლო შესაბამის გრაფაში ხაზს უსვამდნენ. თანამედროვე მიმდინარე სტატისტიკა დაბადებათა სამკატეგორიას გამოყოფს, რომელიც შესაბამისი დოკუმენტებით ფიქსირდება: 1. რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულები; 2. დაბადებები, რომლებიც რეგისტრირებულია მშობელთა ერთობლივი განცხადებით (აგრეთვე, როდესაც მამობა დადგენილი იყო სასამართლოს წესით), ანუ მამობის დადგენის მოწმობით და მისი ხელმოწერით; 3. დაბადებები, რომლებიც რეგისტრირებულია მხოლოდ დედის განცხადებით და მისი ხელმოწერით. მეორე შემთხვევაში მამასა და შვილს შორის ისეთივე უფლება-მოვალეობები არსებობს, როგორც იურიდიულად რეგისტრირებული ქორწინებისას. დედის განცხადებით დაბადების რეგისტრაციისას ცნობები მამის შესახებ აღინიშნება დედის სიტყვებიდან გამომდინარე, მაგრამ შვილი ღებულბს დედის გვარს და შვილსა და მამას შორის არავითარი სამართლებრივი ურთიერთობები არ წარმოიქმნება. ბავშვის დაბადების შემდეგ, მშობელთა ქორწინების შემთხვევა წარსული პერიოდის სტატისტიკაში არ აისახება¹⁰.

ქორწინების გარეშე შობადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ საქორწინო-საოჯახო ტრადიციებსა და კანონმდებლობაზე.

⁶ Г. Цуладзе, З. Гокадзе. К вопросу стабильности представления школьников о числе детей в семье // Современные проблемы экологии, демографии и здоровья населения. Свердловск, 1988.

⁷ Г. Цуладзе. Планирование семьи и национальные традиции // Планирование семьи и национальные традиции. Выпуск 1. М., 1986, с. 11.

⁸ А. Сулаберидзе. Особенности демографического развития Грузии // Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тбилиси, 1990, с. 35.

⁹ მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მეღაძე. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები. თბილისი, 1998, გვ. 101.

¹⁰ იქვე, გვ. 101-102.

ქორწინების გარეშე შობადობის დონეს ქორწინებითი და რეპროდუქციული ქცევა განსაზღვრავს.


ქორწინების გარეშე შობადობა შეიძლება რამდენიმე მაჩვენებლით გაიზომოს:

1. ქორწინების გარეშე დაბადებათა წილი (%) ყველა დაბადებულს შორის;
2. ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს დაბადებათა რაოდენობას 15-49 წლის ასაკის 1000 დაუქორწინებელ ქალზე;
3. ქორწინების გარეშე შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტით;
4. კოულის ინდექსი ქორწინების გარეშე შობადობისათვის.

ქორწინების გარეშე შობადობის კოულის ინდექსი ზემოთ იყო განხილული, ამიტომ მას აქ აღარ შევეხებით და მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ 1979 წლიდან 1999 წლისათვის ქორწინების გარეშე შობადობის კოულის ინდექსი, საქართველოში, თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი ყველა დაბადებულს შორის (შემდგომში ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი), საქართველოში, 1980 წელს, ჯერ კიდევ მცირე იყო და 4,7% უდრიდა, თუმცა 5 წლის განმავლობაში ის გაორმაგდა და 1985 წლისათვის 10,5% შეადგინა.

დიაგრამა 1.12. ასაკობრივი ჯგუფების როლი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში საქართველოში 1960-2000 წლებში (%)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 63.

შემდეგ წლებში ქორწინების გარეშე შობადობა განაგრძობდა მატებას და 1990 წელს მან უკვე 18,2% მიაღწია.

1990-იანი წლები, საქართველოში, ქორწინების გარეშე შობადობის შემდგომი ზრდით გამოირჩეოდა. 2000 წელს, 1990 წელთან შედარებით, ქორწინების გარეშე დაბადებულების წილი 2,1-ჯერ გაიზარდა და 39% შეადგინა.


ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში მასზე დიდ მნიშვნელობასაც ვხვდებით. არის ქვეყნები, სადაც ქორწინების გარეშე დაბადებულების წილი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საქართველოში (იხ. დიაგრამა 1.13.).

ქორწინების გარეშე დაბადებულების წილის ზრდის ტემპით თუ ვიმსჯელებთ, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ამ მხრივ საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, არნახულ ზრდას ჰქონდა ადგილი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ქორწინების გარეშე შობადობა ორი კომპონენტისაგან შედგება: 1. დაბადებულები, რომლებიც რეგისტრირებული არიან მშობელთა ერთობლივი განცხადებით (მამობის დადგენის მოწმობით) და 2. მხოლოდ დედის განცხადების საფუძველზე რეგისტრირებული დაბადებულები (იხ. დიაგრამა 1.14.).


როგორც ვხედავთ, საქართველოში, გარკვეული ცვალებადობის (3-6%-ის ფარგლებში) მიუხედავად, პრაქტიკულად ერთ დონეზე რჩებოდა მხოლოდ დედის განცხადებით რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულები. მისგან განსხვავებით მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა მშობელთა ერთობლივი განცხადებით რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულები.

დიაგრამა 1.13. ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი (%) ყველა დაბადებულს შორის საქართველოსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 63.

დიაგრამა 1.14. ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი (%) მშობელთა ერთობლივი და დედის განცხადების მიხედვით: საქართველო, 1989-2000 წწ. (სდ მონაცემებით)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 64.

ამდენად, ქორწინების გარეშე შობადობის ზრდა საქართველოში, 1990-იან წლებში, განპირობებული იყო იმ დაბადებულებით, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ მშობელთა ერთობლივი განცხადებით (მამობის დადგენის მოწმობით).


ბევრ ქვეყანაში ამისაგან განსხვავებულ ვითარებას აქვს ადგილი. მაგალითად, რუსეთში, ქორწინების გარეშე დაბადებულთა საერთო წილის

ნახევარზე მეტს როგორც 1980-იან, ისევე 1990-იან წლებში მხოლოდ დედის განცხადებით რეგისტრირებული დაბადებულები შეადგენენ¹¹.

აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში დაბადებული ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც რეგისტრირებული არიან მშობელთა ერთობლივი განცხადებით, მათი მშობლები ფაქტობრივ, მათ შორის რელიგიურ ქორწინებაში იმყოფებიან, რასაც საქართველოში ჯერ არ გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა.

ყურადღებას იქცევს ყველა დაბადებულს შორის ქორწინების გარეშე დაბადებულების წილი დედის ასაკის მიხედვით.


დიაგრამა 1.15. ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი (%) დედის ასაკის მიხედვით საქართველოში



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 65.
 1979-1989 წლები აღებულია: მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 104
 1999 წელი გაანგარიშებულია ჩვენს მიერ დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოსა და შინამეურნეობების გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე

ქორწინების გარეშე დაბადებულების ყველაზე მეტი წილი 20 წლამდე ასაკის დედებზე მოდის. 1989 წელს, მართალია, მათზე მნიშვნელოვნად ნაკლები, მაგრამ სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით საგრძნობი იყო ასევე 45 წლისა და უფროსი ასაკის დედების მიერ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი.

დიაგრამა 1.16. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები (%) საქართველოში 1999 წელს ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 66.

¹¹ Население России 2000. Отв. ред. А. Г. Вишневский. М., 2001, с. 46.


ჯერ კიდევ 1979 წელს ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი ძალიან დაბალი იყო და მნიშვნელოვნად ნაკლები, ვიდრე ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი. უკვე 1989 წლისათვის ქორწინების გარეშე შობადობის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ქორწინებითი შობადობის – შემცირდა, თუმცა ის 2,5-ჯერ მაინც აღარბედა ქორწინების გარეშე შობადობის დონესთან შედარებით. 1990-იან წლებში ქორწინების გარეშე შობადობა განაგრძობს ზრდას, ხოლო ქორწინებითი შობადობა – კლებას. ამის შედეგად ქორწინების გარეშე და ქორწინებითი შობადობის დონე ერთმანეთს დაუახლოვდა. 1999 წელს ქორწინების გარეშე და ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტები უკვე უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა, თუმცა ქორწინებითი შობადობის დონე ჯერ კიდევ მაინც რამდენადმე მაღალი იყო, ვიდრე ქორწინების გარეშე შობადობის დონე (იხ. დიაგრამა 1.16.).

ქორწინებითი შობადობის კლების ფონზე, ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტის სიდიდე რომ არ გაზრდილიყო და 1989 წლის დონეზე დარჩენილიყო, მაშინ საქართველოში 1999 წელს 4,2 ათასით ნაკლები ბავშვი დაიბადებოდა.

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები მაინც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ შობადობის ინტენსივობაზე ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. ამის შესაძლებლობას ასაკობრივი კოეფიციენტები იძლევა.

ვნახოთ თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ 1999 წელს.

დიაგრამა 1.17. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში (%) 1999 წელს ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 66.
განგარიშებულია სდ დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოსა და შინამეურნეობების გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ 20 წლამდე ასაკში ქორწინების გარეშე მეტი ბავშვი იბადება, ვიდრე ქორწინებაში, დაქორწინებულების შობადობის ინტენსივობა გაცილებით მეტია (5,2-ჯერ), ვიდრე დაუქორწინებულების.

საერთოდ, სხვადასხვა ზომით, მაგრამ 30 წლამდე ასაკის დაქორწინებული ქალების შობადობის ინტენსივობა მეტია, ვიდრე იგივე ასაკის დაუქორწინებელი ქალების. 30 წლისა და უფროსი ასაკის ქალებში უკვე დაუქორწინებულების შობადობის ინტენსივობა ჭარბობს დაქორწინებულებისას.

1999 წლის მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში, ჩვენი შეფასებით, ერთ დაქორწინებულ ქალს მთელი ცხოვრების მანძილზე საშუალოდ ეყოლება 2,1 ბავშვი, ხოლო დაუქორწინებულ ქალს – 1,1, ანუ ერთი ბავშვით ნაკლები.

1.3. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

მოკვდაობის ნებისმიერი მაჩვენებელი დამოკიდებულია გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაციაზე. რაც უფრო სრული და სრულფასოვანია ინფორმაცია გარდაცვლილთა შესახებ, მით უფრო სანდოა მოკვდაობის მაჩვენებლები.

ის, რომ 1990-იან წლებში საქართველოში გარდაცვლილთა არასრულ აღრიცხვას ჰქონდა ადგილი, სადღეისოდ უკვე არავის ეჭვება.


უნდა აღინიშნოს, რომ გარდაცვლილთა არასრული რეგისტრაცია საქართველოში ახალი მოვლენა არ არის და ძალიან შორს რომ არ წავიდეთ მას 1960-1980-იან წლებშიც ჰქონდა ადგილი.

უცხოელმა ექსპერტებმა აღნიშნულ მოვლენას ყურადღება შედარებით ადრე მიაქციეს. საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ იყო და გარდაცვლილთა არასრული რეგისტრაცია, იგივე უცხოელი ექსპერტების ვარაუდით, სხვადასხვა ზომით, დამახასიათებელი იყო (1960-1980-იან წლებში და უფრო ადრეც) როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის, ისევე მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნისათვის.

გარდაცვლილთა რეგისტრაციის მოცვა 1990-იან წლებში მსოფლიოს არცთუ ისე მცირე ქვეყნებში წარმოადგენდა პრობლემას. მაგალითად, ბრაზილიაში (1992 წ.) რეგისტრაციის გარეშე რჩებოდა გარდაცვლილთა 26%, ხოლო ჰონ-კონგში (1995 წ.) – 14%¹².

მოტანილ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1.18.) ნაჩვენებია გარდაცვლილთა რაოდენობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში 1960-1965 წლებში ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოებისა და გაეროს ექსპერტთა შეფასების მიხედვით და მისგან გამომდინარე გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის წილი (%).

დიაგრამა 1.18. გარდაცვლილთა რაოდენობა ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოებისა და გაეროს ექსპერტების შეფასების მიხედვით და მისგან გამომდინარე არასრული რეგისტრაციის წილი 1960-1965 წწ.



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 85; Население СССР.1987: Статистический сборник. М., 1988, с. 112-126; World Population Prospects. The 1998 Revision. V. I: Comprehensive Tables. UN, N.Y., 1999, pp. 82, 88, 98, 182, 200, 406.

მოტანილი დიაგრამიდან გამომდინარეობს, რომ გაეროს ექსპერტების შეფასებით, 1960-1965 წლებში საქართველოში საშუალოდ წელიწადში აღურიცხავი რჩებოდა 20 ათასამდე გარდაცვლილი, ხოლო არასრული აღრიცხვის წილი 40%-ს შეადგენდა. ეს უკანასკნელი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ნაკლებია მხოლოდ შუა აზიის რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებზე.

¹² World Health Statistics Annual (WHO). Genève, 1998.


გარდაცვლილთა რეგისტრაციის თვალსაზრისით, სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, გაეროს ექსპერტების შეფასებიდან გამომდინარე, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო.

გარდაცვლილთა რეგისტრაციის მოცვის თვალსაზრისით, ძალიან კარგი მდგომარეობა იყო ესტონეთსა და ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებში.

განვიხილოთ გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის სხვადასხვა მონაცემებით.

დიაგრამაზე (1.19.) მოტანილია საქართველოში 1960-1980-იან წლებში გარდაცვლილთა რაოდენობა სტატისტიკის დეპარტამენტის, გაეროს ექსპერტთა და ავტორების შეფასებითი მონაცემების მიხედვით და გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის წილი გაეროსა და შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარე.

დიაგრამა 1.19. გარდაცვლილთა რაოდენობა სდ, გაეროსა და ჩვენი შეფასებითი მონაცემების მიხედვით და გარდაცვლილთა არასრული რეგისტრაციის წილი 1960-1990 წწ.



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 85; World Population Prospects. The 1998 Revision. V. I: Comprehensive Tables. UN, N.Y., 1999, p. 200.

როგორც გაეროს ექსპერტთა, ასევე მოცემული ნაშრომის ავტორების შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ განსახილველი პერიოდის განმავლობაში (1960-1990 წწ.) ადგილი ჰქონდა გარდაცვლილთა არასრულ რეგისტრაციას.

ორივე შეფასებით, 1960 წლიდან, გარდაცვლილთა რეგისტრაციის მოცვა უმჯობესდებოდა (გაეროს შეფასებით გარკვეულწილად გაუარესდა 1980-1985 წწ.) და კარგ მდგომარეობას მიაღწია 1980-იანი წლების ბოლოსათვის.

გაეროს ექსპერტთა შეფასებით, გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვა საქართველოში მეტი იყო, ვიდრე ეს მოცემული ნაშრომის ავტორების შეფასებიდან გამომდინარეობს.

მოცემულ შემთხვევაში აღნიშნავთ, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1960-1990 წლებში, გარდაცვლილთა რაოდენობამ შეადგინა 1185 ათასი, მოცემული ნაშრომის ავტორების შეფასებით – 1350 ათასი, ხოლო გაეროს ექსპერტთა შეფასებით – 1400 ათასი.

1960-1990-იან წლებში საქართველოში გარდაცვლილთა არასრულმა რეგისტრაციამ საერთო ჯამში შეადგინა: გაეროს ექსპერტთა შეფასებიდან გამომდინარე – 215 ათასი (15,4%), ხოლო მოცემული ნაშრომის ავტორების შეფასებით – 165 ათასი (12,2%).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარდაცვლილთა რეგისტრაცია საქართველოში 1960 წლიდან უმჯობესდებოდა და პრაქტიკულად 99% მოცვას მიაღწია 1980-იანი წლების ბოლოსათვის.

1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს სტატისტიკის ორგანოები (ისევე როგორც ბევრი სხვა უწყება) მოუშადადებელი შეხვდა, რასაც მოჰყვა, როგორც


გარდაცვლილთა, ისე სხვა დემოგრაფიული შემთხვევებისა სტატისტიკური აღრიცხვის გაუარესება.

1990-იან წლებში, 1980-იან და 1970-იან წლებთან შედარებითაც კი, გაიზარდა გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის დონე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ მოხდა აღწერათაშორისი (1989 და 2002 წწ.) პერიოდის დემოგრაფიული მაჩვენებლების გადაანგარიშება, მათ შორის გარდაცვლილთა რაოდენობის.

დიაგრამაზე (1.20.) ნაჩვენებია გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში 1990-2000 წლებში სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებამდელი, გადაანგარიშების შემდგომი მონაცემებისა და მოცემული ნაშრომის ავტორების შეფასებით.

დიაგრამა 1.20. გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში სდ და ჩვენი შეფასებითი მონაცემებით 1990-2000 წწ. (ათასი)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2001. Tbilisi, 2002, p. 36; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 38.

როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ გადაანგარიშებამდე (ანუ რეგისტრირებული) და გადაანგარიშების შემდგომი (სდ შეფასება) მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებული მონაცემები გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ, გარკვეული განსხვავების მიუხედავად, ჩვენი შეფასებითი მონაცემების მსგავსია. სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებამდელი მონაცემებით საქართველოში, 1990-2000 წლებში, გარდაიცვალა 460,9 ათასი ადამიანი, ხოლო გადაანგარიშებული მონაცემებით – 552,6 ათასი. იმავე დროს ჩვენი შეფასებითი მონაცემებით გარდაცვლილთა რაოდენობამ შეადგინა 560,2 ათასი.

ჩვენი შეფასების მეთოდი ადრეულ ნაშრომში იქნა განხილული¹³. ამიტომ მას აქ აღარ შევეხებით.


გარდაცვლილთა რაოდენობის არასრული აღრიცხვა აისახა მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებშიც. ზოგიერთ წლებში განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

მოტანილი დიაგრამა (1.21.) ასახავს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილებას საქართველოში 1960-2000 წწ. სტატისტიკის დეპარტამენტის

¹³ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 88-93, 106.

გადაანგარიშებადელი და გადაანგარიშებული მონაცემებისა და ჩვენი შეფასების მისედვით 5-წლიანი ინტერვალებით.

დიაგრამა 1.21. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ცვლილება საქართველოში 1960-2000 წწ. სდ გადაანგარიშებადელ, სდ გადაანგარიშებული და ჩვენი შეფასებითი მონაცემებით



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 107; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, pp. 38-39.

ჩვენი შეფასებით, მოკვდაობის კოეფიციენტის ყველაზე დაბალი დონე 1965-1974 წლებში იყო. მომდევნო წლებში, შობადობის შემდგომი კლებისა და მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი იზრდებოდა, რომელმაც მაქსიმალურ სიდიდეს, განსახილველ პერიოდში 2000 წელს მიაღწია.

როგორც ვხედავთ, დიდი განსხვავება მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებში სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებით მონაცემებს შორის 1960-1964 წლებში იყო. შემდეგ პერიოდში აღნიშნული განსხვავება კლებულობდა და მინიმუმი შეადგინა 1985-1989 წლებში, რის შემდეგ შეინიშნება მისი მატება.

1990-2000 წლებში განსხვავება შეიმჩნევა არა მარტო სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებით მონაცემებს შორის, არამედ სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებადელ და გადაანგარიშებულ მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს შორის. გადაანგარიშებული მონაცემების სიდიდე მეტია, ვიდრე გადაანგარიშებადელის.

ამდენად, შეფასებითი მონაცემებით, 1990-იან წლებში საქართველოში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი განაგრძობდა ზრდას და საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია 2000 წლისათვის.

მთლიანობაში, 1960 წლიდან, მოკვდაობის შეფასებითი მონაცემების თვალსაზრისით განხილვას მიეყვართ როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუციის, ისე ზოგადად დემოგრაფიული გადასვლის ახლებურ გაგებად ბოლო 40 წლის განმავლობაში (1960-2000 წწ.).


ქვემოთ მოტანილი მოკვდაობის ასაკობრივი ცვლილების ანალიზი დაეფუძნება მხოლოდ შეფასებით მონაცემებს.

პირველ რიგში ვნახოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა ამ მხრივ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

აღნიშნულზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მოტანილი დიაგრამა. (1.22.).

როგორც ვხედავთ, 1960 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა 25 წლამდე ასაკის მამაკაცების მოკვდაობის კოეფიციენტები. მათთან შედარებით ნაკლებად შემცირდა 25-34 წლის ასაკის მამაკაცების მოკვდაობა და უცვლელი დარჩა 35-39 წლის ასაკის მამაკაცების მოკვდაობა. ამავე პერიოდში გაიზარდა 40-69 წლის ასაკის მამაკაცების მოკვდაობა და პრაქტიკულად უმნიშვნელო ცვლილება განიცადა 70-84 წლის მამაკაცების მოკვდაობამ. 1970-1979 წლებში, 1960 წელთან შედარებით, ერთ დონეზე ყოფნის შემდეგ, 2000 წლისათვის რამდენადმე გაიზარდა 85 წლისა და უფროსი ასაკის მამაკაცების მოკვდაობა.

დიაგრამა 1.22. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ფარდობითი ცვლილება საქართველოში 1970-2000 წლებში (სწორი ხაზი – 1960 წლის დონე)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 109.

ქალების შემთხვევაში კლება განიცადა (მართალია, სხვადასხვა ზომით) ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოკვდაობის კოეფიციენტებმა, გარდა 85 წლისა და უფროსი ასაკისა, რომლისთვისაც წინა პერიოდთან შედარებით, 2000 წლისათვის მოკვდაობის რამდენადმე ზრდას ჰქონდა ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების შემთხვევაში, მოკვდაობის კლება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის განსხვავებული ზომით იყო დამახასიათებელი. ყველაზე მნიშვნელოვნად შემცირდა 1-14 წლის ასაკის გოგონების მოკვდაობა. მათთან შედარებით, რამდენადმე ნაკლები იყო ერთ წლამდე და 15-19 წლის ასაკის ქალების მოკვდაობის კლება. კიდევ უფრო მცირე ზომით დაიკლო 40-59 წლის ქალების მოკვდაობამ, ხოლო 60-84 წლის ასაკის ქალებისათვის მოკვდაობის კლება ყველაზე უმნიშვნელო იყო.

ენახოთ, თუ რა განსხვავება იყო სხვადასხვა ასაკის მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობას შორის.

აღნიშნულზე წარმოდგენას იძლევა მოტანილი დიაგრამა (1.23).

როგორც ვხედავთ, მამაკაცების მოკვდაობა ქალების მოკვდაობას ყველა ასაკში ჭარბობს, თუმცა 1960-2000 წლებში ზოგიერთ ასაკში საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

2000 წლისათვის, 1960 წელთან შედარებით, გაიზარდა 75 წლამდე ასაკის მოსახლეობაში მამაკაცებსა და ქალებს შორის მოკვდაობის ფარდობა.

აღნიშნული განსხვავების ცვლილება სხვადასხვა ასაკისათვის განსხვავებული ზომით იყო დამახასიათებელი.


განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზრდას და ამდენად მამაკაცების მოკვდაობის სიჭარბეს ქალებთან შედარებით ადგილი ჰქონდა 20-64 წლის ასაკში.

1960 წელთან შედარებით, 2000 წლისათვის, 25-44 წლის ასაკში მამაკაცების ჭარბმოკვდაობა 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო 45-59 წლის ასაკში – 1,5-ჯერ.

მოვლენების ასეთი განვითარების შედეგად, 2000 წლისათვის 20-44 წლის ასაკის მამაკაცების მოკვდაობა ჭარბობდა შესაბამისი ასაკის ქალების მოკვდაობას 3 და მეტჯერ, ხოლო 45-64 წლის ასაკში – 2 და მეტჯერ.

ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, 2000 წელთან და 1970-1980 წლებთან შედარებითაც კი, მამაკაცების ჭარბმოკვდაობა გაცილებით ნაკლები იყო.

დიაგრამა 1.23. მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის კოეფიციენტების თანაფარდობა საქართველოსა (შეფასებითი მონაცემებით) და შედეგთში



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 113.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალკე განვიხილავთ ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების მოკვდაობას (ჩვილთა მოკვდაობა).

აღსანიშნავია, რომ ზოგადად გარდაცვლილთა რაოდენობის რეგისტრაციისაგან განსხვავებით, გარდაცვლილი ჩვილების აღრიცხვა, 1980-იან და შემდგომ წლებში, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გაუარესდა. ამაზე არა მარტო ჩვენი შეფასებითი, არამედ ჯანდაცვის მონაცემებიც მეტყველებენ.

1980 წლიდან დღემდე, მხოლოდ 1981 წელს გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობა სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით აღემატებოდა ჯანდაცვის შესაბამის მონაცემებს. ყველა სხვა წელს უკვე ჯანდაცვის მიერ რეგისტრირებული გარდაცვლილი ჩვილების რაოდენობა ჭარბობდა სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამის მონაცემებს.

1974-1979 წლებში სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ რეგისტრირებული გარდაცვლილი ჩვილები მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ ჯანდაცვის შესაბამის მონაცემებს. 1974 წლამდე ჯანდაცვას არ გააჩნდა სათანადო მონაცემები გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობის შესახებ.

1975-1979 წლებში, საშუალოდ წელიწადში, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 322 გარდაცვლილი ჩვილით მეტი იყო რეგისტრირებული, ვიდრე ჯანდაცვის მიერ. უკვე 1980-1984 წლებში, საშუალოდ წელიწადში, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით 105 გარდაცვლილი ჩვილით მეტი იყო აღრიცხული, ვიდრე სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ. მომდევნო წლებში განსხვავება იზრდებოდა და ამდენად უფრო მნიშვნელოვანი იყო.

შეფასებით მონაცემებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, 1980 წლამდე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები გარდაცვლილ ჩვილთა შესახებ უფრო სრულია ჯანდაცვის შესაბამის მონაცემებთან შედარებით, ხოლო 1980 წლიდან

(1981 წლის გარდა) უკვე ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემები უფრო სრულფასოვანია სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებთან შედარებით.

რაც შეეხება ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტებს, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებთან შედარებით სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი მონაცემები ცოცხლად დაბადებულთა შესახებ, 1996 წლამდე, უფრო სრულია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოხდა გარდაცვლილი ჩვილების რაოდენობისა და შესაბამისი კოეფიციენტების გადაანგარიშება-კორექტირება. ამდენად, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტების შესახებ 1990-2000 წლებისათვის ახლებურად წარმოგვიდგება.

ცხრილი 1.4. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები სდ, ჯანდაცვისა და შეფასებითი მონაცემებით 1960-2000 წწ. (1000 ცოცხლად დაბადებულზე)

წელი	სდ გადაანგარიშებამდე	სდ გადაანგარიშებული	ჯანდაცვა	შეფასება
1960	36.8			40.0
1965	33.9			36.5
1970	25.3			27.0
1975	32.7		29.9	33.7
1980	25.4		26.2	26.8
1985	24.0		26.9	27.0
1990	15.8	20.7	19.7	20.7
1991	13.7	20.5	21.1	20.6
1992	12.4	20.5	20.5	20.9
1993	16.9	27.6	24.5	28.0
1994	16.7	28.6	25.2	28.8
1995	13.1	28.2	23.7	28.3
1996	17.4	28.0	27.8	28.0
1997	16.3	23.9	24.1	24.0
1998	15.2	22.0	21.0	21.9
1999	17.5	22.2	23.4	22.0
2000	14.9	22.6	21.1	22.1

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 115; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 86.

როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ უკვე გადაანგარიშებული ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები და შესაბამისი შეფასებითი კოეფიციენტები მსგავსია. ცალკეულ წელს სტატისტიკის დეპარტამენტისა და ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემების სიდიდე ჩვილთა მოკვდაობის შესახებ უმნიშვნელოდ მეტია შესაბამის შეფასებით მონაცემებზე. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, რომელიც გაითვალისწინება ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას, სტატისტიკის დეპარტამენტისა და ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით ნაკლებია შეფასებით მონაცემებთან შედარებით.

ნეგატიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი საქართველოში ისევ მაღალ დონეზე რჩება და 2000 წელს რამდენადმე მაღალიც იყო (სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებითი მონაცემებით) 1990 წელთან შედარებით.

1995-2000 წლებში, საქართველო, ჩილთა მოკვდაობის მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოში 81 ადგილზე იმყოფებოდა.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრ ქვეყანაში, ბოლო წლებში ჩილთა მოკვდაობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ქვემოთ მოტანილია შეფასებითი მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული მოკვდაობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით (X გადასინჯვა).

ცხრილი 1.5. გარდაცვლილთა წილი (%) საქართველოში 1989 და 2000 წწ. დაავადებათა ზოგიერთი ძირითადი კლასის მიხედვით (შეფასებითი მონაცემებით)

	გარდაცვლილთა წილი (%)	
	1989	2000
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	63.9	71.8
ახალწარმონაქმნები	11.5	10.8
სუნთქვის ორგანოების დაავადებები	6.1	2.8
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები	3.7	3.2
ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	6.7	2.8
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება	1.6	0.9
ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები	1.4	2.0
შარდსასქესო სისტემის დაავადებები	1.2	0.4
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები	1.4	1.5
სხვა	2.5	3.8
სულ	100.0	100.0

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 117.

როგორც ვხედავთ, გარდაცვლილთა მეტი წილი სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებსა და ახალწარმონაქმნებზე მოდის. ამასთან, 2000 წლისათვის, 1989 წელთან შედარებით, ყველა გარდაცვლილს შორის, გაიზარდა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით გარდაცვლილების წილი და რამდენადმე შემცირდა ახალწარმონაქმნებით გარდაცვლილთა წილი.

2000 წლისათვის, 1989 წელთან შედარებით, 3-ჯერ გაიზარდა იმ გარდაცვლილთა რაოდენობა, რომლის სიკვდილის მიზეზი შეტანილ იქნა კლასში – სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები, გამოვლენილი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებისას, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში. ასეთი ზრდა ძირითადად სიკვდილის მიზეზის არასრულფასოვანი დადგენის შედეგს უნდა წარმოადგენდეს¹⁴.

გარდაცვლილთა წილის ზრდა ან კლება სიკვდილის მიზეზების მიხედვით ერთმნიშვნელოვნად არ მიანიშნებს არც მოკვდაობის ინტენსივობის ცვლილებაზე და არც ამ ცვლილების ზომაზე სიკვდილის მიზეზების მიხედვით.


აღნიშნული ცვლილებების გარკვევა სიკვდილის მიზეზების მიხედვით მოკვდაობის კოეფიციენტების შედარების გზით არის შესაძლებელი.

ყურადღებას იქცევს მოკვდაობის ზრდა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისა და ახალწარმონაქმნების შედეგად. 2000 წელს, 1989 წელთან

¹⁴ ეს მოსაზრება, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, გამოთქმული იყო ამერიკელი (აშშ) ექსპერტის ბატონ რობერტ ისრაელის მიერ.

შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკვდაობა ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებებისაგან. სამაგიეროდ შემცირდა მოკვდაობა ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული და სუნთქვის ორგანოების დაავადებებისაგან, აგრეთვე ტრავმების, მოწამვლების და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგისაგან. აშკარად არასასურველ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ მოკვდაობის ზრდა პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებისაგან.

დიაგრამა 1.24. მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის კოეფიციენტები ზოგიერთი სიკვდილის მიზეზის მიხედვით საქართველოში 1989 და 2000 წლებში შესაბამისი სქესისა და ასაკის 100000 ადამიანზე (შეფასებითი მონაცემებით)



1. ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება.
2. ახალწარმონაქმნები.
3. ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები.
4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები.
5. სუნთქვის ორგანოების დაავადებები.
6. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები.
7. პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები.
8. ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 118.


2000 და 1999 წლებში, 1989 წელთან შედარებით, მოკვდაობის კოეფიციენტების ფარდობით ცვლილებას სიკვდილის მიზეზების მიხედვით (შეფასებითი მონაცემებით) გვიჩვენებს მოტანილი დიაგრამა (1.25).

როგორც მოტანილი დიაგრამიდან გამომდინარეობს, 2000 წლისათვის, 1989 წელთან შედარებით, ყველაზე მნიშვნელოვნად მოიმატა მოკვდაობამ ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებებისაგან, განსაკუთრებით მამაკაცებში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ დაავადებებით გარდაცვლილები გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში 2000 წლისათვის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა.

გაცილებით არსებითი იყო, მოკვდაობის კოეფიციენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით მოკვდაობის ზრდა.

2000 წელს, 1989 წელთან შედარებით, შემცირდა მამაკაცების მოკვდაობა ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებისაგან, თუმცა იმავე დროს გაიზარდა ქალების მოკვდაობა იგივე დაავადებებით.

დიაგრამა 1.25. მოკვდაობის კოეფიციენტების ფარდობითი ცვლილება საქართველოში სიკვდილის ზოგიერთი მიზეზის მიხედვით (სწორი ხაზი – 1989 წლის დონე)



1. ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება.
2. ახალწარმონაქმნები.
3. ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები.
4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები.
5. სუნთქვის ორგანოების დაავადებები.
6. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები.
7. პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები.
8. ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 119.

2000 წელს, წინა წელთან შედარებითაც კი, რამდენადმე გაიზარდა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით, ახალწარმონაქმნებით, ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებებით, პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით.

1999 წელს, 1989 წელთან შედარებით, სუნთქვის ორგანოების დაავადებებით მოკვდაობის მნიშვნელოვან შემცირებას 2000 წლისათვის მოჰყვა მისი ზრდა, თუმცა ის მაინც უფრო ნაკლებ დონეზე რჩებოდა, ვიდრე 1989 წელს იყო.


2000 წელს, 1999 წელთან შედარებით, რამდენადმე დაიკლო მოკვდაობამ საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებით და ტრავმებით, მოწამვლებით და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგით, ნერვიული სისტემისა და შარდსასქესო სისტემის დაავადებებით.

აღნიშნული ზოგადი ცვლილებები, სიკვდილის მიზეზების მიხედვით, განსხვავდებოდა ასაკისა და სქესის მიხედვით. ამასთან, ყოველ კონკრეტულ კლასს ასაკობრივი მოკვდაობის გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

რაც შეეხება ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობას, განვლილ პერიოდში, მისმა მოკვდაობის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

2000 წელს, 1989 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა მოკვდაობა ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან (2,6-ჯერ ბიჭებში და 3,4-ჯერ გოგონებში), სუნთქვის ორგანოების დაავადებებისაგან (1,8-ჯერ ბიჭებში და 2-ჯერ გოგონებში) და განვითარების თანდაყოლილი ანომალიებით, დეფორმაციებითა და ქრომოსომური ანომალიებით (3-ჯერ ბიჭებში და 1,7-ჯერ გოგონებში). იმავე დროს საკმაოდ გაიზარდა მოკვდაობა პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით (2-ჯერ ბიჭებში და 2,3-ჯერ გოგონებში). ამასთან, 2000 წელს, 1999 წელთან შედარებით, არასასურველ მოვლენას ჰქონდა ადგილი იმ თვალსაზრისით, რომ გაიზარდა როგორც ბიჭების (ძალიან უმნიშვნელოდ), ისე განსაკუთრებით გოგონების მოკვდაობა სუნთქვის ორგანოების დაავადებებით და გოგონების მოკვდაობა ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან. აშკარად უარყოფითად უნდა შეფასდეს აგრეთვე მოკვდაობის ზრდის ტენდენცია პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით.

დიაგრამა 1.26. ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი საქართველოში სიკვდილის ზოგიერთი მიზეზის მიხედვით (შეფასებითი მონაცემებით)



- 1 – ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება.
- 2 – სუნთქვის ორგანოების დაავადებები.
- 3 – პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები.
- 4 – განვითარების თანდაყოლილი ანომალიები, დეფორმაციები და ქრომოსომური ანომალიები.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 122.


ზემოთ აღნიშნული სამი მიზეზის საერთო კლესის ფონზე, პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებისაგან მოკვდაობა რომ არ გაზრდილიყო და იგივე დონეზე დარჩენილიყო, რაც 1989 წელს, მაშინ 2000 წელს, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი 22-ის ნაცვლად იქნებოდა 14.

როგორც ცნობილია, სიკვდილის საშუალო ასაკი მოკვდაობის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ კომპონენტს წარმოადგენს. პროგრესული, დადებითი ცვლილებები გამოიხატება სიკვდილის საშუალო ასაკის ზრდაში, ანუ სიკვდილის გადავადებაში მაღალი ასაკისაკენ¹⁵.

¹⁵ Вишневский А., Школьников В. Смертность в России снижается. – Население и общество. 1997, № 23, с.3.

ამ მხრივ, საქართველოში, 2000 წელს, 1989 წელთან შედარებით, დადებით ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. მთლიანობაში, მამაკაცების სიკვდილის საშუალო ასაკი 59,8 წლიდან (1989 წ.) გაიზარდა 65,1 წლამდე (2000 წ.), ხოლო ქალების 69,0 წლიდან 72,7 წლამდე (ჩვენი შეფასებით).

დიაგრამა 1.27. სიკვდილის საშუალო ასაკის ცვლილება საქართველოში 1989-2000 წწ., სიკვდილის ძირითადი 7 კლასის მიხედვით (შეფასებითი მონაცემებით)



1. ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება.
2. ახალწარმონაქმნები.
3. ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები.
4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები.
5. სუნთქვის ორგანოების დაავადებები.
6. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები.
7. ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 124.

2000 წელს, 1989 წელთან შედარებით, საქართველოში გაიზარდა როგორც მამაკაცების, ისე ქალების სიკვდილის საშუალო ასაკი დაავადებათა ძირითადი კლასების მიხედვით. სიკვდილის საშუალო ასაკის მატება ერთნაირი არ იყო დაავადებათა სხვადასხვა მიზეზის მიხედვით.

ყველაზე მეტად გაიზარდა სიკვდილის საშუალო ასაკი ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისა და ტრავმებით, მოწამვლებით და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგით, აგრეთვე სუნთქვის ორგანოების დაავადებებისაგან.

გაცილებით ნაკლები იყო სიკვდილის საშუალო ასაკის ზრდა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისა და ახალწარმონაქმნებისაგან, ანუ სწორედ იმ დაავადებებისაგან, რომლებისგანაც გარდაცვალებათა შემთხვევების დიდი უმრავლესობა ხდება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც 1989, ისე 2000 წელს, სიკვდილის საშუალო ასაკი სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისაგან ყველაზე მაღალი იყო დაავადებათა სხვა ძირითადი მიზეზებისაგან გამოწვეულ სიკვდილის საშუალო ასაკთან შედარებით.

საერთოდ, განვლილ პერიოდში, სიკვდილის საშუალო ასაკთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები დაავადებათა ძირითადი კლასების მიხედვით, დადებითად შეიძლება შეფასდეს.


ის განსხვავებები, რომლებიც აღინიშნა მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტებში, სტატისტიკის დეპარტამენტისა და ჩვენს შეფასებით მონაცემებს შორის, საერთო ჯამში, აისახა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ღონეშიც.

დიაგრამაზე (1.28) გამოსახულია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში სტატისტიკის დეპარტამენტის, გაეროს ექსპერტთა და ჩვენი შეფასებითი მონაცემების მიხედვით.

სტატისტიკის დეპარტამენტის მოკვდაობის კოეფიციენტებზე დაფუძნებით გაანგარიშებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ როგორც ქალების, ისე განსაკუთრებით მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 1960 წლიდან 1979 წლამდე შემცირდა და შემდეგ გაიზარდა 1989 წლისათვის.

1960-1979 წლებში, დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის კლება, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ პერიოდში, თანდათან უმჯობესდებოდა გარდაცვლილთა რეგისტრაცია, რომელიც 1960-იან წლებში გაცილებით არასრული იყო, ვიდრე 1970-იან და განსაკუთრებით 1980-იან წლებში.

დიაგრამა 1.28. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში სდ, გაეროს და ჩვენი შეფასებითი მონაცემებით



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 125; World Population Prospects. The 1998 Revision. V. I: Comprehensive Tables. UN, N.Y., 1999, p. 200; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 144.

როგორც გაეროს ექსპერტთა, ისე ჩვენი შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ 1960-დან 1989 წლის ჩათვლით სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში იზრდებოდა.

ამდენად, 1960-1989 წლებში, საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუციის თვალსაზრისით სულ განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება, ვიდრე დღემდე იყო მიჩნეული ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარე. კერძოდ, 1960-1989 წლებში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში იზრდებოდა და მის კლებასა, თუ სტაგნაციას ადგილი არ ჰქონია.

მოტანილი დიაგრამიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ 1960-1989 წლებში, განსაკუთრებით კი 1960-1970-იან წლებში, საქართველოში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ამას

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უჩვენებდნენ. ეს განსხვავება, ძირითადად, გარდაცვლილთა არასრული რეგისტრაციიდან გამომდინარეობდა.

განსხვავება გაეროს ექსპერტთა და ჩვენს მონაცემებს შორის, სიცოცხლის ხანგრძლივობაში, მამაკაცების შემთხვევაში, იქიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი შეფასებით, დიდი სხვაობა ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის უფრო 1970-იან და შემდგომ წლებში იჩენს თავს, რაც ამ პერიოდში მამაკაცების ჭარბმოკვდაობის ზრდის შედეგია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოხდა აღწერათაშორისი პერიოდის მოკვდაობის კოეფიციენტების გადაანგარიშება და შესაბამისად გადაანგარიშებულ იქნა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.

ცხრილი 1.6. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში 1990-2000 წწ. სდ და ჩვენი შეფასებითი მონაცემებით


წლები	სდ გადაანგარიშებამდე	სდ გადაანგარიშებული	სხვაობა მათ შორის	შეფასება
ორივე სქესი				
1990	72.8	71.4	1.4	71.5
1991	73.0	71.2	1.8	71.2
1992	73.0	70.4	2.6	70.5
1993	72.3	68.9	3.4	68.9
1994	74.8	70.2	4.6	70.3
1995	76.8	70.3	6.5	70.5
1996	78.8	70.7	8.1	70.9
1997	78.1	70.9	7.2	71.1
1998	78.3	71.2	7.1	71.2
1999	77.6	71.4	6.2	71.4
2000	75.5	71.3	4.2	71.4
მამაკაცები				
1990	68.9	67.5	1.4	67.5
1991	68.9	67.1	1.8	67.2
1992	69.0	66.0	3.0	66.1
1993	68.2	64.4	3.8	64.5
1994	70.7	66.0	4.7	66.2
1995	72.6	66.3	6.3	66.6
1996	74.8	66.9	7.9	67.1
1997	74.6	67.1	7.5	67.4
1998	74.2	67.4	6.8	67.5
1999	73.7	67.5	6.2	67.6
2000	73.1	67.5	5.6	67.6
ქალები				
1990	76.4	75.0	1.4	75.1
1991	76.7	75.0	1.7	74.9
1992	76.8	74.6	2.2	74.7
1993	76.2	73.2	3.0	73.2
1994	78.5	74.1	4.4	74.2
1995	80.6	74.2	6.4	74.3
1996	82.4	74.3	8.1	74.5
1997	81.3	74.5	6.8	74.6
1998	82.0	74.8	7.2	74.9
1999	81.1	75.1	6.0	75.1
2000	78.1	75.0	3.1	75.0

წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2001. Tbilisi, 2002, p. 118; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 144.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ გადაანგარიშებად და გადაანგარიშებული, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთ წელს სხვაობა მათ შორის 8 წელს აღწევს. სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისა და შეფასებითი მახვენებლები მსგავსია.

როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის კლებას ადგილი ჰქონდა 1991-1993 წლებში (ქალების შემთხვევაში აგრეთვე 2000 წელს). სხვა წლებში, სხვადასხვა ზომით, მაგრამ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მატულობდა.

დიაგრამა 1.29. დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ცვლილება საქართველოში 1990-2000 წწ. წინა წელთან შედარებით (შეფასებითი მონაცემებით)



	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
ქალები	0.09	-0.13	-0.29	-1.45	1.00	0.09	0.16	0.16	0.24	0.20	-0.06
მამაკაცები	0.19	-0.36	-1.04	-1.58	1.65	0.38	0.55	0.24	0.13	0.08	0.03

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 127.

მთლიანობაში აღნიშნული ცვლილებების შედეგი ის იყო, რომ 2000 წელს საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას იგივე დონეზე აღმოჩნდა, რაც 1989 წელს.

ასეთი მდგომარეობის ასახსნელად ძირითადად ის არგუმენტი გამოიყენება, რომ 1989 წელს საქართველოს მოსახლეობაში, ქართველების სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტი იყო (დაახლოებით 2 წლით), ვიდრე საშუალოდ ყველა სხვა ეროვნებისა. 1990-იან წლებში, გარე მიგრაციაში, ქართველებთან შედარებით, უფრო ინტენსიურად სხვა ეროვნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რასაც მოჰყვა საქართველოს მოსახლეობაში ქართველების წილის მატება. ამდენად, 2000 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის 1989 წლის დონეზე ყოფნა, მთლიანობაში გამოწვეულია ძირითადად სტრუქტურული ცვლილებებით, რაც იმით გამოიხატება, რომ საქართველოს მოსახლეობაში შემცირდა იმ ეროვნებათა წილი, რომელთაც ქართველებთან შედარებით


სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობა ჰქონდათ¹⁶.

საინტერესოა იმის დადგენა, თუ ზოგადად რა გავლენა იქონია სიკვდილის ძირითად მიზეზებში მომხდარმა ცვლილებებმა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე 1999 წელს 1989 წელთან შედარებით.

აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი მონაცემები მოტანილია დიაგრამაზე (1.30).

როგორც მამაკაცების, ისე ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაში მნიშვნელოვანი იყო მოკვდაობის შემცირება სუნთქვის ორგანოების დაავადებებისა (განსაკუთრებით ქალებში) და ტრავმების, მოწამვლების და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგისაგან (განსაკუთრებით მამაკაცებში). რამდენადმე ნაკლები იყო სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადების, ახალწარმონაქმნებისა (განსაკუთრებით ქალებში) და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებისაგან მოკვდაობის შემცირებით.

დიაგრამა 1.30. სიკვდილის ძირითადი მიზეზების როლი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ცვლილებაში საქართველოში 1999 წელს 1989 წელთან შედარებით (შეფასებითი მონაცემებით)



1. ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება.
2. ახალწარმონაქმნები.
3. ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები.
4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები.
5. სუნთქვის ორგანოების დაავადებები.
6. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები.
7. პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები.
8. ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.
9. სხვა დაავადებები.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 130

იმავე დროს, სიცოცხლის ხანგრძლივობის კლებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოკვდაობის მატება სისხლის მიმოქცევის სისტემის

¹⁶ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე. სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში. – სოციალური ეკონომიკა. 2000, № 3. გვ. 36-40.

აღნიშნულის შესახებ პირველად აზრი გამოთქვა ვ. შკოლნიკოვმა 1999 წელს, რომელიც შემდგომში სტატისტიკური მასალის ანალიზის შედეგად დადასტურებულ იქნა ჩვენს მიერ.


დაავადებებისა და პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებისაგან.

აღნიშნულ დაავადებათა ორი ძირითადი კლასისაგან, მიკვდაობა 1999 წელს ისეთივე დონეზე რომ დარჩენილიყო, რაც 1989 წელს, მაშინ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1999 წელს როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის, საქართველოში 1,3 წლით მეტი იქნებოდა.

საინტერესოა, თუ ძირითადად რომელ დაავადებათა კლასებისაგან მოკვდაობა განსაზღვრავდა სიცოცხლის ხანგრძლივობაში განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის. ამის შესაბამისი მონაცემები მოტანილია დიაგრამაზე 1.31.

როგორც 1989 წელს, ისე 1999 წელს სხვაობას მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ძირითადად განსაზღვრავდა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისა და ტრავმების, მოწამვლების და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგისაგან. ამასთან, 1999 წელს, 1989 წელთან შედარებით, გაიზარდა განსხვავება სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის, რომელიც გამოწვეული იყო სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისაგან მოკვდაობით და შემცირდა სხვაობა, გამოწვეული ტრავმების, მოწამვლების და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგით მოკვდაობით. განვლილ პერიოდში, გარკვეული ცვლილებები განიცადა ამ მხრივ სიკვდილის სხვა მიზეზებმაც.

დიაგრამა 1.31. სიკვდილის ძირითადი მიზეზების როლი მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის განსხვავებაში, საქართველო: 1989 და 1999 წწ. (შეფასებითი მონაცემებით)



1. ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება.
2. ახალწარმონაქმნები.
3. ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები.
4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები.
5. სუნთქვის ორგანოების დაავადებები.
6. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები.
7. პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები.
8. ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.
9. სხვა დაავადებები.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 131.

ზემოთ აღწერილი ზოგადი სურათი გარკვეულწილად განსხვავდება სქესისა და ასაკის მიხედვით.

14. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება

დაბადებულთა და გარდაცვლილთა რეგისტრაციის სისრულეზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სანდოა მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და აღწარმოების მაჩვენებლები და რამდენად კარგად ასახავენ ისინი რეალურად არსებულ ვითარებას.

ზემოთ ასევე ნახვენები იყო, რომ საქართველოში მიმდინარე აღრიცხვა სრულად ვერ მოიცავს დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას.

ამდენად, რეგისტრირებულ დაბადებულთა და გარდაცვლილთა, – და ასევე მოსახლეობის რაოდენობიდან თუ გამოვალთ, რომელსაც აგრეთვე გარე მიგრაციის არასრული აღრიცხვაც ამახინჯებს, – მაშინ შობადობისა და მოკვდაობის არასრულფასოვან მაჩვენებლებს მივიღებთ.

თავის მხრივ, ისინი მოსახლეობის აღწარმოებისა და ბუნებრივი მატების არასწორ მაჩვენებლებამდე მიგვიყვანენ, რაც საბოლოოდ არსებული დემოგრაფიული ვითარებისა და მისი პერსპექტივების არასწორ შეფასებას გამოიწვევს.


ამიტომ, ქვემოთ ბუნებრივი მატებისა და მოსახლეობის აღწარმოების განხილვისას გამოვიყენებთ მხოლოდ უკვე კორექტირებულ (შეფასებით) მონაცემებს.

საქართველოში, განსახილველ პერიოდში (1960-2000 წწ.), შედარებით მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩეოდა 1960-1965 წლები, შემდეგ წლებში გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, ბუნებრივი მატება მცირდება. 1989 წელს საქართველოში ბუნებრივი მატება, მოსახლეობის 1000 სულზე, 2-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1960 წელს.

ბუნებრივი მატების კლებას ორი პროცესი განაპირობებდა – შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა.

შობადობის დონის მკვეთრმა შემცირებამ 1992-1993 წლებში გამოიწვია ბუნებრივი მატების მნიშვნელოვანი კლება.

დიაგრამა 1.32. ბუნებრივი მატება (რაოდენობა და კოეფიციენტი) საქართველოში 1960-2000 წლებში (შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 140.


ამასთან, მოსახლეობის დაბერებას მოჰყვა მოკვდაობის ზრდა, რამაც კიდევ უფრო შეამცირა ბუნებრივი მატება ძალიან დაბალ დონემდე, ხოლო 1999-2000 წლებში პრაქტიკულად ნულამდე დავიდა. საქართველოში დაბადებულებისა და გარდაცვლილების რაოდენობა ერთმანეთს გაუტოლდა.

შობადობის ზრდის პერსპექტივები სადღეისოდ ნაკლებად მოსალოდნელია. ამიტომ მოკვდაობის შემდგომ ზრდას მოჰყვება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლება “ბუნებრივი” გზით, ანუ დეპოპულაცია.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის შემცირებას, შესაბამისად, მოჰყვა მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტების კლება. ეს უკანასკნელი იმ სახის ცვლილებებს განიცდიდა, რასაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი.

1970-იანი წლების დასაწყისში, გარკვეული მატების შემდეგ, მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი განაგრძობდა კლებას და 1990-იანი წლების დასაწყისში მისი სიდიდე პრაქტიკულად მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვრამდე შემცირდა. უკვე 1992 წელს ნეტო კოეფიციენტის სიდიდე მარტივი აღწარმოების ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა და ასეთად რჩება დღემდე.

დიაგრამა 1.33. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის ცვლილება საქართველოში 1960-2000 წლებში (შეფასებითი მონაცემებით)



სწორი ხაზი – მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონე

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 140.

ამდენად, საქართველოში 1960-1980 წლებში მოსახლეობის აღწარმოების გაფართოებული რეჟიმი 1992 წლიდან შეკვეცილი რეჟიმით შეიცვალა და ამ დროიდან დღემდე საქართველოში დამკვიდრებულია მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი.

ეს იმას ნიშნავს, რომ დედათა თაობა მხოლოდ ნაწილობრივ იქნება შენაცვლებული მათი გოგონების თაობით. 2000 წლის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ დედათა თაობის მხოლოდ 78%-მდე იქნება განახლებული მათი გოგონების თაობით. დაახლოებით მსგავს ვითარებას აქვს ადგილი 1993 წლიდან.

აღნიშნული პრაქტიკულად იმის ტოლფასია, რომ 2020 წლიდან საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 1990-იანი წლების შუა პერიოდის მოსახლეობის რაოდენობის მხოლოდ 80%-მდე შეადგინოს (გარე მიგრაციის გარეშე).


როგორც ცნობილია, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა უზენაესს, თუ საშუალოდ რამდენი გოგო უნდა გააჩინოს ერთმა ქალმა, რომ უზრუნველყოფილ იქნას დედათა თაობის იმავე რაოდენობით შენაცვლება (მარტივი აღწარმოება). მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახლოსაა 1-თან მისი სიდიდე¹⁷.

როგორც ვხედავთ, 1960 წლიდან საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა სულ უფრო იზრდებოდა. მოსახლეობის აღწარმოების

¹⁷ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2005, გვ. 186.

რეჟიმის გაუარესება და გაფართოებული შეკვეცილით შეცვლა მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობის ზრდის პირობებში მიმდინარეობდა.

დიაგრამა 1.34. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა საქართველოში 1960-2000 წწ. (შეფასებითი მონაცემებით)




წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 142.

1960 წელს საქართველოში 100 დედას საშუალოდ 108 გოგონა უნდა გაეჩინა, რომ მომხდარიყო დედათა თაობის გოგონათა თაობით განახლება. 1975 წელს ამისათვის 105 გოგონა იყო საკმარისი, ხოლო 1990-იან წლებში – 103.

ასე რომ ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა უმჯობესდებოდა. გაუარესდა ის, რომ 100 დედას 100 გოგონაზე ნაკლები ეყოლება და ამდენად ვერ მოხდება დედათა თაობის განახლება.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ევროპის ბევრ ქვეყანაში, საქართველოსთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობა არ არის.

დიაგრამა 1.35. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი საქართველოსა და ზოგიერთ ქვეყანაში



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 142.

1.5. ქორწინება

ქორწინება წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კანონით ან ჩვეულებით ნებადართულ კავშირს ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში¹⁸.


დემოგრაფიაში ქორწინებას განსაზღვრავენ როგორც შეუღლებული წყვილების წარმოქმნის პროცესს. იგი აღნიშნავს აგრეთვე თაობის ან მოსახლეობის ქორწინებაში ყოფნას¹⁹.

ქორწინების დემოგრაფიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მისი მჭიდრო კავშირი მოსახლეობის აღწარმოებასთან²⁰.

ქორწინება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სხვადასხვა სქესის და ასაკის მოსახლეობის დაქორწინებულებისა და დაუქორწინებლების რაოდენობა, თუ თანაფარდობა. თავის მხრივ, ქორწინებათა სიხშირე მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის შემაღენლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელთაგანია²¹.

ნაშრომის მოცემული ნაწილის განხილვისას ძირითადად შემოვიფარგლებით რეგისტრირებული ქორწინების არსებული მონაცემებით, თუმცა ფაქტობრივი ქორწინებების სიხშირე გარკვეულწილად ცვლის ამ მხრივ ვითარებას.

დიაგრამა 1.36. ქორწინებაში მყოფი საქართველოს მოსახლეობის დინამიკა (შესაბამისი ასაკისა და სქესის 1000 სულზე)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 20.

¹⁸ მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები. თბილისი, 1998, გვ. 49.

¹⁹ იქვე.

²⁰ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 267.

²¹ მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში (1959-1999 წწ.) საშუალოდ, 15 წელზე უფროსი მამაკაცების 70%-მდე და იგივე ასაკის ქალების 60%-მდე იმყოფებოდა ქორწინებაში.

20 წლამდე ასაკის მამაკაცებისა და ქალების ქორწინებაში მყოფთა წილი, გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, გაიზარდა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში.

20-24 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი მამაკაცებისა და ქალების წილი ჯერ იზრდებოდა, ხოლო 1990-იან წლებში შემცირდა, განსაკუთრებით ქალების წილი.

25-49 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფ მამაკაცთა წილი მთელი პერიოდის განმავლობაში განუხრელად კლებულობდა, ხოლო 50 და უფროსი ასაკის ქორწინებაში მყოფი მამაკაცების წილი, გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, 1999 წლისათვის შემცირდა.


25-44 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების წილი, გარკვეულ ცვალებადობას განიცდიდა, თუმცა 1999 წლისათვის, წინა პერიოდთან შედარებით ის ნაკლები აღმოჩნდა.

45 წლისა და უფროსი ასაკის ქალების წილი, ცვლილების მიუხედავად, მთლიანობაში გაიზარდა.

საქართველოში დროთა განმავლობაში, დაქორწინებული მამაკაცებისა და ქალების კლების შედეგად, სულ იზრდებოდა ქორწინებაში არასდროს მყოფთა წილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი 1990-იან წლებში.

თვალსაზრისით თვის საქართველოში მიმდინარე აღნიშნული პროცესი გამოსახულია დიაგრამაზე.

დიაგრამა 1.37. ქორწინებაში არასდროს მყოფები საქართველოში 1979-1999 წწ. (შესაბამისი ასაკისა და სქესის მოსახლეობის 1000 სულზე)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 21.

მიჩნეულია, რომ “საქორწინო ბაზარზე” არსებული ვითარება ერთ-ერთ იმ ფაქტორთაგანს წარმოადგენს, რომელზედაც დამოკიდებულია ქორწინება.

“საქორწინო ბაზარი” ტერმინია, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში ქორწინების უნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობათა თანაფარდობის აღსანიშნავად. ვითარება “საქორწინო ბაზარზე” მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობაში პოტენციური საქორწინო პარტნიორების რაოდენობაზე, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ შემადგენლობაზე. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება გაუთხოვარი ქალების რაოდენობა საშუალოდ ერთ დაუქორწინებელ მამაკაცზე. ვინაიდან დაქორწინებისას მამაკაცების ასაკი საშუალოდ 4 წლით აღემატება ქალების ასაკს, ამიტომ “საქორწინო ბაზრის” გასაანგარიშებლად გამოიყენება მამაკაცებისა და ქალების რაოდენობათა თანაფარდობა, რომლებიც მოცემული დროისათვის არ იმყოფებიან ქორწინებაში

და ამასთან მამაკაცების ასაკობრივი ჯგუფი მეტია ქალებისაზე ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალით²².

1959 წელს, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, “საქორწინო ბაზრის” თვალსაზრისით ქალების რაოდენობა ჭარბობდა მამაკაცების რაოდენობას. ამასთან, ასაკის მატებასთან ერთად იზრდებოდა ქალების რაოდენობა, რომლებიც საშუალოდ ერთ პარტნიორ მამაკაცზე მოდიოდა. განსაკუთრებით დიდი იყო განსხვავება 30 წლისა და უფროსი ასაკის ქალებისათვის, თუმცა 25-34 წლის ერთ უცოლო მამაკაცზე 2-ზე მეტი ქალი მოდიოდა, რაც ასევე საკმაოდ დიდ სხვაობას წარმოადგენს. 1959 წლის “საქორწინო ბაზარი” მეორე მსოფლიო ომის შედეგებსაც ასახავს იმ თვალსაზრისით, რომ მამაკაცების დანაკარგები ქალებზე მეტი იყო. ამიტომ ამ დროს “საქორწინო ბაზრის” ფორმირებაზე გავლენას წინა (1940-იანი წწ.) პერიოდი ახდენდა²³.

1970 წელს 1959 წელთან შედარებით სიტუაცია საქართველოს “საქორწინო ბაზარზე” მნიშვნელოვნად შეიცვალა. (იხ. ცხრილი 1.7.). ამ პერიოდში გარკვეული ნიველირება განიცადა ომის შედეგებმა, თუმცა 45-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებისათვის ის მაინც შეიმჩნეოდა.

ცხრილი 1.7. ვითარება საქართველოს “საქორწინო ბაზარზე”

ასაკი		ქორწინებაში არმყოფი ქალების რაოდენობა საშუალოდ ერთ ქორწინებაში არმყოფ მამაკაცებზე				
მამაკაცები	ქალები	1959	1970	1979	1989	1999
20-24	15-19	1.1	1.5	1.4	1.2	1.2
25-29	20-24	2.1	1.6	1.7	1.1	1.3
30-34	25-29	2.7	1.2	2.3	1.7	1.1
35-39	30-34	7.0	3.1	2.1	2.1	1.4
40-44	35-39	9.4	3.1	2.5	3.2	2.4
45-49	40-44	9.6	7.8	4.7	2.6	2.8

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 22.

წინა პერიოდთან შედარებით, გაიზარდა იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც 20-24 წლის მამაკაცებზე მოდიოდა. სამაგიეროდ შემცირდა იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც სხვა ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებზე მოდიოდა, თუმცა 20 წლის ასაკიდან, ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფში, შეიმჩნეოდა საქორწინო პარტნიორი მამაკაცების საკმაოდ დეფიციტი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 1959-1970 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა აღნიშნული განსხვავება 35-44 წლის მამაკაცებისათვის, ამ ასაკის უცოლო მამაკაცზე, 1970 წელს, საშუალოდ სამი გაუთხოვარი ქალი მოდიოდა²⁴.

1979 წელს, 1970 წელთან შედარებით, ძირითადად შეიცვალა 30 წლისა და უფროსი ასაკის მამაკაცებისა და 25 წლისა და უფროსი ასაკის ქალების რაოდენობათა თანაფარდობა და სწორედ მათთვის მოხდა ვითარების ცვლილება “საქორწინო ბაზარზე”. 20 წლამდე ასაკის ქალებისა და 25 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის, წინა პერიოდთან შედარებით, “საქორწინო ბაზარმა” ნაკლები ცვალებადობა განიცადა²⁵.

1989 წელს, 1979 წელთან შედარებით, “საქორწინო ბაზარი” განიცდის შემდგომ ცვლილებას, რაც იმით გამოიხატა, რომ გაუთხოვარი ქალების

²² მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 52; დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2005, გვ. 245-246 და სხვა.

²³ მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე.

რაოდენობა საშუალოდ ერთ უცოლო მამაკაცზე შემცირდა 35 წლამდე ასაკისათვის (აგრეთვე 45-49 წლის ასაკის მამაკაცებისათვის). იგივე დარჩა 35-39 წლის მამაკაცებისათვის და გაიზარდა 40-44 წლის მამაკაცებისათვის²⁶.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1990-იანი წლების საქართველოს “საქორწინო ბაზრის” ფორმირებაზე გავლენა იქონია ინტენსიურმა გარე მიგრაციულმა პროცესებმა²⁷.


საქმე ის არის, რომ ბოლო დროს ჩატარებულმა გამოკვლევებმა²⁸ დაადასტურა ადრე გამოთქმული ის დებულება²⁹, რომ გარე მიგრაციისას მამაკაცებში ქალებთან შედარებით ჭარბობს დაქორწინებულები, ხოლო ქალებში – ქორწინებაში არმყოფები. ამასთან, ქორწინებაში არმყოფების მეტი წილი 39 წლამდე ასაკის მიგრანტებზე მოდის, ხოლო დაქორწინებულების – 40 წელზე უფროს მიგრანტებზე³⁰.

1999 წელს, 1989 წელთან შედარებით “საქორწინო ბაზარი” არ შეცვლილა 25 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის. იმევე დროს, რამდენადმე გაიზარდა გაუთხოვარი ქალების რაოდენობა საშუალოდ ერთ მამაკაცზე 25-29 წლისა და 45-49 წლის ასაკში და ქალების კლებას ადგილი ჰქონდა 30-44 წლის ასაკის მამაკაცების შემთხვევაში.

საერთო ჯამში, საქართველოს “საქორწინო ბაზარზე”, XX საუკუნის მიწურულს, პარტნიორი მამაკაცების დეფიციტი შეიმჩნეოდა და ეს დეფიციტი უფრო დიდი იყო 1989 წელთან შედარებით.

ჩვენი გაანგარიშებით, 1999 წელს, საქართველოში, 103 ათას გაუთხოვარ ქალს არ ჰყავდა ასაკის შესაფერისი საქორწინო პარტნიორი დაუქორწინებელი მამაკაცი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დეფიციტის თითქმის ნახევარი 25 წლამდე ასაკის გაუთხოვარ ქალებზე მოდიოდა.

დიაგრამა 1.38. რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობისა და 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობის ცვლილება საქართველოში (ათასი)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 24.

²⁶ მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

²⁷ იქვე, გვ. 56, იხ. აგრეთვე გ.მელაძე, გ.წულაძე. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 1997, გვ. 52.

²⁸ მიგრაციის სტატისტიკა (შერჩევითი გამოკვლევა). საქართველოს სტატ. სახ.დეპარტამენტი. თბილისი, 2001.

²⁹ მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 56; გ.მელაძე, გ.წულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

³⁰ მიგრაციის სტატისტიკა (შერჩევითი გამოკვლევა). საქართველოს სტატ. სახ. დეპარტამენტი. თბილისი, 2001, გვ. 16.

მიუხედავად იმისა, რომ 1960-დან 1990 წლის ჩათვლით საქართველოში მატულობდა ქორწინებისუნარიანი ძირითადი ასაკების ქალების რაოდენობა, ქორწინებათა რაოდენობა ცვალებადობას განიცდიდა და ქორწინებათა რაოდენობის კლებას მატემა მოჰყვებოდა, ხოლო მატებას – კლება.

1990-იან წლებში ქორწინებისუნარიანი ასაკის ქალების რაოდენობა საქართველოში რამდენადმე შემცირდა (2000 წელს 1990 წელთან შედარებით 19 %-ით), მაგრამ იმავე დროს გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად დაიკლო ქორწინებათა რაოდენობამ (თითქმის 3-ჯერ). აღნიშნულზე წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 1.38.

ცხრილი 1.8. რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა საქართველოში

წელი	ყველა ქორწინება	პირველი ქორწინება		ხელახალი ქორწინება		ხელახალ ქორწინებათა წილი (%) ყველა ქორწინებას შორის	
		მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
1980	50547	48530	49573	2017	974	4.0	1.9
1985	44168	40231	41965	3937	2203	8.9	5.0
1990	36812	32680	34111	4132	2701	11.2	7.3
1991	38070	34663	35835	3407	2235	8.9	5.9
1992	26878	24763	25465	2115	1413	7.9	5.3
1993	24105	22489	23025	1616	1080	6.7	4.5
1994	21907	20752	21135	1155	772	5.3	3.5
1995	21481	20374	20670	1107	811	5.2	3.8
1996	19253	18454	18758	799	495	4.2	2.6
1997	17099	16588	16796	511	303	3.0	1.8
1998	15343	14961	15077	382	266	2.5	1.7
1999	13845	13457	13545	388	300	2.8	2.2
2000	12870	12561	12654	309	216	2.4	1.7

წყარო: სდ მონაცემებით; გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 25.

20 წლის განმავლობაში, 1980 წლიდან, ქორწინებათა საერთო რაოდენობა 4-ჯერ შემცირდა. მნიშვნელოვანი კლება განიცადა როგორც პირველმა, ისე განსაკუთრებით ხელახალ ქორწინებათა რაოდენობამ (იხ. ცხრილი 1.8).

ხელახალ ქორწინებათა წილი საქართველოში მამაკაცებში უფრო მეტი იყო ქალებთან შედარებით.

1980 წლიდან, 1990 წლის ჩათვლით, ხელახალ ქორწინებათა წილი საქართველოში მატულობდა, ხოლო 1990 წლიდან – მცირდებოდა. 2000 წლისათვის მან მიაღწია ძალიან დაბალ მნიშვნელობას. მაგალითად, რუსეთში, 1999 წელს, ხელახალ ქორწინებათა წილი მამაკაცებში 10-ჯერ უფრო მაღალი (27,5%), ხოლო ქალებში 12-ჯერ უფრო მაღალი (26,3%) იყო, ვიდრე იმავე დროს საქართველოში³¹.

ხელახლად დაქორწინებულ მამაკაცებსა და ქალებს შორის განქორწინებულები ჭარბობენ ქვრივებს.

ქორწინების ასაკი ქორწინების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. ქორწინების ასაკი კულტურისა და ტრადიციების ფონზე ყალიბდება, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენას განიცდის.

დემოგრაფიაში ყველა ქორწინების (პირველი და შემდგომი) ასაკის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველი ქორწინების ასაკს და მასში ქალების პირველი ქორწინების ასაკს.

ცხრილში (1.9) მოტანილია მონაცემები რეგისტრირებული ქორწინებების საშუალო ასაკის შესახებ საქართველოსა (ყველა ქორწინება, პირველი და

³¹ Население России 2000. Отв. ред. А.Г. Вишневецкий. М., 2001, с.29.

ხელახალი ქორწინება მამაკაცებისა და ქალებისათვის) და შედარებისათვის ევროპის ზოგიერთი ქვეყანისათვის (ქალების პირველი ქორწინების).

ცხრილი 1.9. რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკი

წელი	ყველა ქორწინება		პირველი ქორწინება		ხელახალი ქორწინება		ქალების პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ზოგიერთ ქვეყანაში			
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	შვედეთი	დანია	ბელგია	ავსტრია
1980	30.2	26.7	29.8	26.5	42.0	39.3	26.0	24.6	22.2	23.2
1990	28.8	25.3	27.1	24.1	42.5	40.1	27.5	27.6	24.2	24.9
1991	27.9	24.4	26.5	23.4	42.6	39.7	27.6	27.8	24.4	25.2
1992	27.6	24.1	26.3	23.2	42.7	39.8	28.0	28.0	24.7	25.3
1993	27.7	24.0	26.6	23.3	42.8	39.5	28.1	28.5	24.9	25.6
1994	27.8	24.0	26.9	23.5	43.2	39.0	28.5	28.9	25.2	25.8
1995	28.0	24.1	27.1	23.6	43.5	37.8	28.7	29.0	25.4	26.1
1996	27.9	24.1	27.2	23.7	44.2	39.4	28.9	29.2	26.0	26.3
1997	28.1	24.4	27.8	24.2	39.0	37.2	29.2	29.4	26.0	26.5
1998	28.5	24.5	28.2	24.4	41.8	37.9	29.4	29.5	25.8	26.7
1999	28.8	25.1	28.5	24.8	43.6	38.2	29.8	29.7	26.1	27.0
2000	28.9	24.9	28.5	24.8	44.3	39.7	30.2	29.5	26.2	27.2

წყარო: სდ მონაცემებით; გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 26.
საზღვარგარეთის ქვეყნები: Recent demographic developments in Europe 2001. Strasbourg, 2001.

საქართველოში, 1980 წელს და, არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, 1960-1970 წლებში, ქორწინების საშუალო ასაკი იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი იყო.

1990 წლისათვის, წინა პერიოდთან შედარებით, ქორწინების საშუალო ასაკმა საქართველოში დაიკლო. 1990-იან წლებში ქორწინების საშუალო ასაკი, საქართველოში, განიცდიდა ცვალებადობას და 1990-იანი წლების ბოლოსათვის ის უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1990-იანი წლების დასაწყისში, თუმცა მაინც უფრო დაბალი რჩებოდა 1960-1980-იან წლებთან შედარებით.

დასავლეთის ქვეყნებში ქორწინების ასაკის ზრდის პირველი ნიშნები 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან იჩენს თავს, ხოლო 1980-იანი წლებიდან ამ პროცესმა მოიცვა პრაქტიკულად ევროპისა და სხვა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოკლებით³².

ცხრილში მოტანილ საზღვარგარეთის ქვეყნებში, 1980 წელს, ქალების პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ნაკლები იყო, ხოლო ზოგიერთში (ბელგია, ავსტრია) გაცილებით ნაკლები, ვიდრე იმავე დროს საქართველოში. 1990-იანი წლების ბოლოს ევროპის აღნიშნულ ქვეყნებში ქორწინების საშუალო ასაკი უკვე მეტი იყო და თანაც საგრძნობლად მეტი, ვიდრე საქართველოში. ევროპის ყველა ამ ქვეყანაში ქორწინების საშუალო ასაკი 1980-იანი წლებიდან მატულობდა, მაშინ როდესაც საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, მან ჯერ დაიკლო, ხოლო შემდეგ გარკვეულ ფარგლებში მერყეობდა.

რაც შეეხება განსხვავებას მამაკაცებისა და ქალების ქორწინების საშუალო ასაკს შორის საქართველოში 1990-იანი წლების ბოლოს, პირველი ქორწინებისათვის ის 3,7 წელს შეადგენდა და 1990-იან წლებში აღნიშნულ სხვაობას ზრდის ტენდენცია ჰქონდა.


ხელახალი ქორწინებისას, როგორც მამაკაცების, ისე ქალების საშუალო ასაკი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე პირველი ქორწინებისას. ამასთან,

³² Население России 2000. Отв. ред. А. Г. Вишневский. М., 2001, с. 33.

ხელახალი ქორწინებისას მამაკაცების ასაკი უფრო მეტია ქალებისაზე, ვიდრე პირველი ქორწინებისას.

ქორწინების ისეთი ზოგადი მაჩვენებელიც კი, როგორცაა ქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე, უჩვენებს რეგისტრირებულ ქორწინებათა სიხშირის კლებას საქართველოში 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან კლებას – 1992 წლიდან (იხ. დიაგრამა 1.39).

დიაგრამა 1.39. რეგისტრირებული ქორწინებები საქართველოში მოსახლეობის 1000 სულზე (შეფასებითი მოსახლეობის რაოდენობა)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 28.

მდგომარეობაში უკეთ გარკვევის მიზნით, ვნახოთ თუ რა ცვლილებები განიცადეს რეგისტრირებული ქორწინების ასაკობრივმა კოეფიციენტებმა 1990-იან წლებში. ვინაიდან, ყველა ქორწინებას შორის ძალიან უმნიშვნელოა ხელახალ ქორწინებათა წილი, ყურადღებას პირველი ქორწინების ასაკობრივ კოეფიციენტებზე შევაჩერებთ. ამასთან, განვიხილავთ 35 წლამდე ასაკის ქორწინების ასაკობრივ კოეფიციენტებს, ვინაიდან პირველად დაქორწინებული ქალების 90 %-მდე და მამაკაცების 80 %-ზე მეტი 35 წლამდე ასაკზე მოდის.

ყველაზე მნიშვნელოვანი კლება განიცადა 25 წლამდე ასაკის მამაკაცებისა და ქალების რეგისტრირებულმა ქორწინებამ. 1992 წლიდან განუხრელად კლებულობდა 20 წლამდე ასაკის და 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფების ქალების ქორწინების სიხშირე. 20 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის ქორწინების კლება ძირითადად 1996 წლიდან იწყება, თუმცა 20-24 წლის ასაკის მამაკაცების ქორწინების სიხშირის კლება, ისევე როგორც ქალების შემთხვევაში, 1992 წლიდან დაიწყო. 1992 წელს მომხდარი კლების შემდეგ, მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში ცვალებადობას განიცდიდა 25-34 წლის ასაკის მამაკაცებისა და ქალების ქორწინების სიხშირე, თუმცა 2000 წლისათვის მათი ქორწინებათა სიხშირე მაინც უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე 1990-1991 წლებში იყო.

ამდენად, რეგისტრირებული ქორწინების საერთო კლება, საქართველოში, 1990-იან წლებში, ძირითადად განაპირობა 25 წლამდე ასაკის მამაკაცებისა და ქალების ქორწინების სიხშირის შემცირებამ.

20 წლამდე ასაკში რეგისტრირებული ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი მამაკაცებისათვის შემცირდა 30 %-ით და ქალებისათვის – 54 %-ით, ხოლო 20-24 წლის ასაკში შესაბამისად 55%-ით და 50%-ით. 45-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები საკმაოდ დაბალია, ხოლო შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში – კიდევ უფრო დაბალი. მაგალითად, 2000 წელს,

საქართველოში, 45-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცების ქორწინების კოეფიციენტი ნაკლები იყო 20-24 წლის მამაკაცების შესაბამის კოეფიციენტზე 14-ჯერ, ხოლო ქალების ანალოგიურ შემთხვევაში – 34-ჯერ.

რეგისტრირებული ქორწინებების ასაკობრივი კოეფიციენტების აღნიშნული ყველა ცვლილება საერთო ჯამში აისახა რეგისტრირებული ქორწინების ჯამობრივ კოეფიციენტებში.

დიაგრამა 1.40. რეგისტრირებული ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტების ცვლილება საქართველოში 1990-2000 წლებში (შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 29.

2000 წელს, 1990 წელთან შედარებით, რეგისტრირებული ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი როგორც ყველა, ისე პირველი ქორწინებისა, დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები იყო (ხელახალი ქორწინების – 9-10-ჯერ ნაკლები).


მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ მამაკაცებისა და ქალების დაახლოებით ნახევარზე რამდენადმე მეტი, საქართველოში, თავისი ცხოვრების მანძილზე არ შედის რეგისტრირებულ ქორწინებაში.

1.6. ბანძორწინება

განსახილველი პერიოდის განმავლობაში, 1960 წლიდან 1990 წლის ჩათვლით, განქორწინებათა რაოდენობა საქართველოში, გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, მატულობდა, ხოლო 1990 წლის შემდეგ კლებულობდა.

განქორწინებათა სიხშირის ზრდაზე მიუთითებს ისეთი უხეში მაჩვენებელი, როგორც არის განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (განქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე), რომელიც 1990 წელს 1960 წელთან შედარებით 3,5-3,8-ჯერ მეტი იყო.

დიაგრამა 1.41. განქორწინების ზოგადი კოეფიციენტის ცვლილება საქართველოში 1960-2000 წლებში (%)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 33.

უკვე 1960-იანი წლების მეორე ნახევარში განქორწინება მოსახლეობის 1000 სულზე 2,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1960-იანი წლების პირველ ნახევარში. მკვეთრი ზრდის შემდეგ, მთელი 7 წლის განმავლობაში (1972 წლის ჩათვლით), განქორწინების სიდიდე მოსახლეობის 1000 სულზე არ შეცვლილა და მხოლოდ 1973 წლიდან დაიწყო მისი ნელი და თანდათანობითი ზრდა. 1992 წელს მოხდა მისი მკვეთრი და მნიშვნელოვანი შემცირება. 1993 წელს, 1992 წელთან შედარებით, ნაკლებ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან კლებას ჰქონდა ადგილი, რის შემდეგ განქორწინება მოსახლეობის 1000 სულზე განაგრძობდა შემცირებას. იგი უმნიშვნელოდ მხოლოდ 2000 წლისათვის გაიზარდა, თუმცა მისი დონე ისეთივე იყო ამ დროს, როგორც 1965 წელს, 35 წლის წინ. ამასთან, მისი დონე ძალიან დაბალია, როგორც მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში, ისე განსაკუთრებით 1990-იან წლებში.

მაგალითად, რუსეთში უკვე 1970 წელს განქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე 3-ჯერ მეტი იყო, ვიდრე იმავე დროს საქართველოში, ხოლო 1990 წელს – 2,5-ჯერ მეტი. 1997 წელს რუსეთში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (3,8) უკვე თითქმის 8-ჯერ მეტი იყო, ვიდრე იმავე დროს საქართველოში³³.

საქართველოში, განქორწინებათა რაოდენობა 100 ქორწინებაზე გაიზარდა რა 1970-იანი წლებისათვის, პრაქტიკულად უცვლელ დონეზე იყო 1980 წლამდე. მის უმნიშვნელო ზრდას ჰქონდა ადგილი 1985 წლისათვის, რის შემდეგაც მიაღწია მაქსიმალურ მნიშვნელობას 1990 წელს. 1990-იან წლებში ცვალებადობას და ზოგადად კლების ტენდენციას ჰქონდა ადგილი და მხოლოდ 2000 წელს შეიმჩნეოდა ზრდა.

³³ Население России 1998. Отв. ред. А.Г. Вишневецкий. М., 1999, с. 33.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 33.

სხვა ქვეყნებთან შედარებით განქორწინებათა რაოდენობა 100 ქორწინებაზე საქართველოში დიდი არ არის. მაგალითად, რუსეთში, 1999 წელს ის 58,4-ის ტოლი და 5-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე იმავე დროს საქართველოში³⁴.

დიაგრამა 1.42. განქორწინებათა რაოდენობა 100 ქორწინებაზე საქართველოში 1960-2000 წლებში



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 34.

მართალია, განქორწინებათა რაოდენობა ქორწინებასთან მიმართებაში გარკვეულ წარმოდგენას იძლევა განქორწინების დონეზე, მაგრამ მისი გამოყენება განქორწინების ინტენსივობის დახასიათებისათვის მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან მნიშვნელოვანი არ მოიცავს ყველა იმ ქორწინებას, რომელიც შეიძლება შეწყვეტილიყო. ამასთან, აღნიშნულ მაჩვენებელზე, ისევე როგორც განქორწინების ზოგად კოეფიციენტზე, გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და სხვა³⁵.

ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება განქორწინების სხვა მაჩვენებლები, ისეთები, როგორც არის განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები, განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი და სხვა, რომლებიც განქორწინების ინტენსივობისა და დონის უფრო ზუსტ მახასიათებლებს წარმოადგენენ და რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მამაკაცების განქორწინებათა მაქსიმალური სიხშირე, მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში (1960-2000 წწ.), 30-39 წლის ასაკზე მოდის. ქალების შემთხვევაში 1960 და 2000 წელს მსგავსი ვითარება შეიმჩნეოდა, ხოლო 1970-1995 წლებში განქორწინების, სხვებთან შედარებით, მაღალი ინტენსივობა დამახასიათებელი იყო 25-34 წლის ასაკის ქალებისათვის.

1960 წლიდან 1980 წლამდე გაიზარდა ყველა მოტანილი ასაკის როგორც მამაკაცების, ისე ქალების განქორწინების ინტენსივობა.

1990 წლისათვის, წინა პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 35-49 წლის ასაკის მამაკაცების, 25-29 და 35-44 წლის ასაკის ქალების განქორწინების კოეფიციენტები, ხოლო სხვა ასაკებისათვის ძირითადად კლებას ჰქონდა ადგილი.

1990 წლები რეგისტრირებულ განქორწინებათა კლებით არის აღსანიშნავი, რაც ბუნებრივია აისახა განქორწინების ასაკობრივ კოეფიციენტებში.

უკვე 1995 წელს, 1990 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად იყო დაკლებული ყველა ასაკში როგორც მამაკაცების, ისე ქალების განქორწინების კოეფიციენტები. 2000 წლისათვის შეინიშნებოდა შემდგომი კლება და ამასთან საკმაოდ მნიშვნელოვანი. 1995 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა მხოლოდ 50-54 წლის ასაკის მამაკაცების განქორწინების კოეფიციენტი და იგივე სიდიდე


³⁴ Население России 2000. Отв. ред. А.Г. Вишневецкий. М., 2001, с. 29, 39

³⁵ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2000, გვ. 98.

შეადგინა იმავე ასაკის ქალების განქორწინების კოეფიციენტი, თუმცა ისინი გაცილებით ნაკლები იყვნენ, ვიდრე 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლები. 50-54 წლის ასაკის მამაკაცების განქორწინების კოეფიციენტი 2000 წელს, 1990 წლის დონის მხოლოდ 42 % შეაგენდა, ხოლო ქალებისა – 28 %.

1960 წლიდან 1990 წლის ჩათვლით განქორწინების ჯამობრივ კოეფიციენტს ზრდის ტენდენცია ახასიათებდა (განსაკუთრებით 1970-იან წლებში), ხოლო 1990 წლის შემდეგ – კლება და მხოლოდ უმნიშვნელო ზრდა 2000 წელს 1999 წელთან შედარებით.


დიაგრამა 1.43. განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტები საქართველოში



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 35.

განქორწინების დონის უფრო ზუსტი და ადეკვატური მახასიათებელია განქორწინების ინდექსი, რომელიც მიიღება განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტისა და ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტის შეფარდებით. მისი ცვლილება გამოსახულია დიაგრამაზე.

დიაგრამაზე 1.44. განქორწინების ინდექსის ცვლილება საქართველოში 1960-2000 წწ.



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 36.

როგორც ვხედავთ, მამაკაცებისა და ქალების განქორწინების დონე საქართველოში მაქსიმალურ სიდიდეს 1990 წელს აღწევს. 1991-1993 წლებში განქორწინება კლებულობს, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად 1993 წელს. 1994 წელს 1993 წელთან შედარებით, როგორც მამაკაცების, ისე ქალების განქორწინების დონე რამდენადმე გაიზარდა, თუმცა 1995-1998 წლებში მას ისევ კლების ტენდენცია ახასიათებდა. 1999 წელს 1998 წელთან შედარებით განქორწინების

დონემ ძალიან უმნიშვნელოდ მოიმატა, ხოლო 2000 წელს მის შემდგომ ზრდას ჰქონდა ადგილი.

ამასთან, განქორწინების დონე საქართველოში გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მაგალითად, რუსეთში ანალოგიური მაჩვენებელი 1990-იანი წლების ბოლოს 4,6-ჯერ მეტი იყო და 0,6 აღწევდა (60 განქორწინება 100 ქორწინებაზე)³⁶.

განქორწინებულთა 65-75 % საქართველოში უშვილოა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში განქორწინების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი უშვილობაა. განქორწინებულ წყვილებს საშუალოდ 0,4-0,5 ბავშვი ჰყავდათ (1990-იან წლებში).

განქორწინებული მამაკაცებისა და ქალების მეტი წილი 25-39 წლის ასაკისაა, თუმცა განქორწინებული მამაკაცებისა და ქალების საშუალო ასაკი განქორწინებისას 2000 წელს შესაბამისად 39 და 36 წელზე რამდენადმე მეტი იყო.

1970 წელს 1960 წელთან შედარებით როგორც მამაკაცების, ისე ქალების განქორწინების საშუალო ასაკი გაიზარდა და 1980 წელს შემცირების შემდეგ (მამაკაცებში მეტად, ხოლო ქალებში უმნიშვნელოდ) ისევ მოიმატა 1990 წლისათვის.


1990-იან წლებში მამაკაცებისა და ქალების განქორწინების საშუალო ასაკი ცვალებადობას განიცდიდა, თუმცა 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე ყველაზე მაღალი იყო როგორც 1990-იან წლებთან შედარებით, ისე მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

დაქორწინებულთა მცირე ნაწილი ქორწინებიდან ერთი წლის შესრულებამდე განქორწინდება. ამასთან, ასეთების წილი, 1990-იან წლებში, გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, 2000 წლისათვის შემცირდა.

ქორწინებიდან 5-9 წლის შემდეგ განქორწინდება დაქორწინებულთა ყველაზე მეტი წილი, თუმცა არც თუ ისე მცირე წილი ქორწინებიდან 10, 15 და 20 და მეტი წლის შემდეგაც განქორწინდება (იხ. დიაგრამა 1.45.).

უნდა აღინიშნოს, რომ 1990-იან წლებში, საქართველოში, ქორწინების ხანგრძლივობა განქორწინების რეგისტრაციისას გაიზარდა, რასაც აგრეთვე ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა განქორწინებისას გვიჩვენებს (1990 წელს – 9,8; 2000 წელს – 11,3).

დიაგრამა 1.45. ქორწინების ხანგრძლივობა განქორწინების რეგისტრაციისას საქართველოში 1990-2000 წწ. (სდ მონაცემებით)



წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 38.

³⁶ Население России 2000. Отв. ред. А. Г. Вишневский. М., 2001, с. 38.

წყარო: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 36.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი ქორწინების ხანგრძლივობა განქორწინებისას ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე ქორწინების ხანგრძლივობა განქორწინების რეგისტრაციისას. საქმე ის არის, რომ განქორწინების იურიდიული რეგისტრაცია ფაქტობრივი განქორწინებიდან მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ წარმოებს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ფაქტობრივი განქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც.

1.7. ბარემ მიგრაცია

გარე მიგრაცია დემოგრაფიული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ამდენად მასზე ბევრად არის დამოკიდებული დემოგრაფიული სისტემის ფუნქციონირების თავისებურებანი და კანონზომიერებები.

გარე მიგრაციის ინტენსივობამ შეიძლება მნიშვნელოვანწილად განსაზღვროს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი, სოციალური, ეთნიკური და სხვა შემადგენლობა. აგრეთვე საგრძნობი გავლენა იქონიოს მოსახლეობის საერთო მატებაზე და დემოგრაფიულ დაბერებაზე, დემოგრაფიულ პროცესებზე და ზოგადად მოსახლეობის აღწარმოებაზე.

საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომლებისთვისაც გარე მიგრაცია მოსახლეობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

საქმე ის არის, რომ საქართველოს 1960 წლიდან გარე მიგრაციის უარყოფითი საღლო ახასიათებს. ამასთან, 1973-1996 წლებში საქართველოში ოფიციალური მონაცემებითაც კი, რომლებიც სრული არ არის გარე მიგრაციის უარყოფითი საღლო წელიწადში 10 ათასზე მეტი იყო (1990 წლის გარდა).

შედარებით მაღალი ბუნებრივი მატების პირობებში, გარე მიგრაციის უარყოფითი საღლოს მიუხედავად, წარმოებდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის მატება.

შობადობის კლებისა და მოკვდაობის ზრდის პირობებში, გარე მიგრაცია, უარყოფითი საღლოთი, სულ უფრო შესამჩნევ პოზიციას იკავებდა.

მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1990-იან წლებში, როდესაც მოხდა შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება და მოკვდაობის ზრდა, ხოლო ამავე დროს გაიზარდა გარე მიგრაციის ინტენსივობა. დაბალი ბუნებრივი მატება ვეღარ ახერხებდა გარე მიგრაციის მაღალი უარყოფითი საღლოს კომპენსირებას, რასაც მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის კლება. გარდა ამისა გარე მიგრაციამ გამოიწვია დემოგრაფიული დაბერების დაჩქარება და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია, რამაც გავლენა სხვა პროცესებზეც იქონია.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ საქართველოში ადგილი აქვს დაბადებულთა და გარდაცვლილთა არასრულ რეგისტრაციას და აღნიშნული იყო, რომ სხვადასხვა მიზეზით, სრული არ არის აგრეთვე ფაქტობრივ ქორწინებათა და განქორწინებათა მიმდინარე აღრიცხვა.

სპეციალისტების აზრით, ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი გარე მიგრაციის შემთხვევაში, ანუ სრულად არ ხდება გარე მიგრაციაში მონაწილეთა აღრიცხვა.

საბჭოთა პერიოდში, როდესაც სახელმწიფო საკმაოდ მკაცრად აკონტროლებდა მიგრაციას ჩაწერის ინსტიტუტის მეშვეობით, გარე მიგრაციის მონაცემები მეტ-ნაკლებად სრულად უნდა ასახავდნენ მის მუდმივ ფორმას, ანუ მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსვლა-გასვლას.

იგივეს ვერ ვიტყვით პოსტსაბჭოთა პერიოდზე, განსაკუთრებით ჩაწერის ინსტიტუტის ტრანსფორმაციისა და მისი რეგისტრაციის ახალი ფორმით შეცვლის შემდეგ.

ის, რომ გარე მიგრაციის შესახებ ოფიციალური მონაცემები მართებული არ იყო, გამომდინარეობს თვითონ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებიდან, რომლებიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გადაანგარიშებულ იქნა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებიდან გამომდინარე.

თუმცა მანამდე გადავხედოთ გარე მიგრაციის შესახებ არსებულ მონაცემებს, რომლებსაც იძლევა სტატისტიკის დეპარტამენტი 1960-1988 წლებისათვის.

ცხრილი 1.10. გარე მიგრაციის საღლო საქართველოსათვის 1960-1988 წლებში სდ მონაცემებით (ათასი)


წლები	საღლო	წლები	საღლო	წლები	საღლო
1960	-16.8	1970	-11.6	1980	-17.0
1961	-10.0	1971	-6.4	1981	-19.3
1962	-5.0	1972	-10.0	1982	-15.0
1963	-7.5	1973	-14.6	1983	-15.9
1964	-7.6	1974	-13.9	1984	-16.9
1965	-10.0	1975	-25.5	1985	-18.8
1966	-10.6	1976	-12.0	1986	-19.8
1967	-14.8	1977	-23.7	1987	-19.9
1968	-15.6	1978	-22.0	1988	-13.3
1969	-8.6	1979	-19.0	სულ	-421.1

წყარო: საქართველოს მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003, გვ. 67.

მოტანილი მონაცემებით, გარე მიგრაციის უარყოფითი საღლო საქართველოსათვის, 1960-1988 წლებში, 2-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე აქამდე გვხვდებოდა ზოგიერთ პუბლიკაციაში.

გაურკვეველი მიზეზებით (მიზეზები შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ) მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ, 1990-1992 წლებში, რომელსაც სტატისტიკის დეპარტამენტი ბოლო დრომდე იძლეოდა და რომელსაც ის ფლობს, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დიაგრამა 1.46. გარე მიგრაციის უარყოფითი საღლო საქართველოსათვის 1989-2000 წწ. სდ (გადაანგარიშებამდე და გადაანგარიშებული) და შეფასებითი მონაცემებით



წყარო: საქართველოს მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003, გვ. 67; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2001. Tbilisi, 2002, p. 153; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 186.

როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტის (ოფიციალური მონაცემებით) გარე მიგრაციის შესახებ გადაანგარიშებამდე და გადაანგარიშებული, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სტატისტიკის დეპარტამენტის გადაანგარიშებული მონაცემები უფრო ახლოს არის, და შეიძლება ითქვას მსგავსია, შეფასებითი მონაცემებისა.

რაც შეეხება გარე მიგრაციის შეფასებას, ის ეფუძნება დემოგრაფიული სისტემის მოდელში გარე მიგრაციის ადგილს და საქართველოში 1990-2000 წლებში

გარე მიგრაციის საკითხებზე ჩატარებული შერჩევითი გამოკვლევების შედეგების ანალიზს.

მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ წლიური ცვალებადობების მიუხედავად, საშუალოდ, ათწლეულების მიხედვით, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1960 წლიდან 1990 წლამდე, აბსოლუტური რაოდენობის თვალსაზრისით, განუხრელად მატულობდა (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით).

ცალკეულ წლებში გარე მიგრაციის ინტენსივობის საკმაო ცვალებადობას ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით 1960-1979 წლებში, თუმცა გარე მიგრაციის ინტენსივობა არ იყო 1,2%-ზე ნაკლები და 5,3%-ზე მეტი. შედარებით ნაკლები ცვალებადობით გამოირჩეოდა 1980-იანი წლები, როდესაც გარე მიგრაციის ინტენსივობა მერყეობდა 2,6 – 3,9 %-ეს შორის. საშუალოდ, 1960 წლიდან, ათწლეულების მიხედვით, საქართველოში გარე მიგრაციის ინტენსივობა მატულობდა.

ამდენად, გარე მიგრაციის ზოგად ტენდენციას საქართველოში 1960-1989 წლებში წარმოადგენდა გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო და გარე მიგრაციის ინტენსივობის ზრდა.

1990-იან წლებში საქართველოში მომხდარი ცნობილი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცვლილებები არ შეიძლება არ ასახულიყო გარე მიგრაციაში და აისახა კიდევ.

სამწუხაროდ, აღნიშნულ პერიოდში, 1980-იან წლებთან შედარებით, ცნობილ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს მოჰყვა დემოგრაფიული შემთხვევებისა და მიგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის გაუარესება.

ალბათ, ამის შედეგი იყო ის, რომ ოფიციალური, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების გარდა, გაჩნდა სხვადასხვა შეფასება გარე მიგრაციის შესახებ³⁷ (იხევე როგორც სხვა დემოგრაფიული შემთხვევებისას).

გარე მიგრაციის შესახებ სხვადასხვა ავტორის შეფასება განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთო მათ შორის ის არის, რომ აღნიშნული შეფასებები გარე მიგრაციის გაცილებით უფრო დიდ მასშტაბს გულისხმობს, ვიდრე ეს ოფიციალური მონაცემებიდან (გადაანგარიშებამდე) გამომდინარეობს.

დროთა განმავლობაში, ახალი მონაცემებისა, თუ ინფორმაციის უქუჩე, ცალკეული ავტორის შეფასება გარე მიგრაციის შესახებ იცვლებოდა და იხვეწებოდა.

ამდენად, საქართველოსათვის, ბოლო 40 წლის განმავლობაში, 1960-2000 წლების პერიოდში, დამახასიათებელი იყო გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო. ამასთან, 1960-1989 წლების სტატისტიკის დეპარტამენტის დაზუსტებული მონაცემებიდან და 1990-2000 წლების ჩვენი შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ საშუალოდ, ათწლეულების მიხედვით გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს როგორც აბსოლუტური სიდიდე, ისე ინტენსივობა მატულობდა.

შეფასებითი მონაცემებით 1960-2000 წლების პერიოდში, გარე მიგრაციის შედეგად, საქართველოს მოსახლეობას დააკლდა 1404 ათასზე მეტი ადამიანი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის 1990-იანი წლები, როდესაც სხვადასხვა შეფასებითი მონაცემით, საქართველოს მოსახლეობამ გარე მიგრაციის შედეგად გაცილებით მეტი დანაკლისი განიცადა, ვიდრე წინა 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში.

³⁷ თ. გუგუშვილი. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თბილისი, 1998; გ. მელაძე, გ. წულაძე. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 1997; რ. გაჩეჩილაძე. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები. თბილისი, 1997 და სხვა.

შეფასებითი მონაცემებით, 1990-2000 წლების პერიოდში საქართველომ, გარე მიგრაციის მეშვეობით, 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობის 19%-მდე დანაკლისი განიცადა, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი წავიდა ქვეყნიდან.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1995-2000 წლების პერიოდში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, უარყოფითი სალდოს 69,1% რუსეთზე მოდიოდა. 1995-1996 წლებში უარყოფითი სალდო საქართველოსათვის რუსეთთან, მთელი გარე მიგრაციის 72% შეადგენდა. შემდეგ წლებში, უარყოფითი სალდო რუსეთთან მნიშვნელოვნად კლებულობს და 1997-2000 წლების პერიოდისათვის, საშუალოდ, მხოლოდ 36,7% შეადგენს (სმ მონაცემებით).

უარყოფითი სალდოს სიდიდით საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა ისრაელი, საბერძნეთი, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი, თუმცა რუსეთთან შედარებით მათი სალდოს სიდიდე საკმაოდ დაბალია.

აღწერათა შორის პერიოდში (1989-2001) გარე მიგრაციის ინტენსივობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისათვის.

საქართველოში მცხოვრები ეროვნებებისათვის გარე მიგრაციის სალდო, აღწერათა შორის პერიოდში, გაანგარიშებულ იქნა ირიბი მეთოდის გამოყენებით. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა 1989 და 2002 წლების აღწერით დადგენილი საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და აღწერათა შორის პერიოდში მათი კორექტირებული ბუნებრივი მატება³⁸.

როგორც ვხედავთ ყველაზე მაღალი გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო დამახასიათებელი იყო ქართველებისათვის, შემდეგ რუსების, ოსებისა და სომხებისათვის. თუმცა სხვა ეროვნებებისათვისაც გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო საკმაოდ საგრძნობი იყო.

მართალია, აბსოლუტური სიდიდით გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ყველაზე დიდი ქართველებისათვის იყო, მაგრამ მთელ სალდოში მას მხოლოდ 29,5% ეკავა.

ცხრილი 1.11. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდოს ეროვნული შემადგენლობა 1989-2001 წლებში

	სალდო (ათასი)	სალდო %	სალდოს % 1989 წ. მოსახლეობასთან
ქართველი	-272.5	29.5	-7.2
რუსი	-184.8	19.9	-54.2
ოსი	-124.9	13.5	-76.1
სომეხი	-115.0	12.4	-26.3
ბერძენი	-70.1	7.5	-69.9
აზერბაიჯანელი	-53.2	5.7	-17.3
უკრაინელი	-43.9	4.7	-83.8
ებრაელი	-20.7	2.2	-84.1
ქურთი	-16.2	1.7	-48.6
ბელორუსი	-8.2	0.9	-95.3
სხვები	-19.0	2.0	-13.2
სულ	-928.5	100.0	-17.2

წყარო: ა. ვადაჭკორია. გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები). დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2004.

³⁸ ა. ვადაჭკორია. გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები). დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2004, გვ. 54-57.

უნდა აღინიშნოს, რომ სალდოს აბსოლუტური მნიშვნელობა შესაბამისი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით არ ახასიათებს გარე მიგრაციის ინტენსივობას. გარე მიგრაციის სალდოს ინტენსივობის ზუსტი სურათის დასადგენად, მოცემულ შემთხვევაში უფრო გამოსადეგია გარე მიგრაციის სალდოს შეფარდება შესაბამისი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობასთან პროცენტულ გამოსახულებაში.

ასეთი შეფარდებითი მაჩვენებლიდან გამომდინარეობს, რომ აღწერათაშორის პერიოდში, გარე მიგრაციის სალდოს ინტენსივობით გამოირჩეოდნენ ბელორუსები, ებრაელები და უკრაინელები.

საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებებს შორის შედარებით გარე მიგრაციის მაღალი ინტენსივობა ახასიათებდათ ოსებს, ბერძნებსა და რუსებს. ხოლო გარე მიგრაციის სალდოს ფარდობითი დაბალი სიდიდე – აზერბაიჯანელებსა და სომხებს და ყველაზე დაბალი – ქართველებს. მაჩვენებელი მართალია ასევე უარყოფითი იყო, თუმცა ყველაზე დაბალი.

ძირითადად სწორედ ასეთი ვითარების შედეგად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობაში ქართველების წილი 70%-დან (1989 წ.) 84%-მდე (2002 წ.).

რაც შეეხება კონკრეტულ გამოკვლევებს, რომლებიც მიზნად ისახავდა გარე მიგრაციის საკითხების შესწავლას, საკმაოდ რაოდენობის მიუხედავად, ისინი ძირითადად ლოკალურ ხასიათს ატარებდა და ზოგჯერ არარეპრეზენტატიულიც იყო. ამიტომ ქვემოთ მხოლოდ იმ გამოკვლევათა შედეგებს მოვიტანთ, რომლებიც მთელ ქვეყანას მოიცავდა და ამასთან რეპრეზენტატიული იყო. ასეთი სახის გამოკვლევები ძირითადად სტატისტიკის დეპარტამენტის მიერვე იყო შესრულებული. მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიკური ბარომეტრის გამოკვლევები, სადაც, სხვა პრობლემებთან ერთად, ასახულ იქნა გარე მიგრაციის საკითხები.

ეკონომიკური ბარომეტრის ფარგლებში, 1998 წლის დეკემბრიდან 2001 წლის ოქტომბრის ჩათვლით, გარე მიგრაციის შესახებ ჩატარებული იყო 10 გამოკვლევა. თითოეული გამოკვლევისას გამოკითხული იქნა 1500 რესპონდენტი.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ ეკონომიკური ბარომეტრის გამოკვლევის შედეგებს გარე მიგრაციის საკითხებზე (იხ. ცხრილი 1.12).

გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ საზღვარგარეთ მყოფ მიგრანტთა 80%-ზე რამდენადმე მეტი 20-24 წლის ასაკისაა. მიგრანტთა 50%-ზე მეტი საშუალო და ტექნიკური განათლების მქონეა. მიგრანტთა დაახლოებით 1/3 უმაღლესი განათლების მქონეა და მხოლოდ მცირე რაოდენობაა არასრული საშუალო განათლებით.

მიგრანტთა უმრავლესობა (2/3) რუსეთში იმყოფება. დაახლოებით 13% - საბერძნეთში, აშშ-სა და გერმანიაში – 7%-მდე. აღსანიშნავია, რომ რუსეთში, საბერძნეთში, აშშ-სა და გერმანიაში მყოფთა წილი უკანასკნელი წლების განმავლობაში მცირდება (განსაკუთრებით აშშ და გერმანიაში).

მიგრანტთა 2/3-ზე მეტი საზღვარგარეთ 1 წელზე მეტი დროის განმავლობაში იმყოფება.

საზღვარგარეთ მყოფთაგან 2/3 ეროვნებით ქართველია. საზღვარგარეთ წასვლის ინტენსივობა (საზღვარგარეთ მყოფთა რაოდენობის შეფარდება საქართველოში შესაბამის მოსახლეობის რაოდენობასთან) არაქართველებში ქართველებთან შედარებით 1,6-ჯერ მაღალია.

საზღვარგარეთ მყოფთა დიდი უმრავლესობა (70%-ზე მეტი) სამუშაოდ არის წასული და მათი დაახლოებით 60-70% მატერიალურად ეხმარება საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებს.

უახლოეს 6 თვეში საქართველოდან საზღვარგარეთ აპირებს წასვლას დაახლოებით 42-44 ათასი. მათგან 75%-მდე 20-49 წლის ასაკისაა.

ცხრილი 1.12. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია ეკონომიკური ბარომეტრის გამოკვლევების შედეგების მიხედვით (საშუალოდ წელიწადში)

	1999	2000
საზღვარგარეთ მყოფთა:		
ასაკი (%)		
20 წლამდე	3.8	5.8
20-49	85.4	80.2
50 და უფროსი	10.8	14.0
განათლება (%)		
არასრული საშუალო	4.8	4.5
საშუალო და ტექნიკური	59.7	54.1
უმაღლესი	35.5	41.4
ქვეყანა (%)		
რუსეთი	66.9	66.4
საბერძნეთი	13.4	13.2
აშშ ან გერმანია	11.2	8.1
სხვა	8.5	12.3
საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობა (%)		
ექვს თვემდე	15.7	12.2
6 თვიდან 1 წლამდე	11.7	12.0
1 წელზე მეტი	72.6	75.8
საზღვარგარეთ წასვლის პროგნოზები:		
უახლოეს 6 თვეში აპირებს საზღვარგარეთ წასვლას სულ (ათასი)	43.3	43.9
ასაკი (%)		
20 წლამდე	12.1	10.7
20-49	72.1	74.0
50 და უფროსი	15.8	15.3
დაბრუნების ვადა (%)		
ექვს თვემდე	41.0	27.7
6 თვიდან 1 წლამდე	29.8	29.0
1 წელზე მეტი	29.2	43.3
ქვეყანა (%)		
რუსეთი	50.5	47.4
საბერძნეთი	24.7	22.2
აშშ ან გერმანია	8.0	4.8
სხვა	24.8	25.6
წასვლის სურვილი აქვს (ათასი)	759.3	797.7*

*2000 წლის აპრილი

წყარო: მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2000., გვ. 33-41;
 მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2001, გვ. 25-32.

წამსვლელთა შორის ქართველთა წილი, წინა წლებისგან განსხვავებით, დაუახლოვდა ეროვნული ნიშნით საქართველოს მოსახლეობის დღევანდელ სტრუქტურას, ანუ გაიზარდა ემიგრანტ ქართველთა ინტენსივობა.

ბოლო წლებში წამსვლელთა 40% აპირებს 1 წელზე მეტი ხნით დატოვოს საქართველო, ხოლო მათ შორის დაახლოებით ნახევარი მუდმივ საცხოვრებლად აპირებს წასვლას.

2. საქართველოს დემოკრატიული ბანკითარება 2001-2006 წლებში

2.1. მოსახლეობა

როდესაც 2000-იან წლებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში აღსანიშნავია 2002 წელს (17 იანვრის მდგომარეობით) ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერა.

სამწუხაროდ, ბოლო დრომდე, არ გაგვაჩნია აღნიშნული აღწერის შედეგების სრულფასოვანი ანალიზი, განსაკუთრებით მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის შესახებ. გაანალიზებულია აღნიშნული აღწერის ცალკეული კომპონენტები, მაგალითად, გარე მიგრაცია³⁹.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის შედეგები სპეციალისტების მიერ არაერთგვაროვნად არის შეფასებული. ზოგიერთ შემთხვევაში მის მიმართ კრიტიკული შეფასებები გამოითქმება, თუმცა ეს შენიშვნები უფრო კერძო საუბრის, ვიდრე მეცნიერული პუბლიკაციების სახით წარმოგვიდგება.

რა უდევს საფუძვლად 2002 წლის მოსახლეობის აღწერისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას?

უპირველეს ყოვლისა აღნიშნული კრიტიკული დამოკიდებულება ეფუძნება ე.წ. “ფორმა ემ – საქართველოს მოსახლეობის 2002 წ. მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, ემიგრანტთა სააღწერო ფურცელს”, რომელმაც პრაქტიკულად ვერ, ან ცუდად “იმუშავა”. მაგალითად, აღნიშნული სააღწერო ფურცლის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ემიგრანტების რაოდენობა საქართველოდან შეადგენს 113,7 ათასს⁴⁰. იმავე დროს სტატისტიკის დეპარტამენტის გაანგარიშებით გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოსათვის აღწერათაშორის პერიოდში (1989-2001 წწ.) დაახლოებით 930 ათასი შეადგინა⁴¹.

ის, რომ მოსახლეობის აღწერა სრულად ვერ ასახავდა ემიგრაციის მასშტაბს, თუნდაც იქიდან გამომდინარეობს, რომ “მოცემული ინფორმაცია ემიგრანტების შესახებ მიღებულია მოსახლეობის აღწერის პერიოდში საქართველოში მყოფი მათი ოჯახის წევრებისაგან. საქართველოდან მიგრირებულთა 78,4 პროცენტის შინამეურნეობების წევრთა განცხადებით ისინი საზღვარგარეთ ძირითადად ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად წავიდნენ ... ემიგრირებულთა 81,1 პროცენტი საქართველოს მოქალაქედ რჩება ...”⁴².

2002 წლის მოსახლეობის აღწერის სხვა შედეგებს თავი რომ დავანებოთ, უკვე აღნიშნულიც ექვს იწვევს.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა 4371,5 ათასის, ხოლო ფაქტობრივი მოსახლეობის რაოდენობა – 4355,7 ათასის ტოლი იყო⁴³, ანუ სხვაობა მათ შორის შეადგენდა 15,8 ათასს.

გარე მიგრაციის სალდო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, თუ 930 ათასამდე იყო და ემიგრანტების ძირითადი ნაწილი ეკონომიკური პირობების გამო

³⁹ გ. წულაძე. ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით. CRRC. თბილისი, 2005.

⁴⁰ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის მასალები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

⁴¹ საქართველოს მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003, გვ. 67.

⁴² საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. თბილისი, 2004, ტ. III, ნაწ. 2. გვ. 4.

⁴³ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2004, გვ. 10.

შრომით ემიგრაციაში იმყოფებოდა და ამასთან მათი 81,1% საქართველოს მოქალაქეობას ინარჩუნებდა, მაშინ სხვაობა მუდმივ და ფაქტობრივ მოსახლეობას შორის 15,8 ათასზე გაცილებით მეტი უნდა იყოს.

წარმოდგენილი ნაშრომის მოცემული ნაწილი ეხება საქართველოს მოსახლეობას. ამდენად, გარე მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს უფრო დეტალურად შესაბამის ნაწილში განვიხილავთ.

გარე მიგრაციის დიდი მასშტაბის გამო სირთულეს წარმოადგენს 1989 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერების შედეგების შედარება ასაკობრივ-სქესობრივ ჭრილში. ამიტომ, ქვემოთ შედარებული იქნება 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები მუდმივი და ფაქტობრივი მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის შესახებ.


პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგებიდან გამომდინარე 0-4 ასაკობრივ ჯგუფში ფაქტობრივი მოსახლეობა აღემატება მუდმივს (645 ადამიანით). მათგან განსაკუთრებით დიდი რაოდენობა მოდის 1 წლამდე ასაკის ბავშვებზე (342). აღნიშნულს მხოლოდ ერთი ასხნა შეიძლება ჰქონდეს – საქართველოში შემოჰყავდათ 0-4 წლის ასაკის ბავშვები⁴⁴.

ასევე, 15-19, 20 და 21 წლის ასაკში მუდმივი მოსახლეობა ნაკლებია ფაქტობრივზე, რასაც იგივე ასხნა შეიძლება მოვუნახოთ – აღნიშნული ასაკის მოსახლეობა საქართველოში ჩამოვიდა (სულ 1594). მართალია ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ მუდმივი მოსახლეობა ნაკლები იყო ფაქტობრივზე 100 და უფროსი ასაკის შემთხვევაშიც (3 ადამიანი).

შრომისუნარიან ასაკში, მთლიანობაში, მუდმივი მოსახლეობა აღემატება ფაქტობრივს 12,3 ათასით. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის არსებული დიდი ინტენსივობის შემთხვევაში, გარე მიგრაციის უარყოფითი საღდოს პირობებში, მოტანილი სიდიდე ძალიან მცირედ გამოიყურება და გაცილებით დიდი უნდა იყოს.

რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკას 2001-2007 წლებში, მასზე წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 2.1.

დიაგრამა 2.1. საქართველოს მოსახლეობის ცვლილება 2001-2007 წწ.
(1 იანვრის მდგომარეობით)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 17.

⁴⁴ აქამდე ცნობილი იყო და ამას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ფართოდ აშუქებდნენ, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ გაჰყავთ დაბალი ასაკის ბავშვები.


შეფასებითი მონაცემებით გაანგარიშების მეთოდით მხოლოდ ფაქტობრივი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

მოტანილი დიაგრამიდან ჩანს, რომ 2002 წელს, შეფასებითი მოსახლეობის ფაქტობრივი რაოდენობა ნაკლები იყო მუდმივზე 370,5 ათასით. 2003-2007 წლებში აღნიშნული სხვაობა იზრდებოდა და 2007 წლისათვის მიაღწია 555,5 ათასს.

რაც შეეხება მოსახლეობის ცვლილებას 2001-2007 წლებში, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 6,7 ათასით. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა 2005 და განსაკუთრებით 2006 წლებში, ძირითადად გარე მიგრაციის ხარჯზე (საღლო დადებითი იყო). შეფასებითი მონაცემებით, საქართველოს ფაქტობრივი მოსახლეობა 2001-2007 წლებში კლებულობდა და 2007 წელს 2001 წელთან შედარებით 195,2 ათასით ნაკლები იყო.

2001-2006 წლებში მოსახლეობის ფორმირების ორი კომპონენტიდან ძირითადად ისევ გარე მიგრაცია გვევლინება.


დიაგრამა 2.2. მოსახლეობის საერთო მატების (კლების) კომპონენტები საქართველოში 2001-2006 წწ., ათასობით (შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 41, 205.

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა განიცდიდა გარკვეულ ცვალებადობას. წინა პერიოდთან შედარებით, 2001-2007 წლებში, რამდენადმე შემცირდა 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი და გაიზარდა 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ანუ დემოგრაფიულმა დაბერებამ კიდევ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო.

დიაგრამა 2.3. დემოგრაფიული დაბერების პროცესი საქართველოში 2001-2006 წწ. (შეფასებითი მონაცემებით)




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 35.

2.2. შობადობა

სამწუხაროდ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაბადებათა რეგისტრაციის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობა იყო. კერძოდ, 2001-2006 წლებში დაბადებათა არასრული აღრიცხვა შეიმჩნეოდა, რომელიც ზოგიერთ წელს 10%-ს აღწევდა. ამ თვალსაზრისით შედარებით უკეთესი მოცვა იყო 2004 წელს.

2001-2006 წლებში, საქართველოში ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობა სულ მცირდებოდა. მიუხედავად ამისა, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა ხან კლებულობდა, ხან კი მატულობდა.


დიაგრამა 2.4. ცოცხლად დაბადებულთა და 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა საქართველოში 2001-2006 წწ., ათასი (შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 25-26, 41.

რაც შეეხება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი), 2001-2006 წლებში იგი უმნიშვნელო ცვლილებას განიცდიდა.


დიაგრამა 2.5. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა საქართველოში 2001-2006 წწ.



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 41.

როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებითი მონაცემები, 2001-2006 წლებში ტრენდის თვალსაზრისით მსგავსია. განსხვავება ის არის, რომ შეფასებითი მონაცემებით შობადობა მეტი იყო, ვიდრე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით.

დიაგრამა 2.6. საერთო შობადობის კოულის ინდექსის ცვლილება საქართველოში 2001-2006 წწ.




წყარო: გაანგარიშებულია – G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 25-26 და დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 101, 104. – საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, კოულის საერთო შობადობის ინდექსი ძირითადად მატების თვალსაზრისით იცვლებოდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში იზრდებოდა პოტენციური შობადობის რეალიზაციის ხარისხი.

შობადობის ფაქტობრივად არსებული ასაკობრივი კოეფიციენტებისა და კოულის საერთო შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების შეფარდება, შესაძლებლობას იძლევა გავარკვიოთ, თუ რომელი ასაკობრივი ჯგუფის ქალები ახდენენ ბავშვთა შობის პოტენციალის რეალიზაციას. ამავე დროს, სხვადასხვა პერიოდისათვის, მიღებული მანქვენებლების შედარება ბავშვთა შობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხის (დონის) ცვლილებასაც გვიჩვენებს⁴⁵.

დიაგრამა 2.7. სხვადასხვა ასაკის ქალების ბავშვთა შობის პოტენციალის გამოყენების ხარისხი (%) საქართველოში კოულის ასაკობრივი კოეფიციენტებიდან გამომდინარე 2001-2006 წწ.




წყარო: გაანგარიშებულია – G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 25-26 და დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 101, 104. – საფუძველზე.

⁴⁵ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 48; A. Sulaberidze, N. Gerzmava. Importance of the Family Planning and Reproductive Behaviour Issues in the Transition Period. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. V. 165, #2, 2002, p. 436.

2000 წელთან შედარებით სხვადასხვა ზომით და ამასთან უმნიშვნელოდ, 2006 წელს, გაიზარდა 15-39 წლის ასაკის ქალების ბავშვთა შობის რეალიზაციის ხარისხი. აღნიშნული მატება, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანი იყო 25-29 წლის ასაკის ქალებში.

1992-1993 წლებში შობადობის მკვეთრი შემცირების შემდეგ, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2001-2006 წლებში განიცდიდა გარკვეულ ცვალებადობას.


დიაგრამა 2.8. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ცვლილება საქართველოში 2001-2006 წწ.



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 43-44.

როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარე, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ტრენდი მსგავს ტენდენციებს იმეორებს. განსხვავება ის არის, რომ შეფასებითი მონაცემებით შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მეტია, ვიდრე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით. აღნიშნული სხვაობა ძირითადად გამომდინარეობს სტატისტიკის დეპარტამენტის შემთხვევაში ცოცხლად დაბადებულთა არასრული აღრიცხვისა და 15-49 წლის ასაკის ქალების გადამეტებით წარმოდგენიდან. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი იმ დონეზე ნაკლებია, რომელიც მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას უზრუნველყოფს (2,1).

დიაგრამა 2.9. შვილიანობის სტრუქტურული კოეფიციენტები საქართველოში 2000-2006 წწ. (სდ მონაცემებით)




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 45.

2000-2006 წლებში ცოცხლად დაბადებულებში ძირითადად იზრდებოდა პირველი რიგითობის ბავშვების წილი. განსახილველ პერიოდში აღნიშნული ცვლილებები აისახა რიგითობის საშუალო მაჩვენებელში (შვილიანობის სტრუქტურული კოეფიციენტი), რომელიც ასევე მიანიშნებს შობადობის რეჟიმის თანდათანობით ცვლილებაზე.

2000-იან წლებში საქართველოზე დაბალი შობადობის დონე მრავალი ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითისათვის ქვემოთ მოტანილია საქართველოსა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები. ამასთან, საქართველოსათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოტანილია შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარე.

საქმე ისაა, რომ შეფასებითი მონაცემები როგორც შობადობის სპეციალური კოეფიციენტის, ისე შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის სიდიდის შესახებ, მსგავსია 2005 წელს საქართველოში ჩატარებული ფართომასშტაბიანი ქალების რეპროდუქციული გამოკვლევის შედეგად მიღებული შესაბამისი მაჩვენებლებისა⁴⁶.

დიაგრამა 2.10. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები საქართველოსა და დაბალი შობადობის ზოგიერთ ქვეყანაში



წყარო: 2003 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2003; 2004 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2004; 2005 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2005; 2006 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2006.

მოტანილმა ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეგვიქმნას, თითქოს არ არსებობს ქვეყნები, სადაც შობადობის დონე მეტია და თანაც გაცილებით მეტი, ვიდრე საქართველოში. 2006 წელს, მსოფლიოში, საშუალოდ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,7-ის ტოლი იყო, ხოლო რიგ ქვეყნებში 7-ს აღემატებოდა (ანგოლა, მალი, ნიგერი და სხვა).

დედის ასაკი ბავშვების გაჩენისას 2004 წელს საშუალოდ 25,7 წელი იყო, რაც 2006 წლისათვის რამდენადმე შემცირდა და 25,4 წელი შეადგინა.


რაც შეეხება დედის საშუალო ასაკს გაჩენილი ბავშვების რიგითობის მიხედვით, მოცემულზე წარმოდგენას იძლევა მოტანილი დიაგრამა (2.11).

პირველი რიგითობის ბავშვს ქალები საშუალოდ აჩენდნენ 24 წლის ასაკში, მეორეს – 26 წლის ასაკში და ა. შ., ხოლო მეხუთესა და შემდგომი რიგითობის ბავშვს 34 წლის ასაკში.

მოტანილი დიაგრამიდან რთული არ არის ინტერპენეტკური ინტერვალების გაანგარიშება.

⁴⁶ Reproductive Health Survey Georgia, 2005. Final Report. Editors: F. Serbanescu, P. Imnadze, Z. Bokhua, N. Nutsubidze, D. B. Jackson, L. Morris. Atlanta, 2007. p. 35.


დიაგრამა 2.11. დედის საშუალო ასაკი ბავშვის გაჩენისას ბავშვის რიგითობის მიხედვით 2004 და 2006 წწ. (სდ მონაცემებით)



წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები.

როგორც ვხედავთ, მოკლე პერიოდის განმავლობაშიც ინტერგენეტიკური ინტერვალები განიცდიდა გარკვეულ ცვალებადობას (იხ. დიაგრამა 2.12). ინტერგენეტიკურ ინტერვალებს შორის სხვაობა 2006 წელს 2004 წელთან შედარებით საკმაოდ დიდი იყო პირველსა და მეორე, მეორესა და მესამე, მეოთხესა და მეხუთე ბავშვების შემთხვევაში. 2006 წელს 2004 წელთან შედარებით ინტერგენეტიკური ინტერვალი შემცირდა პირველსა და მეორე და მეოთხესა და მეხუთე რიგითობის ბავშვებისათვის, ხოლო გაიზარდა მეორესა და მესამე რიგითობის ბავშვებისათვის. იმავე დროს უმნიშვნელო ცვლილებას ჰქონდა ადგილი მესამესა და მეოთხე რიგითობის ბავშვებისათვის.


დიაგრამა 2.12. ინტერგენეტიკური ინტერვალები საქართველოში 2004 და 2006 წწ. (სდ მონაცემებით)



წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ სტატისტიკის დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.


2000-იან წლებში საქართველოში მატებას განაგრძობს დაბადებულთა საერთო რაოდენობაში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი, რომელმაც 2006 წელს 54%-ს გადააჭარბა (იხ. დიაგრამა 2.13). ამასთან, მათი უმეტესობა მშობელთა ერთობლივი განცხადებით იყო რეგისტრირებული, ხოლო მცირე წილი – დედის განცხადებით, თუმცა ეს უკანასკნელი 2003-2004 წლებში რამდენადმე გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით და 2005 წლიდან ისევ შემცირდა (იხ. დიაგრამა 2.14).

დიაგრამა 2.13. დაბადებულია საერთო რაოდენობაში ქორწინების გარეშე დაბადებულია წილი (%) საქართველოში 2001-2006 წწ. (სდ მონაცემებით)




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 50.

დიაგრამა 2.14. დაბადებულია საერთო რაოდენობაში ქორწინების გარეშე დაბადებულია წილი (%) მშობელთა ერთობლივი და დედის განცხადების მიხედვით საქართველოში 2001-2006 წწ. (სდ მონაცემებით)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 50.

დიაგრამა 2.15. დაბადებულია საერთო რაოდენობაში ქორწინების გარეშე დაბადებულების წილი (%) დედის ასაკის მიხედვით საქართველოში 2001-2006 წწ. (სდ მონაცემებით)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 52-53.


გარკვეული განსხვავება შეიმჩნევა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულების წილებს შორის დედის ასაკის მიხედვით (იხ. დიაგრამა 2.15).

2006 წელს 2000 წელთან შედარებით გაიზარდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ამასთან, როგორც 2000, ისე 2006 წელს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ყველაზე მაღალი წილი მოდის 25 წლამდე ასაკის ქალებზე.

საყურადღებოა, რომ 20 წელზე უფროსი ასაკის დედათა შორის რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა წილი 2000 წელთან შედარებით 2006 წელს გაორმაგებულია.

2000 წლისათვის ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობა პრაქტიკულად ერთმანეთს გაუტოლდა. უკვე 2002 წლისათვის ქორწინებითი შობადობა ნაკლები იყო, ვიდრე ქორწინების გარეშე შობადობა. 2006 წლისათვის ქორწინების გარეშე შობადობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ქორწინებით შობადობას.

დიაგრამა 2.16. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტები საქართველოში (შეფასებითი მონაცემებით)



წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტ. I. თბილისი, 2003, გვ. 136; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 21, 26, 41, 50.

2002 წლის და განსაკუთრებით 2006 წლის ზემოთ აღწერილი მდგომარეობა არნახულ მოვლენას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ნორმალურ მოვლენად ითვლება მდგომარეობა, როდესაც ქორწინებითი შობადობა აღემატება ქორწინების გარეშე შობადობას.

2.3. სქესობრივი ურთიერთობა, ხელოვნური აბორტი და კონტრაცეპცია

ინფორმაციას ოჯახის დაგეგმვის ცალკეული მხარეების, ლეგალური აბორტების, კონტრაცეპციის გაგრძელების შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკა სრულად ვერ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას და ამდენად, საკმაოდ არასრულია და ბუნდოვან წარმოდგენას იძლევა კონტრაცეპციისა და აბორტების გაგრძელების რეალურ ვითარებაზე⁴⁷.

უფრო სანდო ინფორმაციის მოპოვებისათვის საჭიროა ამ მიმართულებით ფართომასშტაბიანი გამოკვლევების ჩატარება, რომელიც იშვიათობას წარმოადგენს, თუმცა ამ სახის გამოკვლევები ჩატარებულ იქნა როგორც 1990-იან წლებში⁴⁸, ისე 2000-იან წლებში⁴⁹ და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ვისარგებლოთ მათი შედეგებით.

რაც შეეხება სქესობრივ გამოცდილებას, მის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ასეთი სახის გამოკვლევები ჩატარებულ იქნა 1999 და 2005 წლებში. ქვემოთ მოტანილი გვაქვს საქართველოში 2005 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგები, რომელიც სქესობრივი გამოცდილების საკითხებსაც ასახავს.

საქართველოში სამი ახალგაზრდა ქალიდან (25 წლამდე ასაკის) მხოლოდ ერთმა აღნიშნა სქესობრივი გამოცდილების ქონა; მათგან მხოლოდ 10%-მა აღნიშნა სქესობრივი ცხოვრების დაწყება ქორწინებამდე⁵⁰.

საშუალოდ, პირველი სქესობრივი ურთიერთობის ასაკი მამაკაცებისათვის 17,5 წელი აღმოჩნდა. ამავე დროს, მათი პარტნიორი ქალები ოდნავ უფროსები იყვნენ და მათი ასაკი საშუალოდ 17,7 წელი იყო⁵¹.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში მამაკაცების 70%-ს ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა. სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე საშუალოდ კვირაში 2,2 იყო. ამასთან, ქორწინებაში მყოფი მამაკაცების სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე (2,3) აღემატება დაუქორწინებელი მამაკაცების შესაბამის მაჩვენებელს (1,8)⁵². აღსანიშნავია, რომ იმავე დროს 15-24 წლის ასაკის გათხოვილი ქალების მხოლოდ 59,2% ამბობს, რომ ჰქონია სქესობრივი ურთიერთობა ბოლო ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული ასაკის როგორც გათხოვილი, ისე გაუთხოვარი ქალების საერთო მაჩვენებელი 18,5%-ს შეადგენს⁵³. ხოლო მამაკაცების შემთხვევაში

⁴⁷ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 68.

⁴⁸ ოჯახის დაგეგმვა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა საქართველოში. მდგომარეობის შეფასება. საბოლოო ანგარიში. ხელმძღვანელი დ. ხუბუა. საერთაშორისო ფონდი "კურაციო". 1996; ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. საქართველო, 1999-2000. საბოლოო ანგარიში. მოამზადა: ფ. სერბანესკუმ, ლ. მორისმა, ნ. ნუცუბიძემ, პ. იმნაძემ, მ. შახნაზაროვამ. თბილისი, 2001.

⁴⁹ მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ანგარიში მოამზადა: ა. ხომასურიძემ, ჯ. ქრისტესაშვილმა, გ. წულაძემ. UNFPA. თბილისი, 2005; Reproductive Health Survey Georgia, 2005. Final Report. Editors: F. Serbanescu, P. Imnadze, Z. Bokhua, N. Nutsbidze, D. B. Jackson, L. Morris. Atlanta, 2007.

⁵⁰ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005. წინასწარი ანგარიში. რედაქტორები: ფ. სერბანესკუ, პ. იმნაძე, ზ. ბოსუა, ნ. ნუცუბიძე, დ. ბ. ჯექსონი, ლ. მორისი. თბილისი, 2005, გვ. 66.

⁵¹ მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ანგარიში მოამზადა: ა. ხომასურიძემ, ჯ. ქრისტესაშვილმა, გ. წულაძემ. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 153-154.

⁵² იქვე, გვ. 155.

⁵³ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005. წინასწარი ანგარიში. რედაქტორები: ფ. სერბანესკუ, პ. იმნაძე, ზ. ბოსუა, ნ. ნუცუბიძე, დ. ბ. ჯექსონი, ლ. მორისი. თბილისი, 2005, გვ. 74.


იგივე მაჩვენებელი 15-24 წლის ასაკისათვის 40%-ს აღემატება⁵⁴. ამდენად, აშკარაა სქესობრივი ურთიერთობის თაობაზე მამაკაცებისა და ქალების პასუხებს შორის განსხვავება. ასეთი მდგომარეობა ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას: 1) მამაკაცები სქესობრივ ურთიერთობათა შესახებ რამდენადმე გადაჭარბებულ სიდიდეს ასახელებენ; 2) გაუთხოვარი ქალები შეიძლება მაღავენ თავიანთ სქესობრივ აქტივობას. შეიძლება ამის გამო არის რომ 15-24 წლის ასაკის გაუთხოვარი ქალების მხოლოდ 0,6%⁵⁵ აღნიშნავს სქესობრივ ურთიერთობას ბოლო 3 თვის განმავლობაში.

დაქორწინებულ მამაკაცებს შორის, 12% აღიარებს, რომ აქვს ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობა. ამგვარ მამაკაცთა პარტნიორები არიან როგორც დაუქორწინებელი ქალები, ისე განქორწინებულები, ქვრივები და დაქორწინებული ქალები⁵⁶.

დაუქორწინებელ მამაკაცებს იშვიათად აქვთ სქესობრივი ურთიერთობები დაქორწინებულ ქალებთან. მათ ნახევარს ურთიერთობა აქვს დაუქორწინებულ ქალებთან და ¼-ს განქორწინებულებთან, ხოლო 7%-ს ქვრივებთან. 15-24 წლის მამაკაცები ძირითადად დაუქორწინებელ ქალებთან ურთიერთობენ⁵⁷.

საინტერესო სურათი მიიღება მამაკაცების სქესობრივი პარტნიორების ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით განაწილებისას.

დიაგრამა 2.17. მამაკაცების განაწილება (%) მათი სქესობრივი პარტნიორის ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით (საქართველო, 2005)



წყარო: მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ანგარიში მოამზადა: ა. ხომასურიძემ, ჯ. ქრისტესაშვილმა, გ. წულაძემ. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 161 (ცხრილში მოტანილი მონაცემები გადაანგარიშებულია ჩვენს მიერ).

როგორც ვხედავთ, იმ დაქორწინებული მამაკაცების მეტი წილი, რომლებსაც ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობა აქვთ, მოდის დაუქორწინებელ და განქორწინებულ ქალებზე, ხოლო მცირე წილი ქვრივებსა და დაქორწინებულ ქალებზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოფიციალური მონაცემები და სპეციალური გამოკვლევის შედეგები ხელოვნური აბორტების შესახებ მნიშვნელოვნად განსხვავდება. მიუხედავად ამისა, ვიდრე სპეციალური გამოკვლევების შედეგებს განვიხილავდეთ აბორტების შესახებ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ოფიციალური, ჯანდაცვის სტატისტიკის მონაცემების მოტანა ლეგალური აბორტების შესახებ.


⁵⁴ მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ანგარიში მოამზადა: ა. ხომასურიძემ, ჯ. ქრისტესაშვილმა, გ. წულაძემ. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 155.

⁵⁵ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005. წინასწარი ანგარიში. რედაქტორები: ფ. სერბანესკუ, პ. იმნაძე, ზ. ბოსუა, ნ. ნუცუბიძე, დ. ბ. ჯექსონი, ლ. მორისი. თბილისი, 2005, გვ. 74.

⁵⁶ მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ანგარიში მოამზადა: ა. ხომასურიძემ, ჯ. ქრისტესაშვილმა, გ. წულაძემ. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 35.

⁵⁷ იქვე.

დიაგრამა 2.18. ლეგალური აბორტების რაოდენობა საქართველოში ჯანდაცვის სტატისტიკის მიხედვით (ათასი)




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 71.

როგორც მოტანილი დიაგრამიდან ვხედავთ, 2001-2003 წლებში უმნიშვნელო კლებების შემდეგ, როგორც ზოგადად ლეგალური აბორტების, ისე მინი აბორტების რაოდენობა საქართველოში 2004 წლიდან მატულობს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ლეგალური აბორტების რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობდა ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა აბორტების რაოდენობა 15-49 წლის ასაკის 1000 ქალზე. ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში აბორტების რაოდენობის მატებას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ რამდენადმე გაუმჯობესდა აბორტების აღრიცხვა. რეალურად აბორტების როგორც რაოდენობა, ისე მისი ინტენსივობის მაჩვენებლები შეიძლება გაცილებით მეტი იყოს.

აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს საქართველოში 1999 და 2005 წელს ჩატარებული ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგები.

დიაგრამა 2.19. საქართველოში 1999 და 2005 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებული აბორტის მაჩვენებლების შედარება შესაბამის ოფიციალურ მონაცემებთან



წყარო: Reproductive Health Survey Georgia, 2005. Final Report. Editors: F. Serbanescu, P. Imnadze, Z. Bokhua, N. Nutsubidze, D. B. Jackson, L. Morris. Atlanta, 2007, pp. 58-59; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 71-72.


მოტანილი დიაგრამიდან რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1) გამოკვლევების შედეგად მიღებული მაჩვენებლები გაცილებით დიდია, ვიდრე ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარე; 2) ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარე 2005 წელს 1999 წელთან შედარებით აბორტების მაჩვენებლების

გარკვეულ ზრდას ჰქონდა ადგილი; 3) გამოკვლევის შედეგებით აბორტების მაჩვენებლები 2005 წელს 1999 წელთან შედარებით კლების ტენდენციით ხასიათდება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, ანუ საშუალოდ ქალები, ცხოვრების განმავლობაში, გაცილებით ნაკლებ ბავშვს იყლიებენ და უფრო მეტ აბორტს იკეთებენ.

აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტის სიდიდის მიხედვით საქართველო გამოირჩევა სხვა ქვეყნებთან შედარებით.

დიაგრამა 2.20. აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებით



წყარო: Reproductive Health Survey Georgia, 2005. Final Report. Editors: F. Serbanescu, P. Imnadze, Z. Bokhua, N. Nutsunidze, D. B. Jackson, L. Morris. Atlanta, 2007, p. 58.

ცხრილი 2.1. ქალებისა (15-44 წლის) და მამაკაცების (15-49 წლის) მიერ კონტრაცეპციის გამოყენება (%)

	1999 – ქალები	2005 – ქალები	2005 – მამაკაცები
ნებისმიერი მეთოდი	24,7	28,4	30,3
თანამედროვე მეთოდები	12,1	16,1	24,5
მათ შორის:			
კონდომი	3,9	5,3	18,1
საშვილოსნოს შიგა საშუალება (სშს)	5,9	7,0	3,3
ორალური	0,6	1,9	2,2
ქალთა ქირურგიული სტერილიზაცია	1,0	1,4	0,3
ვაზიქტომია	} 0,1	0,0	0,0
სპერმიციდები		0,5	0,1
საინექციო (დეპო პროვერა)		0,0	0,2
გადაუდებელი კონტრაცეპცია	0,6	0,0	0,0
ტრადიციული მეთოდები	12,6	12,3	5,8
მათ შორის:			
კალენდარული	6,2	5,7	3,0
შეწყვეტილი სქესობრივი აქტი	6,4	6,6	2,8

წყარო: ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. საქართველო, 1999-2000. საბოლოო ანგარიში. მოამზადა: ფ. სერბანესკუმ, ლ. მორისმა, ნ. ნუცუბიძემ, პ. იმნაძემ, მ. შახნაზაროვამ. თბილისი, 2001, გვ. 126, 130, 139; მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ანგარიში მოამზადა: ა. ხომასურიძემ, ჯ. ქრისტესაშვილმა, გ. წულაძემ. UNFPA. თბილისი, 2005, გვ. 170; Reproductive Health Survey Georgia, 2005. Final Report. Editors: F. Serbanescu, P. Imnadze, Z. Bokhua, N. Nutsunidze, D. B. Jackson, L. Morris. Atlanta, 2007, p. 164.

როგორც ქალების, ისე მამაკაცების მეტმა წილმა უფრო მეტად იცის კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, ვიდრე ტრადიციულის. ამასთან, ქალების შემთხვევაში, 2005 წელს 1999 წელთან შედარებით გაიზარდა იმ ქალების წილი, რომლებმაც იციან როგორც თანამედროვე, ისე ტრადიციული კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენების წესი.

რაც შეეხება კონტრაცეპციის იმ მეთოდებს, რომლებსაც ქალები გამოკითხვის დროისათვის იყენებდნენ, როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, ქალების შემთხვევაში 2005 წელს 1999 წელთან შედარებით გაიზარდა კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, ხოლო კონტრაცეპციის ტრადიციული მეთოდების გამოყენება 2005 წელს, პრაქტიკულად, იმავე დონეზე დარჩა, რაც 1999 წელს იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალებთან შედარებით მამაკაცების მეტი წილი იყენებს კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს (შესაბამისად ნაკლებად კონტრაცეპციის ტრადიციულ მეთოდებს).

როგორც დაქორწინებული ქალების, ისე მამაკაცების მეტმა წილმა იცის კონტრაცეპციის გამოყენების წესი და ამჟამადაც უფრო ხშირად იყენებს მათ, ვიდრე დაუქორწინებლები.


აღსანიშნავია, რომ გათხოვილი ქალების თითქმის ორ მესამედს აქვს პოტენციური მოთხოვნა კონტრაცეპციაზე; აქედან 16%-ის პოტენციური მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული. 1999 წელთან შედარებით 2005 წელს კონსულტირება კონტრაცეპციური მეთოდების და კონტრაცეპტივების ეფექტურობის შესახებ თითქმის 2-ჯერ გაიზარდა⁵⁸.

⁵⁸ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005. წინასწარი ანგარიში. რედაქტორები: ფ. სერბანესკუ, პ. იმნაძე, ზ. ბოსუა, ნ. ნუცუბიძე, დ. ბ. ჯექსონი, ლ. მორისი. თბილისი, 2005, გვ. 46, 49.

2.4. მოკვლეობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა


უწინარესად ყურადღებას იქცევს გარდაცვლილთა რაოდენობისა და მისი ასაკობრივ-სქესობრივი განაწილების მონაცემთა სანდოობა. ჩვენი შეფასებით გარდაცვლილთა არასრულ აღრიცხვას 2001-2006 წლებშიც ჰქონდა ადგილი, თუმცა 2001-2004 წლებში არასრული აღრიცხვის წილი ნაკლები იყო წინა პერიოდთან შედარებით და არ აღემატებოდა 6%-ს. 2001-2004 წლებში გარდაცვლილთა აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით DFID-ის პროექტის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, შემდეგ წლებშიც გარდაცვლილთა აღრიცხვა ორი სისტემის⁵⁹ ფუნქციონირების და მათი ურთიერთშედარების საფუძველზე წარმოებდა, მაგრამ უკვე შედარებით ნაკლები ადმინისტრირებისა და მეთვალყურეობის ფონზე. ამის შედეგად გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის წილი გაიზარდა და შეფასებით 2005 წელს 16%, ხოლო 2006 წელს 13% შეადგინა.

დიაგრამა 2.21. გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში 2001-2006 წწ. სდ და შეფასებითი მონაცემებით



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 41.

დიაგრამა 2.22. მოკვლეობის ზოგადი კოეფიციენტების ცვლილება საქართველოში 2001-2006 წწ. სდ და შეფასებითი მონაცემებით



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 41.


⁵⁹ სარ (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის) ორგანოებიდან და უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებებიდან და ექიმის მოწმობით.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, ერთი მხრივ გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის და მეორე მხრივ მოსახლეობის რაოდენობის გადამეტებით წარმოდგენის შედეგად, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდა შეფასებასთან შედარებით. მათ შორის სხვაობამ 2006 წელს 3%-ს გადააჭარბა (იხ. დიაგრამა 2.19.).

2006 წელს 2000 წელთან შედარებით გარკვეული ცვლილება განიცადა ასაკობრივმა მოკვდაობამ, რაზედაც ნათლად მეტყველებს მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ფარდობითი ცვლილება.

ქვემოთ მოტანილი დიაგრამა (2.20.) ეფუძნება შეფასებით მონაცემებს. საქმე ის არის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი მონაცემები გარკვეულ ეჭვს ბადებს. მაგალითად, 2006 წელს მოკვდაობის კოეფიციენტი ჩვილი გოგონების შემთხვევაში მეტია ჩვილ ბიჭებთან შედარებით (იხევე, როგორც 2005 წელს⁶⁰). ასეთი მოვლენის არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია და აქამდე არ ყოფილა დაფიქსირებული, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მაინც. ყოველთვის ბიჭებისა და მამაკაცების მოკვდაობის ინტენსივობა აღემატება გოგონებისა და ქალების მოკვდაობას, ან ზოგიერთ დაბალ ასაკში ისინი ერთმანეთის ტოლი შეიძლება იყოს. აღნიშნული მდგომარეობა უფრო არასრული აღრიცხვის შედეგი უნდა იყოს, ვიდრე რეალური ვითარება.

დიაგრამა 2.23. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ფარდობითი ცვლილება საქართველოში 2006 წელს 2000 წელთან შედარებით (სწორი ხაზი – 2000 წლის დონე)




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 87-88 (შეფასება).

როგორც მამაკაცების, ისე განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში, მოკვდაობის ინტენსივობა ყველაზე მეტად გაიზარდა 5-9 წლის ასაკში. მართალია ნაკლები სიდიდით, მაგრამ მოკვდაობის ინტენსივობის ზრდას ადგილი ჰქონდა 15-55 წლის ასაკის მამაკაცების და ერთ წლამდე ასაკის, ასევე 20-39 წლის ასაკის ქალების შემთხვევაში. მოკვდაობის ინტენსივობის კლება მამაკაცების შემთხვევაში შეინიშნება 5 წლამდე, 60-64, 70-74 და 80 წლისა და უფროს ასაკში. ქალების შემთხვევაში მოკვდაობის ინტენსივობა შემცირდა 1-4, 15-19 და 45-84 წლის ასაკში.

რაც შეეხება ჩვილთა მოკვდაობას 2001-2006 წლებში მისი ცვლილება ნაჩვენებია ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე.

⁶⁰ 2005 წელი, ამ თვალსაზრისით, გამორჩეული იყო. გოგონათა მოკვდაობის კოეფიციენტები აღემატებოდა ბიჭებისას 10 წლის ასაკამდე.

დიაგრამა 2.24. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები საქართველოში 2001-2006 წწ.




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 91.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 და 2006 წლებში ჩვილთა მოკვდაობამ საგრძნობლად დაიკლო. ჯანდაცვის მონაცემებით ჩვილთა მოკვდაობის კლება, შედარებით უმნიშვნელო იყო, თუმცა 2003 წლიდან იწყება გარკვეული მატება და 2006 წელს მისი სიდიდე აღემატება სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამის მაჩვენებელს. შეფასებითი მონაცემებით 2003-2004 წლებში ჩვილთა მოკვდაობა რამდენადმე მატულობს, ხოლო შემდეგ უმნიშვნელოდ იკლებს. ამასთან, ჩვილთა მოკვდაობა შეფასებითი მონაცემებით მეტი იყო ჯანდაცვისა და განსაკუთრებით სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამის მაჩვენებელზე.

2005 წელს ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვილთა მოკვდაობა შეიძლება მეტიც კი იყოს, ვიდრე ეს შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარეობს, და საშუალოდ საქართველოსათვის 29-ს აღწევდეს 1000 ცოცხლად დაბადებულზე. ამასთან, ქალაქად ის ნაკლებია, ვიდრე სოფლად (შესაბამისად 25,6 და 32,3)⁶¹.

აღსანიშნავია, რომ ჩვილთა მოკვდაობა საგრძნობლად განსხვავდება საქართველოს რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა 2.25. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები საქართველოს რეგიონებში 2005 წ.



წყარო: Reproductive Health Survey Georgia, 2005. Final Report. Editors: F. Serbanescu, P. Imnadze, Z. Bokhua, N. Nutsubidze, D. B. Jackson, L. Morris. Atlanta, 2007, p. XV.

⁶¹ Reproductive Health Survey Georgia, 2005. Final Report. Editors: F. Serbanescu, P. Imnadze, Z. Bokhua, N. Nutsubidze, D. B. Jackson, L. Morris. Atlanta, 2007, p. XV.

როგორც ვხედავთ, ჩვილთა მოკვდაობის დაბალი დონით გამოირჩევა გურია და სამეგრელო, ხოლო ძალიან მაღალია მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში.

რაც შეეხება გარდაცვლილთა წილს დაავადებათა ძირითადი კლასების მიხედვით, როგორც წინა პერიოდში, ისე 2001-2006 წლებში გარდაცვლილთა ყველაზე მეტი წილი მოდის სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებსა და ახალწარმონაქმნებზე. სხვა დაავადებათა წილი მათთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ცხრილი 2.2. გარდაცვლილთა წილი (%) საქართველოში 2001-2006 წწ. დაავადებათა ზოგიერთი ძირითადი კლასის მიხედვით (შეფასებითი მონაცემებით)

	2001	2002	2003	2004	2005	2006
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	71,9	72,8	65,2	62,3	68,9	67,6
ახალწარმონაქმნები	10,8	10,3	12,2	11,4	10,2	10,9
სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები, გამოვლენილი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებისას, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	3,4	3,5	3,1	4,8	7,0	8,0
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები	3,1	2,7	4,8	3,5	2,8	2,6
ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	2,9	2,9	2,9	3,9	2,7	2,8
სუნთქვის ორგანოების დაავადებები	2,5	2,5	4,1	8,2	2,6	2,9
ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები	1,7	1,6	3,5	1,7	1,2	1,1
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები	1,6	1,6	1,8	1,8	2,2	2,1
სხვა	1,1	1,1	1,6	1,6	1,7	1,5
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება	1,0	1,0	0,8	0,8	0,7	0,5
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 98 (ცხრილში მოტანილი მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ).

მოტანილი ცხრილიდან ნათელია, რომ გარდაცვლილთა წილი დაავადებათა ზოგიერთი ძირითადი კლასის მიხედვით 2001-2006 წლებში გარკვეულ ცვალებადობას განიცდიდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 2005-2006 წლებში წინა პერიოდთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა იმ გარდაცვალებულთა წილი, რომელთა სიკვდილის მიზეზები არ არიან კლასიფიცირებული, რაც დიაგნოსტიკის გაუარესებაზე მეტყველებს.


არასასურველ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ გარდაცვლილთა წილის ზრდა პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით. აღნიშნულ დაავადებათა კლასი ჩვილთა მოკვდაობის ძირითადი მიზეზია და ამდენად, მისი ზრდა ჩვილთა მოკვდაობის ინტენსივობაზე აისახება.

გარდაცვლილთა დაბალი წილი ზოგიერთ ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე მოდის. ამასთან, ბოლო წლებში შეინიშნება გარდაცვლილთა წილის კლება აღნიშნული დაავადებით.

მოკვდაობის ინტენსივობის დახასიათებისათვის უფრო მიზანშეწონილია მოკვდაობის კოეფიციენტების გამოყენება სიკვდილის მიზეზების მიხედვით, თუმცა განსხვავება მათ ცვალებადობაში 2001-2006 წლებში იმდენად მცირეა, რომ მათი გრაფიკული გამოსახულება მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ. ინფორმაცია სიკვდილის მიზეზების მიხედვით მოკვდაობის კოეფიციენტებზე წარმოდგენილია დანართში მოტანილ ცხრილებში.

სიკვდილის მიზეზების მიხედვით მოკვდაობის კოეფიციენტების ცვალებადობა უფრო თვალსაჩინოა ფარდობითი ცვლილების წარმოდგენით.

დიაგრამა 2.26. მოკვდაობის კოეფიციენტების ფარდობითი ცვლილება საქართველოში 2006 წლისათვის 2001 წელთან შედარებით სიკვდილის ზოგიერთი მიზეზის მიხედვით (სწორი ხაზი – 2001 წ.)



1. ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება.
2. ახალწარმონაქმნები.
3. ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები.
4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები.
5. სუნთქვის ორგანოების დაავადებები.
6. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები.
7. პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები.
8. ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.

წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 102-103 (შეფასებითი მონაცემებით).


2006 წელს 2001 წელთან შედარებით როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში მოკვდაობამ მნიშვნელოვნად დაიკლო ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან, ხოლო რამდენადმე ნაკლებად – ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებით. ამავე დროს, როგორც მამაკაცების, ისე განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში მოკვდაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით. აღსანიშნავია მოკვდაობის მატება სუნთქვის ორგანოების დაავადებებით, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში.

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილება და ტრენდი ასაკის მიხედვით განსხვავდება დაავადებათა ძირითადი კლასებისათვის (იხ. დიაგრამა 2.27).

ზოგადი კანონზომიერებები კი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

- 1) ტრენდის თვალსაზრისით წლების განმავლობაში მსგავსია ძირითადად სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები;

დიაგრამა 2.27. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში 2006წ. დაავადებათა ზოგიერთი ძირითადი კლასის მიხედვით (შესაბამისი სქესისა და ასაკის 100000 ადამიანზე)



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 158-159 (შეფასებითი მონაცემებით).

- 2) 2006 წელს ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით მოკვდაობის პიკი მამაკაცების შემთხვევაში 85 წლისა და უფროსი ასაკზე, ხოლო ქალების შემთხვევაში – 80-84 წლის ასაკზე მოდის;
- 3) მოკვდაობა ახალწარმონაქმნებით 30 წლის ასაკამდე მინიმალურია. 35 წლის ასაკიდან მოკვდაობის ინტენსივობა ახალწარმონაქმნებით იწყებს ზრდას. განსაკუთრებით მკვეთრ ზრდა აღინიშნება 60 წლის ასაკიდან და მაქსიმუმს აღწევს 85 წლისა და უფროს ასაკში;
- 4) მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით პრაქტიკულად დაბალია 60 წლის ასაკამდე. 65 წლის ასაკის შემდეგ მოკვდაობის ინტენსივობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით მნიშვნელოვან მატებას იწყებს და მაქსიმუმს აღწევს 85 და უფროს ასაკში;
- 5) ზოგადად მოკვდაობის ტრენდი სუნთქვის ორგანოების დაავადებებით სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების ტრენდის მსგავსია. განსხვავება ის არის, რომ მოკვდაობის ინტენსივობა სუნთქვის ორგანოების დაავადებებით დაახლოებით 20-ჯერ ნაკლებია, ვიდრე სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისაგან;
- 6) 35 წლის ასაკამდე მოკვდაობა საჭმლის მომნელებელი დაავადებებით დაბალია. 70 წლის ასაკიდან მოკვდაობის ინტენსივობა იზრდება და მაქსიმუმს 85 წლის და უფროს ასაკში აღწევს;
- 7) მოკვდაობა ტრავმებით, მოწამვლებით და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგით ქალების შემთხვევაში, მამაკაცებთან შედარებით, საგრძნობლად ნაკლებია. მამაკაცების შემთხვევაში, ქალებთან შედარებით, მოკვდაობა აღნიშნული სიკვდილის მიზეზით, მნიშვნელოვნად მეტია 20-55 წლის ასაკში, ანუ შრომისუნარიან ასაკში. როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში მოკვდაობა მოტანილი მიზეზით მაქსიმუმს აღწევს 85 და უფროს ასაკში. ამასთან, მამაკაცების მოკვდაობის ინტენსივობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ქალების.

1990-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ჩვილთა მოკვდაობის სტრუქტურამ სიკვდილის მიზეზების მიხედვით. წინა პერიოდში ჭარბობდა მოკვდაობა სუნთქვის ორგანოების დაავადებებით. 2000 წლისათვის მოკვდაობა სუნთქვის ორგანოების დაავადებებით შემცირდა. სამაგიეროდ როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკვდაობა პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი მდგომარეობებით.


ვნახოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა ამ მხრივ 2001 და 2006 წლებში (იხ. დიაგრამა 2.28).

2000-იან წლებში განაგრძობს კლებას ჩვილთა მოკვდაობა ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებებისაგან და 2005 წლიდან პრაქტიკულად აღარ გვხვდება. იმავე დროს მცირდება ჩვილთა მოკვდაობა სუნთქვის ორგანოების დაავადებებისაგან.

აღნიშნული კლების ფონზე 2001-2006 წლებში მატულობს მოკვდაობა განვითარების თანდაყოლილი ანომალიებით, დეფორმაციებით და ქრომოსომური ანომალიებით. აღსანიშნავია, რომ ჩვილთა მოკვდაობა მოტანილი მიზეზით 1990-2000 წლებში კლებულობდა.

2000-იან წლებში განაგრძობს მატებას ჩვილთა მოკვდაობა პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით. ამასთან, ჩვილთა მოკვდაობის სიდიდე აღნიშნული მიზეზით გაცილებით აღემატება მოკვდაობას სხვა მიზეზებით. აღსანიშნავია, რომ ჩვილთა მოკვდაობის ზრდის სიდიდე პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით 2006 წელს 2001 წელთან შედარებითაც კი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვილთა მოკვდაობა 2006 წელს ყველა სხვა მიზეზით.

დიაგრამა 2.28. ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტები საქართველოში 2001 და 2006 წწ. სიკვდილის ზოგიერთი მიზეზის მიხედვით (შესაბამისი სქესისა და ასაკის 100000 ჩვილზე)




- 1 – ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება
- 2 – სუნთქვის ორგანოების დაავადებები
- 3 – პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები
- 4 – განვითარების თანდაყოლილი ანომალიები, დეფორმაციები და ქრომოსომური ანომალიები

წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 148-149, 154-155, 158-159 (შეფასებითი მონაცემებით).

საინტერესოა 2001-2006 წლებში დაავადებათა ძირითადი კლასებიდან გამომდინარე სიკვდილის საშუალო ასაკის ცვლილების ანალიზი.

დიაგრამა 2.29. სიკვდილის საშუალო ასაკის ცვლილება საქართველოში 2001-2006 წწ. დაავადებათა ძირითადი 7 კლასის მიხედვით



1. ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება
2. ახალწარმონაქმნები
3. ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები
4. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები
5. სუნთქვის ორგანოების დაავადებები
6. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები
7. ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.

წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ – G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 120-121, 130-131 (შეფასებითი მონაცემებით).

საქართველოში 2006 წელს 2001 წელთან შედარებით ზოგადად სიკვდილის საშუალო ასაკი უმნიშვნელოდ გაიზარდა და მამაკაცებისათვის 65,2 წელი, ხოლო ქალებისათვის – 72,7 წელი შეადგინა.


როგორც მამაკაცების, ისე ქალების სიკვდილის საშუალო ასაკი ძირითადი კლასების მიხედვით უმეტეს შემთხვევაში გაიზარდა. იგი ყველაზე მნიშვნელოვნად სუნთქვის ორგანოების დაავადებების შემთხვევაში გაიზარდა და 2006 წელს 2001 წელთან შედარებით ზრდამ შესაბამისად 23,3 და 24,6 წელი შეადგინა, რაც ესოდენ მოკლე პერიოდისათვის ძალიან მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნულ პერიოდში, მამაკაცების სიკვდილის საშუალო ასაკი უმნიშვნელოდ შემცირდა (2,6 წლით) საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებით. ქალების კი – ტრავმების, მოწამვლების და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგით (2,5 წლით).

მთლიანობაში, სიკვდილის საშუალო ასაკის ცვლილება 2001-2006 წლებში დადებითად შეიძლება შეფასდეს.

საქართველოში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, 2001-2006 წლებში გარკვეულ ცვალებადობას განიცდიდა.

დიაგრამა 2.30. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში 2001-2006 წწ. სდ და შეფასებითი მონაცემებით




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 160-161.

პირველ რიგში აღსანიშნავია სხვაობა სტატისტიკის დეპარტამენტის და შეფასებით მონაცემებს შორის. სხვაობა მათ შორის უმნიშვნელო იყო 2001-2002 წლებში. შემდეგ პერიოდში სხვაობა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებით მონაცემებს შორის ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2006 წელს მამაკაცებისათვის ის 2,7 წელს, ხოლო ქალებისათვის 3 წელს შეადგენს. აღნიშნული განსხვავება სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებით მონაცემებს შორის, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ორი მიზეზით: 1) სტატისტიკის დეპარტამენტის შემთხვევაში გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის ზრდით და 2) მოსახლეობის რეალურთან შედარებით მეტი რაოდენობით განსაზღვრით, რაც საბოლოოდ იწვევს მოკვდაობის კოეფიციენტების ფაქტობრივთან შედარებით ნაკლები სიდიდით წარმოდგენას და საბოლოოდ აისახება სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე.

შეფასებითი მონაცემებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, 2006 წელს 2001 წელთან შედარებით, მამაკაცებისათვის 1 წლით შემცირდა, ხოლო ქალებისათვის 0,5 წლით გაიზარდა.


დიაგრამა 2.31. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაბადებისას ცვლილება 2001-2006 წლებში წინა წელთან შედარებით



წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ – G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. emographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 160-161. (შეფასებითი მონაცემებით).

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაბადებისას 2001-2006 წლებში მიმდინარე ცვლილებების წინა წელთან შედარება გვიჩვენებს, რომ მაშაკაცებისათვის მნიშვნელოვან კლებას ჰქონდა ადგილი 2004 წელს, ხოლო ქალების შემთხვევაში – 2003 წელს. 2006 წელს 2005 წელთან შედარებით მაშაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შემცირდა 0,2 წლით, ხოლო ქალების შემთხვევაში გაიზარდა 0,9 წლით.

დიაგრამა 2.32. ასაკის როლი მაშაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის განსხვავებაში 2001 და 2006 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ – G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 134-135, 144-145, 199, 204. (შეფასებითი მონაცემებით).

მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რომელ ასაკში არსებულმა განსხვავებებმა გამოიწვია სიცოცხლის ხანგრძლივობაში ცვლილება ქალებსა და მაშაკაცებს შორის.


2001 წელს სხვაობას სიცოცხლის ხანგრძლივობაში ქალებსა და მაშაკაცებს შორის ძირითადად განსაზღვრავდა 1 წლამდე და 40-70 წლის ასაკობრივი

ჯგუფები. 2006 წელს 2001 წელთან შედარებით შემცირდა 1 წლამდე ასაკის წვლილი ქალებსა და მამაკაცებს შორის სიცოცხლის ხანგრძლივობის ცვლილების განსაზღვრაში, თუმცა არსებითი იყო და ამასთან 2001 წელთან შედარებით გაიზარდა 35-69 წლის ასაკობრივი ჯგუფის როლი.

ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობაში არსებული განსხვავება შეფასებითი მონაცემებით 2001 წელს იყო 6,95 წელი, ხოლო 2006 წელს – 8,42 წელი. შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის თვალსაზრისით ადგილი ჰქონდა ორ პროცესს. 2006 წელს 2001 წელთან შედარებით ნახევარი წლით გაიზარდა ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა. იმავე დროს ერთი წლით შემცირდა მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა. ამდენად, დადებით მოვლენასთან (ქალების შემთხვევაში) ერთად ადგილი ჰქონდა უარყოფით მოვლენასაც (მამაკაცების შემთხვევაში).

სიკვდილის სხვადასხვა მიზეზმა განსხვავებული როლი ითამაშა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ცვლილებაში 2006 წელს 2001 წელთან შედარებით.

დიაგრამა 2.33. სიკვდილის ძირითადი მიზეზების როლი სიცოცხლის ხანგრძლივობის ცვლილებაში საქართველოში 2006 წელს 2001 წელთან შედარებით (შეფასებითი მონაცემებით)



- 1 – ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება
- 2 – ახალწარმონაქმნები
- 3 – ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები
- 4 – სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები
- 5 – სუნთქვის ორგანოების დაავადებები
- 6 – პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები


წყარო: დანართი 1., ცხრილი 20, 21.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ქალებისათვის ყველაზე მეტად გაიზარდა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების შემცირების ხარჯზე. იმავე დროს აღნიშნულ დაავადებას პრაქტიკულად გავლენა არ ჰქონდა მამაკაცების შემთხვევაში. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდაში როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში, დადებითი როლი ითამაშა სუნთქვის ორგანოების დაავადებების შემცირებამ. ასევე დადებითი წვლილი შეიტანა ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებების კლებაში ორივე სქესისათვის და ახალწარმონაქმნების დაავადებებით შემცირებამ ქალების შემთხვევაში.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემცირებაში როგორც მამაკაცების, ისე განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში არსებითი იყო პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობებით დაავადებების მატება. უარყოფითი წვლილი მამაკაცების შემთხვევაში შეიტანა აგრეთვე ახალწარმონაქმნებმა.

როგორც 2001 წელს, ისე 2006 წელს სხვაობას მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ძირითადად განსაზღვრავდა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისა და ტრავმების, მოწამვლების და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების სხვა შედეგებისა და ახალწარმონაქმნებისაგან. ამასთან, 2006 წელს 2001 წელთან შედარებით შემცირდა ყველა დაავადების წილი ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის განსხვავებაში.

დიაგრამა 2.34. სიკვდილის ძირითადი მიზეზების როლი მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის განსხვავებაში საქართველოში 2001 და 2006 წწ. (შეფასებითი მონაცემებით)



- 1 – ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება
- 2 – ახალწარმონაქმნები
- 3 – ნერვიული სისტემების დაავადებები
- 4 – სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები
- 5 – სუნთქვის ორგანოების დაავადებები
- 6 – საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები
- 7 – პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები
- 8 – ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი

წყარო: დანართი 1., ცხრილი 22, 23.

საინტერესოა იმის ცოდნა, თუ რა გავლენას მოახდენდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე ზოგიერთი დაავადების არ არსებობას.


ცხადია, რომელიმე დაავადების არსებობის შემთხვევაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ნაკლები იქნება, ვიდრე ამ დაავადების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა იმ სხვაობების გამოვლენა, რომელიც იქნებოდა ამა თუ იმ დაავადებისას და დაავადების გარეშე და აღნიშნული სხვაობების დადგენა გარკვეული პერიოდისათვის.


2004 წელს, 1989 წელთან შედარებით ახალწარმონაქმნების მიზეზით მამაკაცებისათვის ეს სხვაობა, რამდენადმე გაიზარდა და 2,1 წელი შეადგინა, ამასთან, მაღალ ასაკში ეს სხვაობა უფრო ნაკლებია, ვიდრე დაბალ ასაკში.

დიაგრამა 2.35. დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში და მის გარეშე 1989 და 2004 წწ.

მამაკაცები



ქალები



- 1 - ახალწარმონაქმნები
- 2 - სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები
- 3 - სუნთქვის ორგანოების დაავადებები
- 4 - ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი

წყარო: გ. წულაძე. სიცოცხლის ხანგრძლივობის ცვლილების მიზეზები საქართველოში. თბილისი, 2007, გვ. 40, 107 (განაგარიშებულია ნ. მაღლაფერიძის მიერ).

ქალების შემთხვევაში, მამაკაცების მსგავსად, ახალწარმონაქმნების გარეშე სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 2 წლით გაიზარდებოდა 2004 წელს, ხოლო 1989 წელს რეზერვი მხოლოდ 1,5 წელი იყო.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ყველაზე დიდ რეზერვს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადების ლიკვიდაცია იძლევა. 2004 წელს,

მამაკაცებისათვის აღნიშნული რეზერვი დაბადებისას უფრო დიდია ქალებთან შედარებით (შესაბამისად 8,4 და 6,9 წელია).

როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში სიცოცხლის ხანგრძლივობის რეზერვი სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებისაგან 2004 წელს 1989 წელთან შედარებით რამდენადმე შემცირდა.

სუნთქვის ორგანოების დაავადებების ლიკვიდაცია დაახლოებით სიცოცხლის ხანგრძლივობის 1 წლის რეზერვს იძლევა როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში.


ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგის ლიკვიდაციისას მამაკაცების შემთხვევაში სიცოცხლის ხანგრძლივობის მეტ რეზერვს იძლევა ქალებთან შედარებით და 1,5 წელს შეადგენს დაბადებისას (ქალების შემთხვევაში – 0,6 წელი)⁶².

⁶² გ. წულაძე. სიცოცხლის ხანგრძლივობის ცვლილების მიზეზები საქართველოში. თბილისი, 2007, გვ. 41.

2.5. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება

განსხვავება სტატისტიკის დეპარტამენტის და შეფასებით მონაცემებს შორის, 2001-2006 წლებში, ბუნებრივ მატებასა და მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებში ძირითადად გამოწვეულია სამი მიზეზით: 1) სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დაბადებთა და გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვით; 2) გარე მიგრაციის არასათანადოდ შეფასებით, 2004 წლიდან გარე მიგრაციის სიდიდის განსაზღვრისას მეთოდოლოგიური შეცდომებით; 3) მოსახლეობის რაოდენობის გადამეტებით წარმოჩენაში.

დიაგრამა 2.32. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 2001-2006 წწ.




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 41.

როგორც მოტანილი დიაგრამიდან ჩანს, განსხვავება სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებით მონაცემებს შორის 2000-იან წლებში ყოველ წელს შეიმჩნევა.

მსგავსი განსხვავებაა ასევე ბუნებრივი მატების კოეფიციენტებს შორის 2001-2006 წლებში მოსახლეობა 1000 სულზე.


დიაგრამა 2.33. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 2001-2006 წწ. (%).



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 41.

რაც შეეხება მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტს მას 2001-2006 წლებში შემდეგი ტრენდი ჰქონდა.

დიაგრამა 2.34. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტები 2001-2006 წწ.




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 43-44.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის აღწარმოების სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებითი მონაცემების მიხედვით გამოთვლილი ნეტო კოეფიციენტების ტრენდები მსგავსია. განსხვავება ის არის, რომ შეფასებითი მონაცემებით მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი მეტია, ვიდრე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით. აღნიშნული განსხვავების მიუხედავად როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის, ისე შეფასებითი მონაცემებით მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტები ნაკლებია ერთზე, რაც მიუთითებს მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილ რეჟიმზე, რომელიც საქართველოში 1992 წლიდან დამკვიდრდა.

2.6. ქორწინება და განქორწინება

2002 წელს 1989 წელთან შედარებით მთლიანობაში შემცირდა ქორწინებაში მყოფი როგორც მამაკაცების, ისე ქალების რაოდენობა შესაბამისი სქესის 1000 სულზე. აღნიშნული კლება მამაკაცების ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ქალებისათვის მხოლოდ 60 წლის ასაკამდე, უფროს ასაკში კი ზრდა შეინიშნებოდა. მოცემულზე ნათელ წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 2.35.


დიაგრამა 2.35. ქორწინებაში მყოფი საქართველოს მოსახლეობა 1989 და 2002 წწ. (შესაბამისი სქესისა და ასაკის 1000 სულზე)



წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ტ. I. თბილისი, 2003, გვ. 137-138.

ამავე დროს შესაბამისი ასაკისა და სქესის მოსახლეობის 1000 სულზე გაიზარდა არასოდეს დაქორწინებულთა რაოდენობა.

დიაგრამა 2.36. ვითარება საქართველოს “საქორწინო ბაზარზე” 1989 და 2002 წწ. (ქორწინებაში არმყოფი ქალების რაოდენობა საშუალოდ ქორწინებაში არმყოფ 1 მამაკაცზე)



წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ტ. I. თბილისი, 2003, გვ. 139-140; გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბილისი, 2002, გვ. 22.

როგორც მოტანილი დიაგრამიდან ჩანს ვითარება “საქორწინო ბაზარზე” 2002 წელს 1989 წელთან შედარებით 30 წლამდე მამაკაცებისა და 25 წლამდე ქალებისათვის ნაკლებად შეიცვალა. მნიშვნელოვან ცვლილებას ჰქონდა ადგილი 30-44 წლის ასაკის მამაკაცებისა და 25-39 წლის ასაკის ქალებისათვის. აღნიშნულ ასაკში ქორწინებაში არმყოფი ქალების რაოდენობა საშუალოდ ქორწინებაში არმყოფ 1 მამაკაცზე შემცირდა, ხოლო 45-49 წლის მამაკაცებისა და 40-44 წლის ქალებისათვის რამდენადმე გაიზარდა. მოტანილი დისპროპორციების ცვლილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფებისათვის ერთ შემთხვევაში სიტუაცია “საქორწინო ბაზარზე” გაუმჯობესდა, ხოლო მეორე შემთხვევაში – რამდენადმე გაუარესდა.

1990-იან წლებში როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის მიმდინარეობდა ხელახალ ქორწინებათა წილის შემცირება და უკვე 2000 წლისათვის ხელახალ ქორწინებათა წილი რამდენჯერმე ნაკლები იყო 1990 წლის დონესთან შედარებით.

დიაგრამა 2.37. ხელახალ ქორწინებათა წილის ცვლილება საქართველოში 2001-2006 წწ.



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 55-56.

XXI საუკუნეში ხელახალ ქორწინებათა წილი საქართველოში განიცდის გარკვეულ ცვლილებას. ის ჯერ კლებულობს, 2003 წლისათვის რამდენადმე მატულობს, ხოლო 2006 წლისათვის მცირდება უაღრესად დაბალ დონემდე, რომელიც დაფიქსირებული იყო ბოლო 25 წლის განმავლობაში.


განსახილველ პერიოდში ცვლილებას განიცდიდა ქორწინების ასაკი. კერძოდ, პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 2006 წელს 2000 წელთან შედარებით მამაკაცებისათვის 1 წლით, ხოლო ქალებისათვის 0,7 წლით გაიზარდა და შესაბამისად 29,4 და 25,4 წელი შეადგინა.

2004 წლიდან როგორც ყველა რეგისტრირებულ ქორწინებათა, ისე პირველად რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა საქართველოში განუხრელად მატულობდა. ამასთან, აღსანიშნავია რომ 2003 წლიდან საქართველოში მცირდებოდა იმათი წილი, ვინც ქორწინებისას ქვრივი და განქორწინებული იყო, ხოლო მის პარალელურად იზრდებოდა დაუქორწინებლების წილი.

2002 წელს 2001 წელთან შედარებით, გარკვეული კლების შემდეგ, 2003 წლიდან ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი განაგრძობს განუხრელად ზრდას

და 2006 წელს აღწევს 1993 წლის დონეს, თუმცა ის მაინც 1990-1991 წლების დონეზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალია.


დიაგრამა 2.38. რეგისტრირებული ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტების ცვლილება საქართველოში 2001-2006 წწ.



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 57.

2000-იან წლებში განქორწინებათა აბსოლუტური რაოდენობა საქართველოში იზრდება, თუმცა აღნიშნული ნაკლებად აისახა განქორწინებათა რაოდენობაზე მოსახლეობის 1000 სულზე და 2006 წლისათვის მხოლოდ 0,5 შეადგინა, რაც განქორწინების დაბალ დონედ უნდა მივიჩნიოთ.

დიაგრამა 2.39. განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტები საქართველოში 2001-2006 წწ.




წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 67.

აღსანიშნავია, რომ 2001-2004 წლებში განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2005 წლიდან მისი ზრდა შეიმჩნეოდა და 2006 წელს პრაქტიკულად 1997 წლის დონეს მიაღწია.

როგორც ცნობილია განქორწინების დონეს უფრო ზუსტად ასახავს განქორწინების ინდექსი. აღნიშნული მაჩვენებლის ცვლილება საქართველოში ნაჩვენებია ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე.

დიაგრამა 2.40. განქორწინების ინდექსის ცვლილება საქართველოში 2001-2006 წწ.



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp. 57, 67.

აღსანიშნავია, რომ განქორწინების ინდექსი განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტისაგან განსხვავებულ სურათს იძლევა. განქორწინების ინდექსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განქორწინების დონე საქართველოში როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის 2001-2005 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება თუმცა რამდენადმე იზრდება 2006 წლისათვის. ამასთან, თუ 2002-2005 წლებში განქორწინების ინდექსი ქალებისათვის მეტი იყო მამაკაცებთან შედარებით, 2006 წელს უკვე მამაკაცების განქორწინების დონე ჭარბობდა ქალებისას.

განქორწინების საშუალო ასაკი საქართველოში 2000-იან წლებში ძირითადად მამაკაცებისათვის 40-41, ხოლო ქალებისათვის 37-38 წლის ასაკის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო განქორწინების საშუალო პერიოდი ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით 11-12 წლის ფარგლებში მერყეობს.

2.7. ბარემ მიბრაცია

დაბადებათა და გარდაცვალებათა აღრიცხვასთან შედარებით, გარე მიგრაციის გაცილებით უარესი აღრიცხვის გამო, გარე მიგრაციის შესახებ მონაცემთა სანდოობაზე მსჯელობა უადვილოა. სამწუხაროდ ასეთი სავალალო მდგომარეობა 2000-იან წლებშიც არსებობს.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგად მოხდა აღწერათაშორის პერიოდისათვის (1989-2001 წწ.) გარე მიგრაციის შესახებ მონაცემთა გადასინჯვა და მათი ახალი სახით წარმოდგენა, რაზედაც მოცემული ნაშრომის წინა ნაწილში გვქონდა საუბარი და ამდენად აღნიშნულ საკითხს აქ აღარ შევეხებით.

2002 წლის მოსახლეობის აღწერისას გამოყენებულ იქნა სპეციალური ფორმა ემ – “ემიგრანტთა სააღწერო ფურცელი”, რომელიც მიზნად ისახავდა გარე მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას.

სამწუხაროდ აღნიშნულმა ფორმამ სათანადოდ ვერ “იმუშავა” და დააფიქსირა მხოლოდ 113,7 ათასი ემიგრანტი. მაშინ როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ აღწერათაშორისი პერიოდისათვის მოსახლეობის რაოდენობისა და ბუნებრივი მატების გათვალისწინებით, გადაანგარიშებული გარე მიგრაციის უარყოფითი საღლო, ბევრად მეტი აღმოჩნდა და 1989-2001 წლებისათვის შეადგინა 928,6 ათასი⁶³.

სპეციალურად ჩატარებული ექსპერტული გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერისას ვერ იქნა მოპოვებული სრულფასოვანი ინფორმაცია რაოდენობრივი თვლასაზრისით გარე მიგრანტების შესახებ ძირითადად შემდეგი მიზეზების გამო: 1) აღწერამ ვერ მოიცვა ემიგრაციაში მთლიანად წასული ოჯახები; 2) ხელისუფლებისადმი უნდობლობის გამო მოსახლეობამ დაფარა ემიგრაციის ფაქტები; 3) საცხოვრებელ ადგილზე არავინ იმყოფებოდა⁶⁴.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის 2002 აღწერის მიხედვით, გარე მიგრანტების შესახებ მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, დადგინდა იქნა, რომ მონაცემების უმეტესობა სტრუქტურული თვალსაზრისით ვარგისია ანალიზისათვის. ამასთან, მონაცემთა ნაწილი, ისეთი როგორც არის საქართველოდან წასვლის ხანგრძლივობა, წასვლის წელი და შინამეურნეობების რიცხვი და სიდიდე, შემდგომი ანალიზისათვის უვარგისია⁶⁵.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, გარე მიგრანტების შესახებ მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა იქნა⁶⁶, რომ:

1. ემიგრანტების საერთო რაოდენობაში მამაკაცების წილი მეტია ქალების წილთან შედარებით.
2. ემიგრანტი მამაკაცებისა და ქალების განაწილებას ასაკის მიხედვით მსგავსი ტენდენცია ახასიათებს.
3. ემიგრანტების მეტი წილი 25-44 წლის ასაკზე მოდის.
4. წასვლამდე ემიგრანტების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დასაქმებული. ემიგრაციის მნიშვნელოვან ფაქტორს დასაქმება წარმოადგენს.
5. ემიგრანტი მამაკაცების და ქალების დიდი უმრავლესობა საზღვარგარეთ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით მიემგზავრება.

⁶³ წყარო: საქართველოს მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003, გვ. 67.

⁶⁴ გ. წულაძე. ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით. თბილისი, 2005, გვ.47.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ იქვე, გვ. 47-49.

6. ემიგრანტების დაახლოებით ნახევარს საქართველოში დარჩენილ ოჯახთან მატერიალური ურთიერთობა არა აქვს. ემიგრანტების მესამედზე მეტი მატერიალურად ეხმარება საქართველოში დარჩენილ ოჯახს და მხოლოდ მცირე ნაწილი ღებულობს მატერიალურ დახმარებას საქართველოში დარჩენილი ოჯახისაგან.
7. ემიგრანტები, რომლებიც ოჯახისაგან ღებულობენ მატერიალურ დახმარებას ძირითადად 30 წლამდე ასაკისანი, ხოლო ისინი ვინც ეხმარებიან საქართველოში დარჩენილ ოჯახებს – უფროსი ასაკისანი არიან.
8. ემიგრანტების მეტი წილი საშუალო ზოგადი განათლების მქონეა. მათზე რამდენადმე ნაკლებია უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე ემიგრანტების წილი.
9. ემიგრაციის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა სამეგრელო და ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და თბილისი. მათთან შედარებით ემიგრაციის ინტენსივობა ნაკლები იყო იმერეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში. ემიგრაციის ყველაზე დაბალი ინტენსივობა დამახასიათებელი იყო აჭარის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისათვის.
10. ემიგრანტებისა და საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა სქესისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით მსგავსია.
11. ემიგრანტების დიდი უმრავლესობა (80%-ზე მეტი) საქართველოს მოქალაქეა.
12. მართმადიდებელი, მაჰმადიანური, სომხურ-გრიგორიანული და იუდეური სარწმუნოების ემიგრანტებში დიდი უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა. კათოლიკური სარწმუნოების ემიგრანტებში უმრავლესობა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა.
აღსანიშნავია, რომ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებში ძირითადად რუსეთის მოქალაქეები ჭარბობენ.
13. კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ემიგრანტები განსხვავდებიან სარწმუნოების მიხედვით.
14. ყველაზე დაბალი ემიგრაციის ინტენსივობა დამახასიათებელი იყო ქართველებისათვის და შემდეგ აზერბაიჯანელებისა და სომხებისათვის. მათთან შედარებით ემიგრაციის მაღალი ინტენსივობა ახასიათებდათ რუსებს. სომხებისა და ქურთების (იეზიდების) ემიგრაციის ინტენსივობა მსგავსია და მეტი იყო რუსებთან შედარებით. ყველა სხვა ეროვნებასთან შედარებით, ყველაზე მაღალი ემიგრაციის ინტენსივობით გამოირჩეოდნენ ებრაელები.
15. ემიგრანტების უმრავლესობა მშობლიურ ენად ასახელებს თავისი ეროვნების ენას.
16. სხვა ემიგრანტებთან შედარებით, მშობლიურად ქართულ ენას ებრაელი, ასირიელი და შემდეგ ოსი ეროვნების ემიგრანტები ასახელებენ.
17. ქართული მეორე ენად მიაჩნიათ რუსების, ქურთებისა და ოსების უმეტესობას.
18. რუსული მეორე ენად მიაჩნიათ ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების დიდ უმრავლესობას.
19. ემიგრანტების უმრავლესობა რუსეთში გაემგზავრა და ამჟამად იქ ცხოვრობს. რუსეთის შემდეგ ემიგრანტთა მნიშვნელოვანი წილი საბერძნეთში გაემგზავრა და ამჟამად იქ ცხოვრობს.


2002 წლიდან გარე მიგრაციის აღრიცხვა ისევ პრობლემად რჩებოდა. სტატისტიკის დეპარტამენტმა პრაქტიკულად უარი სთქვა რეგისტრირებულ გარე მიგრანტთა შესახებ მონაცემებზე. მათი რეალობასთან არაადეკვატურობიდან გამომდინარე. გამოსავალი, გარკვეულწილად, იმით გამოიძებნა რომ გამომდინარე

გარე მიგრაციის საღდოს შესახებ აღწერათაშორის პერიოდში მიღებული ტრენდიდან სტატისტიკის დეპარტამენტი გადავიდა გარე მიგრაციის საღდოს შეფასებაზე.

მოგვიანებით სტატისტიკის დეპარტამენტმა აღნიშნული მიღგომა არამართებულად მიიჩნია და დაიწყო საქართველოს საზღვრის გადამკვეთი პირებიდან გამომდინარე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემების გამოყენება.

ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე მოცემულია გარე მიგრაციის საღდო 2001-2006 წლებისათვის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, რომლებიც ერთ შემთხვევაში შეფასებით ხასიათს ატარებს (სდ შეფასება), ხოლო მეორე შემთხვევაში ეფუძნება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებს (სდდ მონაცემებით). იქვე მოცემულია ექსპერტული შეფასება.

დიაგრამა 2.41. გარე მიგრაციის საღდო საქართველოსათვის 2001-2006 წწ.



წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2005. UNFPA. Tbilisi, 2006, p. 186; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, p. 205.

2001-2003 წლების გარე მიგრაციის საღდო სტატისტიკის დეპარტამენტმა უცვლელი დატოვა. 2004 წლიდან იგი სარგებლობს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებით, რომელთაგან გამომდინარეობს, რომ 2004-2005 წლებში გარე მიგრაციის საღდო დადებითია, ხოლო 2006 წელს – უარყოფითია. ექსპერტული შეფასებით გარე მიგრაციის საღდო 2001-2006 წლებში უარყოფითია და ამასთან 2004 წლიდან მას კლების ტენდენცია ახასიათებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ნებით, თუ უნებლიეთ დაშვებულ იქნა მეთოდოლოგიური შეცდომა. ერთ შემთხვევაში დაიწყო იმ რიცხვებით ოპერირება, რომლებიც მოსახლეობის ზრდაზე მიანიშნებდა, ხოლო მეორე შემთხვევაში იმ რიცხვების საერთოდ უგულებელყოფა, რომლებიც მოსახლეობის კლებას ასახავდნენ.

ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებში, მაგრამ მათ თავისი დანიშნულება აქვს და მათი გამოყენება გარე მიგრაციის განსაზღვრისათვის არ გამოდგება.

ამასთან, აღნიშნული დეპარტამენტის მონაცემებით საზღვრის გადამკვეთ პირთა მიგრანტებთან გაიგივება მიზანშეწონილი არ არის.

საქართველოს საზღვარს, ბოლო წლებში, საშუალოდ წელიწადში 3 მილიონზე მეტი ადამიანი კვეთს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემების გამოყენება გარე მიგრაციის სალდოს სიდიდის განსაზღვრისათვის მიზანშეწონილი არ არის შემდეგი მიზეზების გამო:

- ✓ ჯერ ერთი, ვინმე აუცილებლად უნდა დაფიქრებულიყო, რომ 4 მილიონიან ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში 3 მილიონი მიგრანტი ვერ იქნებოდა
- ✓ მეორე, გაუგებარია, თუ რატომ იყო გათვალისწინებული საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაში მიგრაციული ფაქტორის გათვალისწინებისას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და უგულებელყოფილი სხვა ქვეყნის მოქალაქეები?
- ✓ მესამე, საზღვრის გადამკვეთი ყველა პირი მიგრანტად ვერ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი პირი წლის განმავლობაში საზღვარს რამდენჯერმე კვეთს;
- ✓ მეოთხე, რაც მთავარია, მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს შემოსვლა-გასვლის ხანგრძლივობას.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემები, სამწუხაროდ, დიფერენცირებული არ არის შემოსვლა-გასვლის ხანგრძლივობის მიხედვით, ხოლო ამის გარეშე არ შეიძლება მიგრაციის სალდოზე სერიოზული მსჯელობა.

საქმე ისაა, რომ ყველა გამოკვლევის (მათ შორის სტატისტიკის დეპარტამენტის) შედეგები უჩვენებენ, რომ საზღვრის გადამკვეთ პირთა მეტი წილი მოდის 3 თვემდე ხანგრძლივობაზე, ხოლო პირი, რომელიც ქვეყანაში სამ თვემდე იმყოფება, მიგრანტად ვერ ჩაითვლება.

საზღვრის გადამკვეთ პირთა მხოლოდ მცირე წილი მოდის მათზე, ვინც მუდმივად ან ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით შემოდის ან გადის ქვეყნიდან. სწორედ ისინი შეიძლება იყვნენ მიგრანტები და მიგრაციული სალდო მათი გათვალისწინებით შეიძლება იქნას გაანგარიშებული.

საზღვრის გადამკვეთ პირთა ქვეყანაში შემოსვლის ან გასვლის ხანგრძლივობის სტრუქტურა ისეთი შეიძლება იყოს, რომ უარყოფითი სალდო დამახასიათებელი იყოს მუდმივად და ერთ წელზე მეტი დროით წასული პირებისათვის, ხოლო დადებითი გამოდიოდეს 3 თვემდე ხანგრძლივობაზე. ვინაიდან 3 თვემდე ხანგრძლივობაზე ყველაზე მეტი წილი მოდის, საერთო ჯამში სხვაობა დადებითი იქნება.

მოტანილი პირობითი მაგალითია, მაგრამ ერთი რამ ნათელია, რომ მარტოდენ საერთო მაჩვენებლებით ოპერირება, შემოსვლა-გასვლის ხანგრძლივობის სტრუქტურის გათვალისწინების გარეშე, დაუშვებელია.

ამდენად, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული მონაცემები „მიგრაციული სალდოსათვის“ 2005 წელს – 76,3 ათასი, ხოლო 2004 წლისათვის – 5,5 ათასი, მიგრაციულ სალდოდ ვერ ჩაითვლება.

ისიც აღსანიშნავია, რომ თვით სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით გარე მიგრაციის სალდო 2005 წელს უარყოფითი იყო და 334-ს შეადგენდა. ეს რიცხვი უდავოდ მცირეა და ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო გაცილებით მეტი უნდა იყოს... და მაინც თავისი სიმცირის მიუხედავად, უარყოფითია და არა დადებითი.

ამასთან საკითხავია, თუ რატომ მოხდა გადაანგარიშება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემების გამოყენების საფუძველზე მხოლოდ 2004-2005 წლებისათვის?

რატომ იქნა უცვლელად დატოვებული 2004 წლის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა?

2002 წლის იანვარში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ითვლება, რომ აღწერის მონაცემები ყველაზე სანდოა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტს გააჩნია მონაცემები 2002 და 2003 წლებისათვისაც. ამ მონაცემებით სხვაობა შემოსულებსა და გასულებს შორის

უარყოფითი იყო და 2002 წელს -40,1 ათასი, ხოლო 2003 წელს -32,2 ათასი შეადგინა. ამის გათვალისწინებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2004, 2005 და 2006 წლებში ვერ იქნებოდა ისეთი, როგორც ამას უთითებს სტატისტიკის დეპარტამენტი.


სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ციფრებისა და წლების მიმართ აღნიშნული “სელექციური მიდგომა” მიზანშეწონილი არ არის. ამასთან, იგი აშკარა გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების სწორად შეფასებაზე.

2.8. ეროვნული შემადგენლობა (1959-2006 წლები) და ეთნოდემოგრაფიული პროცესები

საქართველოს მოსახლეობის ეროვნულმა შემადგენლობამ 1959-2006 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

ზოგადი კანონზომიერება ის იყო, რომ 1959-1989 წლებში საქართველოს მთელ მოსახლეობაში იზრდებოდა ქართველების აბსოლუტური რაოდენობა და წილი. 1990-იან წლებში ძირითადად გარე მიგრაციის გავლენითა და ასევე ბუნებრივი მატების შემცირების შედეგად არაქართველების აბსოლუტური რაოდენობა მცირდება. იმავე დროს მატულობს ქართველების წილი, რაც ძირითადად სხვა ეროვნებების გარე მიგრაციის მეტი ინტენსივობით იყო გამოწვეული ქართველებთან შედარებით. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქართველების წილი 83,8%-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც 1989 წელს მხოლოდ 70,1% იყო. 13 წლის განმავლობაში ქართველების წილი საქართველოში თითქმის იგივე ოდენობით გაიზარდა, რაც წინა 30 წლის (1959-1989) განმავლობაში. ამასთან, ქართველების წილი საქართველოს მოსახლეობაში მატებას განაგრძობს.

დიაგრამა 2.42. ქართველების წილი (%) საქართველოს მთელ მოსახლეობაში 1959-2007 წწ.



1959-2002 წწ. – სდ მონაცემებით; 2007 წ. – შეფასებითი მონაცემებით


წყარო: დანართი 1, ცხრილი 17.

ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე (2.43) ნახვენებია 1989 წელთან შედარებით 2002 წელს, თუ რა წილი (%) შეადგინა საქართველოში მცხოვრები სხადასხვა ეროვნების მოსახლეობამ. ამასთან, ვინაიდან 2002 წელს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა წარმოდგენილია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე, ამიტომ, შედარებისათვის 1989 წლის მოსახლეობა, შესაბამისი გაანგარიშებისას, ასევე ითვალისწინებს ეროვნულ შემადგენლობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აო გარეშე.

როგორც ვხედავთ, 2002 წელს 1989 წელთან შედარებით გაიზარდა აფხაზეთისა და ქართველების რაოდენობა. აფხაზეთის რაოდენობა საქართველოში აფხაზეთის გარეთ 1989 წელს მცირე იყო და სულ 2,6 ათასს შეადგენდა. როგორც ჩანს, ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთის მცირე ნაწილმა (1000 კაცამდე) დატოვა აფხაზეთი და განსახლდა საქართველოს სხვა ტერიტორიებზე.

ქართველების შემთხვევაში მატება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ აღნიშნული კონფლიქტის შედეგად აფხაზეთი ძალდატანებით დაატოვებინეს 280 ათასზე მეტ ქართველს და ისინი განსახლდნენ საქართველოს სხვა ტერიტორიებზე.

დიაგრამა 2.43. საქართველოში მცხოვრები ეროვნებების მოსახლეობის წილი (%) 2002 წელს 1989 წელთან შედარებით (1989 წ. = 100%)



წყარო: დანართი 1, ცხრილი 17.

2002 წელს 1989 წელთან შედარებით, საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ეროვნების რაოდენობის, კლებას ჰქონდა ადგილი.


მათ შორის, წილობრივიდან გამომდინარე, ყველაზე ნაკლებად შემცირდა აზერბაიჯანელების და შემდეგ სომხების რაოდენობა.


ყველაზე მნიშვნელოვანი კლება განიცადეს ბელორუსებმა, ხოლო შემდეგ ებრაელებმა, უკრაინელებმა და ბერძნებმა.

საკმაოდ არსებითი იყო რუსების კლება, რომლებიც 2002 წელს 1989 წელთან შედარებით 4-ჯერ შემცირდნენ.

ზემოთ აღნიშნულს მოჰყვა სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის ცვლილება. 2002 წლისათვის საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებების ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდები მოტანილია დიაგრამაზე 2.44.

დიაგრამა 2.44. საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებების ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით






წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2004, გვ. 65-75.

ქართველებისა და სომხების ასაკობრივი სტრუქტურა სტაციონარული ტიპისაა. აზერბაიჯანელების ასაკობრივი სტრუქტურა პროგრესული ტიპის, მაგრამ იგრძნობა სტაციონარულ ტიპზე გადასვლა, რაზეც 0-9 ასაკობრივი ჯგუფის წილი მიგვანიშნებს. საქართველოში მცხოვრები რუსების ასაკობრივი შემადგენლობა გამოსატული რეგრესული ტიპის ხასიათს ატარებს.

15 წლამდე ასაკისა და დემოგრაფიული დაბერების თვალსაზრისით საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დიაგრამა 2.45. საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებების 15 წლამდე და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%) 2002 წელს



წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2004, გვ. 65-75.

როგორც ვხედავთ ახალგაზრდა მოსახლეობის შემადგენლობა ახასიათებთ აზერბაიჯანელებს. მათთვის, სხვა ეროვნებებთან შედარებით (ქურთებისა და იეზიდების გარდა), ყველაზე ნაკლებია დემოგრაფიული დაბერების დონე.

ახალგაზრდა მოსახლეობის წილი ყველაზე ნაკლებია საქართველოში მცხოვრებ რუსებში და შესაბამისად მათთან ყველაზე მაღალია დემოგრაფიული დაბერების დონე.

ქართველებსა და სომხებს, დემოგრაფიული დაბერების თვალსაზრისით, აზერბაიჯანელებსა და რუსებს შორის შუალედური ადგილი უკავიათ, თუმცა სომხების დემოგრაფიული დაბერების დონე რამდენადმე მეტია ქართველებთან შედარებით.


1989 წელს აზერბაიჯანელების შობადობა მოსახლეობის 1000 სულზე მნიშვნელოვნად მაღალი იყო საქართველოში მცხოვრებ ხალხმრავალ ეროვნებათა შორის, ხოლო რუსების – ყველაზე დაბალი. ამავე დროს რუსების მოკვდაობის საერთო დონე ყველაზე მაღალი იყო, ხოლო აზერბაიჯანელების – ყველაზე დაბალი. უკვე 1989 წელს რუსების მოკვდაობა აღემატებოდა შობადობას და ამდენად, ბუნებრივ კლებას ჰქონდა ადგილი. აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატება ძალიან მაღალი იყო და 3-ჯერ აღემატებოდა ქართველების ბუნებრივ მატებას. სომხების შობადობისა და მოკვდაობის დონე რამდენადმე მეტი იყო ქართველებთან შედარებით, ისევე როგორც ბუნებრივი მატება.

2005 წლისათვის საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების შობადობისა და მოკვდაობის და შესაბამისად ბუნებრივი მატების დონეებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით შობადობისა და მოკვდაობის დონე საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებებისათვის შემდგენიერად გამოიყურება (იხ. დიაგრამა 2.46).

2005 წელს 1989 წელთან შედარებით, ყველა ეროვნებისათვის შემცირდა როგორც შობადობის, ისე მოკვდაობის დონე მოსახლეობის 1000 სულზე, რასაც მოჰყვა ბუნებრივი მატების კლებაც, რომელიც სამი ხალხმრავალი ეროვნებისათვის – ქართველებისათვის, სომხებისა და რუსებისათვის უარყოფითი აღმოჩნდა, ანუ მოკვდაობის სიდიდემ გადააჭარბა შობადობას, განსაკუთრებით რუსების შემთხვევაში. აზერბაიჯანელების შემთხვევაში შობადობის მნიშვნელოვანი კლებისა და მოკვდაობის რამდენადმე ზრდის მიუხედავად ბუნებრივ მატებას ჰქონდა ადგილი, თუმცა ის თითქმის 2-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1989 წელს.

დიაგრამა 2.46. შობადობა და მოკვდაობა (%0) საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებებისათვის 1989 და 2005 წწ.




წყარო: დანართი 1, ცხრილი 18.

შობადობაზე ეროვნებების მიხედვით გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საქართველოში 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები, სადაც

დადგენილ იქნა გათხოვილი ქალების ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა, რომელიც ჩვენს შემთხვევაში გადაანგარიშებულია საშუალოდ 1 ქალზე.

დიაგრამა 2.47. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებების გათხოვილი ქალების მიერ დასახელებული ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით




წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტ. I. თბილისი, 2003, გვ. 156.

ქართველი გათხოვილი ქალების ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობა მსგავსია ქვეყნისათვის დამახასიათებელი ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობის. ამასთან, ის ნაკლებია, აზერბაიჯანელების, ქურთებისა და იეზიდებისა და სომხების მიერ დასახელებული ბავშვების მოსალოდნელ რაოდენობაზე. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ აზერბაიჯანელების ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობა უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას მცირე ზომით. ყველაზე მცირეა რუსებისა და უკრაინელების ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს შევადაროთ საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებების ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობა, რომელიც დაასახელეს გათხოვილმა ქალებმა 1980 წელს და 2002 წლის მოსახლეობის აღწერისას.

დიაგრამა 2.48. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებების გათხოვილი ქალების მიერ დასახელებული ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა 1980 და 2002 წწ.



წყარო: 1980 წ. – გ. წულაძე. შობადობის სოციოლოგიის საკითხები. თბილისი, 1984, გვ. 113; 2002 წ. – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტ. I. თბილისი, 2003, გვ. 156.

როგორც ვხედავთ, ქართველებისა და სომხების ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობა 2002 წელს 1980 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა, ხოლო რუსების – უმნიშვნელოდ გაიზარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კლება განიცადა აზერბაიჯანელებისა და ქურთების ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობამ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ განვლილ 22 წელიწადში, ქართველების, სომხებისა და რუსების ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა უმნიშვნელოდ შეიცვალა და პრაქტიკულად დასტაბილიზირდა დაბალ დონეზე, რომელიც საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის.

2006 წლის მონაცემებით ქართველებისა და აზერბაიჯანელების დიდი უმრავლესობა (შესაბამისად 98,8% და 96,2%) ქორწინდებოდა თავისივე ეროვნების წარმომადგენელზე. რუსი ქალების 20%-მდე ქორწინდებოდა ქართველ მამაკაცებზე, ხოლო სომხებში ასეთების წილი 8,6% იყო (იხ. დანართი 1, ცხრილი 19).

ამდენად, საქართველოში მცხოვრები ხალხმრავალი ეროვნებებისათვის სხვადასხვა ზომით, მაგრამ ძირითადად დამახასიათებელი იყო ერთეულოვანი ქორწინებები.

3. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები

მოსახლეობის რაოდენობის, მისი შემადგენლობისა და სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლის პერსპექტიული გაანგარიშებები აუცილებელია სახელმწიფოს მართვისათვის; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

ამდენად, საერთაშორისო სტანდარტებსა და უახლეს სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებულ პროგნოზებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში, კერძოდ ახალ ათასწლეულში მოსახლეობის განვითარების ოპტიმალური პოლიტიკის დანერგვაში⁶⁷.

დემოგრაფიულ პროგნოზს მიღებული ნორმებით გარკვეულ მოთხოვნებს უყენებენ. ჩვეულებრივ აუცილებელია პროგნოზის წარმოდგენა სამი ვარიანტით – დაბალი (პესიმისტური), საშუალო და მაღალი (ოპტიმისტური). ამასთან, არსებობს გარკვეული ნუსხა, რომელიც პროგნოზირებისას უნდა იყოს გათვალისწინებული, რასაც გაეროს სტანდარტებით მიეკუთვნება: მოსახლეობის რაოდენობა, მისი ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის წარმოდგენა სხვადასხვა სახის ასაკობრივი დაჯგუფებით და მთელი რიგი დემოგრაფიული მაჩვენებლები.

გაეროს ექსპერტების პერსპექტიული გაანგარიშებები მსოფლიოს ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, კეთდება და ქვეყნდება ყოველწლიურად.

ქართველი დემოგრაფების მიერ საქართველოს მოსახლეობისა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების პერსპექტიული გაანგარიშებები, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით პირველად 2001 წელს შესრულდა⁶⁸. შემდგომი გადასინჯვა 2002 წელს მოხდა⁶⁹. ბოლო გადასინჯვა კი 2003 წელს შესრულდა⁷⁰.

ამ ნაწილის ძირითადი მიზანია, ახალი მონაცემებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, წარმოვადგინოთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობისა და ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების 2050 წლის ჩათვლით გაანგარიშებული პროგნოზის ანალიზი.

ამასთან, პერსპექტიულ გაანგარიშებებში გამოიყენება საქართველოს მოსახლეობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ჩათვლით. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 2005 წლისათვის მიჩნეულია 220 ათასად.

ამჯერად მოტანილია 2005-2050 წლების პერიოდის პროგნოზის მხოლოდ საშუალო ვარიანტი. მოცემულ შემთხვევაში შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები და შესაბამისად შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი უცვლელად არის მიჩნეული. საწყისად აღებულია 2005 წლის შეფასებითი მონაცემები⁷¹.

3.1. მოსახლეობა

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში მუდმივი შემცირების ტენდენცია გააჩნია და 2050 წლისათვის მცირდება 3386 ათასამდე, ანუ 2004 წელთან შედარებით დაიკლებს 734 ათასით (იხ.

⁶⁷ G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Population Prospects of Georgia. The 2003 Revision. UNFPA. Tbilisi, 2003, p. 7.

⁶⁸ G. Tsuladze, N. Maglaperidze. Population Prospects of Georgia. Tbilisi, 2001.

⁶⁹ G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia. 2001. Tbilisi, 2002, pp. 171-173.

⁷⁰ G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Population Prospects of Georgia. The 2003 Revision. UNFPA. Tbilisi, 2003.


⁷¹ წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia. 2006. UNFPA Tbilisi, 2007.

დიაგრამა 3.1).

პროგნოზის საშუალო ვარიანტისაგან განსხვავებით პროგნოზის დაბალი ვარიანტით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კიდევ 300 ათასით ნაკლები იქნება.

დემოგრაფიული პროგნოზირების პრაქტიკიდან გამომდინარე, პროგნოზის მაღალი ვარიანტის რეალიზება ნაკლებად შესაძლებელია, თუმცა მის შემთხვევაში 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა პროგნოზის საშუალო ვარიანტთან შედარებით დაახლოებით 400 ათასით მეტი იქნება. მიუხედავად ამისა, პროგნოზის მაღალი ვარიანტიდან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას მაინც კლების ტენდენცია ექნება და 2050 წლისათვის მაინც იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე 2005 წელს იყო.

დიაგრამა 3.1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) 2005-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი 2, ცხრილი 2.1.

ზემოთ მოტანილი დიაგრამიდან ნათელია, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირებების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, 2030 წლამდე აღნიშნული კლება საკმაოდ მაღალია და საშუალოდ წელიწადში 20 ათასს აღემატება, თუმცა 2005 წლიდან მისი სიდიდე კლებულობს.

2005-2050 წლების პერიოდის ძირითადი დამახასიათებელი ტენდენცია იქნება 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილის შემცირება და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის ზრდა.

დიაგრამა 3.2. 15 წლამდე და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის (%) ცვლილება საქართველოში 2005-2050 წწ.




წყარო: ნ. მაღლაფერიძე, გ. წულაძე საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები. 2008 წლის გადასინჯვა. თბილისი, 2008 (ხელნაწერი).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება დემოგრაფიული დაბერების პროცესი. 2050 წლისათვის, დღევანდელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო დაბერებული აღმოჩნდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი არსებითად განსაზღვრავს საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვან ცვლილებას.

დიაგრამა 3.3. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა 2005 და 2050 წწ., ათასი (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: ნ. მაღლაფერიძე, გ. წულაძე საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები. 2008 წლის გადასინჯვა. თბილისი, 2008 (ხელნაწერი).

როგორც მოტანილი დიაგრამიდან გამომდინარეობს 2005 წელს საქართველოს მოსახლეობის სტაციონარულ ტიპს 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რეგრესული ტიპი ჩაენაცვლება. აღსანიშნავია, რომ პროგნოზის საშუალო ვარიანტით უკვე 2030 წელს საქართველოს მოსახლეობას რეგრესული სახე ექნება, ხოლო შემდგომ პერიოდში რეგრესული ტიპი კიდევ უფრო გამოხატულ სახეს მიიღებს.

2025 წლის ჩათვლით საქართველოს მოსახლეობის ფორმირების ძირითადი კომპონენტი გარე მიგრაცია იქნება, ხოლო მის შემდეგ – ბუნებრივი კლება.


3.2. შობადობა

მიუხედავად იმისა, რომ პროგნოზის საშუალო ვარიანტით, შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები და შესაბამისად შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში უცვლელად იქნა მიჩნეული, დაბადებულთა რაოდენობას საქართველოში შემცირების ტენდენცია ექნება, რაც ძირითადად ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობის მუდმივი შემცირებით იქნება განპირობებული.

პროგნოზის თანახმად 2050 წლისათვის მხოლოდ 37 ათასი ცოცხლად დაბადებული ბავშვია მოსალოდნელი, ანუ 2005 წელთან შედარებით 15 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადება.

ასევე კლების ტენდენცია იქნება დამახასიათებელი შობადობის ზოგადი კოეფიციენტისათვის. 2050 წელს 2005 წელთან შედარებით შობადობა 2%-ით შემცირდება. აღნიშნული გაცილებით უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, რომ არა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება.

დიაგრამა 3.4. დაბადებულთა რაოდენობა (ათასი) და შობადობა (%
საქართველოში 2005-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი 2. ცხრილი 2.1.

3.3. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

საქართველოში, 2005-2050 წლებში, გარდაცვლილთა მოსალოდნელი რაოდენობა წელიწადში 52-54 ათასის ფარგლებში ვარირებს.

იმავე დროს მოკვდაობა მოსახლეობის 1000 სულზე განუხრელად გაიზრდება, რასაც ძირითადად დემოგრაფიული დაბერების პროცესის ზრდა განსაზღვრავს. 2040 წლიდან მოკვდაობა 15%-ეს გადააჭარბებს და ზრდა შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდება.

დიაგრამა 3.5. მოკვდაობა (%
საქართველოში 2005-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი 2. ცხრილი 2.1.

ჩვილთა მოკვდაობისათვის დამახასიათებელი იქნება კლების ტენდენცია. აღნიშნული ტენდენცია გულისხმობს ჩვილთა მოკვდაობის თანდათანობით შემცირებას. 2050 წლისათვის ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი თითქმის 2,5-ჯერ ნაკლები იქნება, ვიდრე 2005 წელს.

ჩვილთა მოკვდაობის პარალელურად შემცირდება ასევე 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვაობა 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობასა და ჩვილთა მოკვდაობას შორის დროთა განმავლობაში შემცირდება და მინიმუმს 2040 წლისათვის მიაღწევს.


დიაგრამა 3.6. 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობისა და ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები (1000 ცოცხლად დაბადებულზე) საქართველოში 2005-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი 2. ცხრილი 2.1.

რაც შეეხება დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში მას ზრდის ტენდენცია გააჩნია. ამასთან, 2050 წლისათვის მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 2005 წელთან შედარებით დაახლოებით 7,5 წლით გაიზრდება და განსხვავება ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაში 7,3-დან 5 წლამდე შემცირდება.

დიაგრამა 3.7. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში 2005-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი 2. ცხრილი 2.1.

3.4. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება

2010 წლისათვის მოკვდაობა უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბებს შობადობას და ამდენად ბუნებრივი გზით მოსახლეობის რაოდენობის მატება კლებით შეიცვლება, ანუ დეპოპულაცია სრული სახით წარმოგვიდგება. აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო გამოხატულ ხასიათს მიიღებს 2010 წლის შემდეგ და დროთა განმავლობაში სხვაობა მოკვდაობასა და შობადობას შორის კიდევ უფრო გაიზრდება. 2045 წლიდან, პროგნოზის საშუალო ვარიანტით, საშუალოდ წელიწადში, საქართველოს მოსახლეობა, ბუნებრივი გზით, დაკარგავს 16 ათას ადამიანს, რაც მოსახლეობის 1000 სულზე 4,7 შეადგენს.

დიაგრამა 3.8. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 2005-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი 2. ცხრილი 2.1.

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების უცვლელობის შემთხვევაში, პროგნოზის საშუალო ვარიანტით, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი მუდმივი იქნება და 2005-2050 წლებისათვის 0,84 შეადგენს, ანუ მომდევნო თაობები წინას მხოლოდ 84%-ით განაახლებს. აღნიშნული მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმის დამკვიდრებაზე მიგვითითებს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იქნება გაბატონებული.

რაც შეეხება მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტს, მისი სიდიდე უმნიშვნელოდ, მაგრამ დროთა განმავლობაში, მაინც გაიზრდება, რაც მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობის გაუმჯობესებიდან გამომდინარეობს.

დიაგრამა 3.9. მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში 2005-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი 2. ცხრილი 2.1.

2005 წელს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა 1,037 იყო, ხოლო 2040 წლისათვის მოსალოდნელია 1,012, ანუ დედათა თაობის შენაცვლებისათვის ერთი ქალის მიერ ნაკლები გოგოს გაჩენა იქნება საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ დროისათვის დამკვიდრებული იქნება მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი.

4. საქართველო და მსოფლიო


4.1. მოსახლეობა

2007 წელს მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ 6 მილიარდ 625 მილიონს გადააჭარბა. აქედან, განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობდა 1 მილიარდ 221 მილიონი, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – 5 მილიარდ 404 მილიონი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 18,4% განვითარებულ, ხოლო 81,6% – განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობდა⁷².

2007 წლის დასაწყისში, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას – 3,8 მილიონი (შეფასებითი მონაცემებით), თუ 4,4 მილიონი (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით) მსოფლიო მოსახლეობის საერთო რაოდენობაში უმნიშვნელო წილი (0,06-0,07%) უკავია (ქვემოთ, საქართველოს შემთხვევაში გამოყენებული იქნება შეფასებითი მონაცემები).

აღსანიშნავია, რომ თითქმის 60 წლის განმავლობაში (2007 წელს 1950 წელთან შედარებით) მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა 2,6-ჯერ, მაშინ როდესაც იგივე დროს საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 1,1-ჯერ გაიზარდა. მხოლოდ 2007 წელს 1975 წელთან შედარებით მსოფლიოს მოსახლეობა 1,6-ჯერ გაიზარდა და 2,5 მილიარდზე მეტით მოიმატა. იგივე პერიოდში საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონზე მეტით შემცირდა.

დიაგრამა 4.1. მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკა 1950-2050 წწ.



წყარო: 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007; World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007.

2025, 2050 წწ. – პროგნოზის საშუალო ვარიანტი.

ყველა პროგნოზული გაანგარიშებით მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და 2050 წლისათვის 9 მილიარდს გადააჭარბებს. იგივე პერიოდში, სხვადასხვა პროგნოზით, მოსალოდნელია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის – 3,0-3,2 მილიონამდე შემცირება⁷³.

მსოფლიოს ორ ქვეყანაში ჩინეთსა და ინდოეთში უკვე 2007 წელს მოსახლეობის რაოდენობა აღემატებოდა 1 მილიარდს (ჩინეთი – 1,329 მილიარდი, ინდოეთი – 1,169 მილიარდი). მომავალში დასახელებული ქვეყნების მოსახლეობა მოიმატებს, ამასთან, ჩინეთთან შედარებით ინდოეთში უფრო მეტად და 2050 წლისათვის ინდოეთი 1,658 მილიარდიანი მოსახლეობით ყველაზე ხალხმრავალი იქნება (ჩინეთი – 1,409 მილიარდი)⁷⁴.

⁷² 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.

⁷³ 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007; World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p. 43.

⁷⁴ World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p. 47.

ცხრილი 4.1. ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 2007 და 2050 წწ.

ქვეყანა	2007 წლის მოსახლეობის რაოდენობა (მილიონი)	2050 წლის მოსახლეობის რაოდენობა (მილიონი)	სხვაობა (მილიონი)	სხვაობა (%)
ჩინეთი	1328.6	1408.8	80.2	6.0
ინდოეთი	1169.0	1658.3	489.3	41.9
აშშ	305.8	402.4	96.6	31.6
რუსეთი	142.5	107.8	-34.7	-24.4
უკრაინა	46.2	30.9	-15.3	-33.1
საქართველო	3.8	3.1	-0.7	-18.4
სომხეთი	3.0	2.5	-0.5	-16.7
აზერბაიჯანი	8.5	9.4	0.9	10.6
ლატვია	2.3	1.8	-0.5	-21.7
ლიტვა	3.4	2.7	-0.7	-20.6
ესტონეთი	1.3	1.1	-0.2	-15.4
თურქეთი	74.9	98.9	24.0	32.0
ირანი	71.2	100.2	29.0	40.7
იაპონია	128.0	102.5	-25.5	-19.9
გერმანია	82.6	74.1	-8.5	-10.3
საფრანგეთი	61.6	68.2	6.6	10.7
გაერთიანებული სამეფო	60.8	68.7	7.9	13.0

წყარო: World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, pp. 42-46.
2050 წ. – პროგნოზის საშუალო ვარიანტი.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღინიშნება მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილება – ერთი მხრივ მოსახლეობის მატება-კლების თვალსაზრისით, მეორე მხრივ – მატება-კლების ინტენსივობით.

სამხრეთ კავკასიაში – საქართველოსა და სომხეთში – მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს, ხოლო აზერბაიჯანში – იზრდება. 2007 წლისათვის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში საქართველოს მოსახლეობის წილი 24,8% იყო, სომხეთის – 19,6%, ხოლო აზერბაიჯანის – 55,6%. 2050 წლისათვის საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობის წილი კლებულობს შესაბამისად 20,7% და 16,7%-მდე, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი იზრდება 62,6%-მდე.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რუსეთისა და უკრაინაში მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად მოიმატებს ირანსა და თურქეთში.

მომავალში იცვლება არა მარტო მოსახლეობის რაოდენობა, არამედ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც.

მსოფლიოში ძირითადი ტენდენცია იქნება ახალგაზრდა მოსახლეობის წილის შემცირება და დემოგრაფიული დაბერების ზრდა. 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი 28,3%-დან (2005 წ.) 2050 წლისათვის 19,8%-მდე შემცირდება. იმავე დროს 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 10,3%-დან 21,8%-მდე გაიზრდება, ანუ 2050 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის დაბერების დონე 2-ჯერ გაიზრდება და ძალიან მაღალი იქნება.


ბუნებრივია, რომ დემოგრაფიული დაბერების თვალსაზრისით ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან (იხ. დიაგრამა 4.2).

2050 წლისათვის დაბერების ძალიან მაღალ დონეს მიაღწევს იაპონია.

ირანისა და თურქეთისათვის, ისე როგორც აზერბაიჯანისათვის 2005 წელს ე. როსეტის სკალით შესაბამისად დემოგრაფიული სიყმაწვილე და სიბერის პირველი კარიბჭე იყო დამახასიათებელი. მომავალში აღნიშნული ქვეყნების

მოსახლეობის მნიშვნელოვანი დაბერების შედეგად 2050 წლისათვის დაბერების დონე ძალიან მაღალი იქნება.

დიაგრამა 4.2. 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 2005 და 2050 წწ. ზოგიერთ ქვეყანაში



წყარო: World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, pp. 59-63.
2050 წ. – პროგნოზის საშუალო ვარიანტი.

უფროსი ასაკის მოსახლეობის ზრდის მიუხედავად 2050 წლისათვის ავღანეთის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა მსოფლიოში გამორჩეული იქნება როგორც ყველაზე ახალგაზრდული.

4.2. შობადობა

2007 წელს მსოფლიოში მოსახლეობის 1000 სულზე საშუალოდ 21 ბავშვი იბადებოდა. შობადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა განვითარებული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნები. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის 1000 სულზე საშუალოდ 11 ბავშვი იბადებოდა, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – 2-ჯერ მეტი – 23 ბავშვი⁷⁵. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2006 წელს საქართველოში 13‰-ის ტოლი იყო და ამდენად, ახლოს იმყოფებოდა განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან.

ბუნებრივია, რომ შობადობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ცალკეული ქვეყნების მიხედვით.


მაღალი შობადობით გამოირჩევა აფრიკის კონტინენტი (საშუალოდ 38%), განსაკუთრებით ცენტრალური აფრიკა (საშუალოდ 46%), ხოლო დაბალი შობადობით – ევროპა (საშუალოდ 10%).

ევროპის მსხვილ ქვეყნებს შორისაც გარკვეული განსხვავება არსებობს. საფრანგეთში შობადობა მოსახლეობის 1000 სულზე – 13 – მართალია

⁷⁵ 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007, p. 7.

მთლიანობაში დაბალია, მაგრამ გაცილებით მეტია გერმანიასთან შედარებით და აღემატება ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

დიაგრამა 4.3. შობადობა (%₀) მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში 2007 წელს



წყარო: 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.

ჩინეთში შობადობა 2-ჯერ დაბალია ინდოეთთან შედარებით, ხოლო ინდოეთში ასევე 2-ჯერ დაბალია, ვიდრე ავღანეთში. აზიის ქვეყნებიდან დაბალი შობადობით გამოირჩევა იაპონია.

რუსეთსა და უკრაინაში შობადობა საკმაოდ დაბალია და საშუალო ევროპულ დონეზეა.

ასევე დაბალია შობადობის დონე ბალტიისპირეთის ქვეყნებში.


სამხრეთ კავკასიაში საქართველოში შობადობის ყველაზე დაბალი დონე შეიმჩნევა. შობადობის შედარებით მაღალი დონე აზერბაიჯანისათვისაა დამახასიათებელი.

ქვემოთ მოტანილია შობადობის უფრო ზუსტი მაჩვენებელი – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი და ამასთან სადღეისოდ არსებულ მდგომარეობასთან ერთად ნაჩვენებია მისი შესაძლებელი ცვლილება 2045-2050 წლებისათვის.

2007 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საშუალოდ მსოფლიოში 2,7-ის ტოლი იყო. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში ის საშუალოდ 1,6-ს შეადგენდა, რაც საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (ფინეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ისლანდია, შვედეთი, კროატია, დანია, ლიტვა, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო) უკვე 1970-1975 წლებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებაზე მიგვანიშნებდა. იმავე დროს იემენში, რუანდასა და ნიგერში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 8-ს აღემატებოდა. მართალია 2007 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი ყველა იმ ქვეყანაში შემცირდა, სადაც ის ძალიან მაღალი იყო, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ის საკმაოდ მაღალ დონეზე რჩებოდა. მაგ., ნიგერში 2007 წელს ერთი ქალის მიერ ცხოვრების განმავლობაში გაჩენილი ბავშვების რაოდენობა 7-ს აღემატებოდა. 2045-2050 წლებისათვის ძალიან მაღალი

შობადობის მქონე ქვეყნებისათვის მოსალოდნელია შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება – ზოგ შემთხვევაში 2 და მეტჯერ⁷⁶.

დიაგრამა 4.4. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ზოგიერთ ქვეყანაში



წყარო: 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007; World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, pp. 72-76.
2045-2050 – პროგნოზის საშუალო ვარიანტი.

ამავე დროს ძალიან დაბალი შობადობის მქონე ქვეყნებისათვის მოსალოდნელია შობადობის რამდენადმე ზრდა.

4.3. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

მსოფლიოში, მოსახლეობის 1000 სულზე, 2007 წელს 9 ადამიანი გარდაიცვალა. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში მოკვდაობა საშუალოდ 10‰ იყო, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – 8‰⁷⁷. მოკვდაობის შედარებით მაღალი დონე განვითარებულ ქვეყნებში ნაკლებად განვითარებადთან შედარებით ძირითადად განპირობებულია დემოგრაფიული დაბერებით.

მსოფლიოს ცალკეული ქვეყნები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოკვდაობის დონით. თვით აფრიკაში, ზამბიასა და ანგოლაში ყველაზე მაღალია მოკვდაობა, ხოლო ყველაზე დაბალი – ალჟირსა და ლიბიაში (იხ. დიაგრამა 4.5). ასეთი განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ანგოლასა და ზამბიაში ძალიან მაღალია ჩვილთა მოკვდაობა, რომელიც ალჟირსა და ლიბიაში მათთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია.


კუვეიტი და ბაჰრეინში მოსახლეობის 1000 სულზე მოკვდაობა მსოფლიოში ყველაზე დაბალია. ასეთ მდგომარეობას დასახელებულ ქვეყნებში ახალგაზრდა მოსახლეობასთან ერთად განაპირობებდა საკმაოდ დაბალი ჩვილთა მოკვდაობა.

რუსეთსა და უკრაინაში მოკვდაობის საერთო დონე საკმაოდ მაღალია. მათთან შედარებით მოკვდაობა რამდენადმე ნაკლებია ბალტიისპირა ქვეყნებში, სადაც მოკვდაობის ზრდას ძირითადად დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონეც განაპირობებს.

⁷⁶ წყარო: World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p. 70.

⁷⁷ წყარო: 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.

დიაგრამა 4.5. მოკვდაობა (%) მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში 2007 წელს



წყარო: 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.

სამხრეთ კავკასიაში მაღალი მოკვდაობის საერთო დონით საქართველო გამოირჩევა. მისგან განსხვავებით აზერბაიჯანში მოკვდაობა მოსახლეობის 1000 სულზე 2-ჯერ ნაკლებია, რაც იმით აიხსნას, რომ აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მეტია ახალგაზრდა მოსახლეობის წილი და ადგილი არა აქვს დემოგრაფიული დაბერების მაღალ დონეს. ამასთან, ჩვენი შეფასებით, აზერბაიჯანში ისე, როგორც საქართველოში, ადგილი უნდა ჰქონდეს გარდაცვლილთა არასრულ აღრიცხვას. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ გაეროს ექსპერტების შეფასებით 2005-2010 წლებში ჩვილთა მოკვდაობა აზერბაიჯანში 72-ის ფარგლებში უნდა იყოს⁷⁸, მაშინ როდესაც აზერბაიჯანის ოფიციალური სტატისტიკით 1000 ცოცხლად დაბადებულზე 10 ბავშვი მოდის.

ჩვილთა მოკვდაობის შემცირებაში გარკვეული მიღწევების მიუხედავად ის მაინც საკმაოდ მაღალ დონეზე რჩება. 2007 წელს საშუალოდ მსოფლიოში 1000 ცოცხლად დაბადებულზე 52 ჩვილი კვდებოდა. ამ მხრივ საკმაოდ დიდი განსხვავებაა განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის. განვითარებულ ქვეყნებში ჩვილთა მოკვდაობა 6-ის, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში 57-ის ფარგლებში იყო⁷⁹.

ჩვილთა მოკვდაობის ყველაზე მაღალი დონე 2007 წელს ავღანეთში აღინიშნა და 2050 წლისათვის 2-ჯერ შემცირების მიუხედავად მაინც ძალიან მაღალ დონეზე დარჩება. ძალიან მაღალია ჩვილთა მოკვდაობის დონე სიერა ლეონეში, ანგოლასა და ჩადში და მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად 2050 წლისათვის პროგნოზის თანახმად მაინც საკმაოდ მაღალი იქნება.


იაპონიაში, შვედეთსა და ისლანდიაში ჩვილთა მოკვდაობა უკვე 2007 წელს იყო 3-ზე ნაკლები იყო და რამდენადმე კიდევ შემცირდება 2050 წლისათვის.

საფრანგეთში, გერმანიაში და გაერთიანებულ სამეფოში ასევე დაბალი ჩვილთა მოკვდაობაა, რომელიც 2050 წლისათვის კიდევ უფრო შემცირდება.

⁷⁸ World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p. 83.

⁷⁹ 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.

დიაგრამა 4.6. ჩვილთა მოკვდაობა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში 2007 და 2045-2050 წწ.



წყარო: 2007 წ. – 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.
2045-2050 წწ. – World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, pp. 83-86.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით ესტონეთში, ჩვილთა მოკვდაობა 2007 წელს 8-ზე ნაკლები იყო 1000 ცოცხლად დაბადებულზე.

რუსეთსა და უკრაინაში, ოფიციალური მონაცემებით, ჩვილთა მოკვდაობა 10-ის ტოლი იყო და კლების ტენდენცია ექნება მომავალში.

საინტერესოა, რომ პროგნოზის თანახმად აზერბაიჯანში დღევანდელთან შედარებით ჩვილთა მოკვდაობა თითქმის 4-ჯერ იზრდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არასრული აღრიცხვის გამო ჩვილთა მოკვდაობა აზერბაიჯანში მნიშვნელოვნად არის შემცირებული და საერთოდ არ ასახავს რეალურ ვითარებას. 2050 წლისათვის გაეროს ექსპერტთა გაანგარიშებით ჩვილთა მოკვდაობა აზერბაიჯანში, დღევანდელთან შედარებით, თითქმის 2-ჯერ შემცირდება, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად მეტი იქნება, ვიდრე საქართველოსა და სომხეთში.


უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს ექსპერტები ასევე ეჭვქვეშ აყენებენ როგორც რუსეთისა და უკრაინის, ისე ბალტიისპირეთის ქვეყნების მონაცემებს ჩვილთა მოკვდაობის შესახებ და მიიჩნევენ, რომ მისი დონე აღნიშნულ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ამ ქვეყნების სტატისტიკიდან გამომდინარეობს⁸⁰.

რაც შეეხება მოკვდაობის ისეთ განმაზოგადებელ მახასიათებელს, როგორც არის სიცოცხლის ხანგრძლივობა. 2007 წელს საშუალოდ მსოფლიოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (შემდგომში სიმარტივისათვის – სიცოცხლის ხანგრძლივობა) ორივე სქესისათვის 68 წელი იყო (მამაკაცებისათვის – 66 წელი და ქალებისათვის – 70). განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 და მეტი წლით იყო უფრო მაღალი, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში ის 77 წელი იყო ორივე სქესისათვის (მამაკაცებისათვის – 73 წელი და ქალებისათვის – 80), ხოლო

⁸⁰ World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, pp. 83-86.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – 66 წელი ორივე სქესისათვის (მამაკაცებისათვის – 64 წელი და ქალებისათვის – 68).

დიაგრამა 4.7. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ორივე სქესისათვის მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში 2007 და 2045-2050 წწ.



წყარო: 2007 წ. – 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.
2045-2050 წწ. – World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, pp. 78-82.

სადღეისოდ იაპონიაში, შვედეთში, ისლანდიაში, საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობა ორივე სქესისათვის უკვე აღემატება 80 წელს. გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში სიცოცხლის ხანგრძლივობა მიუახლოვდა 80 წელს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალშიც გაიზრდება და დღევანდელთან შედარებით 2050 წლისათვის 4-5 წლით მეტი იქნება.

სიცოცხლის ხანგრძლივობის დონე ყველაზე დაბალია სვაზილენდში. საკმაოდ დაბალი – ავღანეთსა და მოზამბიკში და მთელ რიგ აფრიკის ქვეყნებში. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალში მნიშვნელოვნად უფრო მეტად გაიზრდება განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, თუმცა სხვაობა მაინც საკმაოდ დიდი იქნება. განვითარებულ ქვეყნებში სადღეისოდ არსებული სიცოცხლის ხანგრძლივობა უკვე გაცილებით მეტია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში 2050 წელს იქნება მიღწეული.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა ორივე სქესისათვის 71-73 წლის ფარგლებშია და 2050 წლისათვის 79-80 წლამდე გაიზრდება. სადღეისოდ არსებული სხვაობა მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია და 11-12 წელს შეადგენს.

2007 წელს რუსეთსა და უკრაინაში სიცოცხლის ხანგრძლივობა შესაბამისად 65 და 68 წელი იყო. აღსანიშნავია ძალიან დიდი სხვაობა მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის, რომელიც 12-13 წელს შეადგენს. ამასთან, რუსეთში მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა (59 წელი) 3 წლით ნაკლებია, ვიდრე უკრაინაში (62 წელი).

განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული სხვაობა მამაკაცებისა და ქალების

სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის 4-7 წლის ფარგლებშია (შვედეთში – 4 წელი, იაპონიაში – 7 წელი).


სამხრეთ კავკასიაში სიცოცხლის ხანგრძლივობა ორივე სქესისათვის 71-72 წლის ფარგლებშია და 2050 წლისათვის 75-76 წლამდე გაიზრდება. სხვაობა მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის 5-8 წლის ფარგლებში მერყეობს და მომავალში მოსალოდნელია აღნიშნული სხვაობის რამდენადმე შემცირება.

4.4. მოსახლეობის ბუნებრივი მატება და აღწარმოება

2007 წელს, საშუალოდ მსოფლიოში, მოსახლეობის 1000 სულზე ბუნებრივი მატება 12-ს შეადგენდა. განვითარებულ ქვეყნებში ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად 1‰ და 15‰⁸¹. ასეთი განსხვავება ძირითადად შობადობის დონეთა განსხვავებიდან გამომდინარეობს, რომელიც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში 2-ჯერ მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

2050 წლისათვის, მსოფლიოში დღევანდელთან შედარებით, ბუნებრივი მატება საშუალოდ 4-ჯერ შემცირდება და 3‰-ეს ფარგლებში იქნება. განვითარებული ქვეყნებისათვის კლებას ექნება ადგილი 4‰-ით, ხოლო ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვანი კლების მიუხედავად, ბუნებრივი მატება მოსახლეობის 1000 სულზე 5 იქნება⁸².

დიაგრამა 4.8. ბუნებრივი მატება (‰) მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში 2007 და 2040-2050 წწ.



⁸¹ წყარო: 2007 წ. – 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007.

2040-2050 წწ. – World Population Prospects. The 1998 Revision V. 1: Comprehensive Tables UN N-Y, 1999.

განსაკუთრებით მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩევიან აფრიკის

⁸¹ 2007 World Population Data Sheet. Population Reference Bureau. Washington, 2007

⁸² World Population Prospects. The 1998 Revision V. 1: Comprehensive Tables UN N-Y, 1999, pp. 8-12.

ქვეყნები, სადაც 2007 წლისათვის ბუნებრივი მატება საშუალოდ 24%-ეს შეადგენდა. 2050 წლისათვის ბუნებრივი მატება 2,4-ჯერ შემცირდება და პროგნოზის საშუალო ვარიანტით 10%-ეს ფარგლებში იქნება.

აფრიკასთან შედარებით აზიის ქვეყნებში ბუნებრივი მატება 2007 წლისათვის 2-ჯერ ნაკლები იყო (12%) და 2050 წლისათვის 4-ჯერ შემცირდება და 3%-ეს ფარგლებში იქნება.

2007 წლისათვის ევროპის ქვეყნებისათვის საშუალოდ მოკვდაობა ჭარბობდა შობადობას და ამდენად ბუნებრივ კლებას ჰქონდა ადგილი (-1%). 2050 წლისათვის ეს ტენდენცია უფრო გამოსატყუელი ხასიათის იქნება და -6%-ეს ფარგლებში აღმოჩნდება.

სადღეისოდ ყველაზე მაღალი ბუნებრივი მატებით მსოფლიოში გამოირჩევა ნიგერი და მალი.

საფრანგეთში შობადობა ჭარბობს მოკვდაობას და ამდენად ბუნებრივ მატებას აქვს ადგილი, ხოლო გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში მოკვდაობა მეტია შობადობაზე და მოსახლეობა ბუნებრივი გზით კლებულობს. მოსახლეობის საერთო მატებას მხოლოდ გარე მიგრაცია განაპირობებს.

რუსეთსა და უკრაინაში უკვე სადღეისოდ მოკვდაობა მნიშვნელოვნად ჭარბობს შობადობას.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ბალტიისპირეთის ქვეყნებში, იმ განსხვავებით, რომ ბუნებრივი გზით კლება ესტონეთსა და ლიტვაში ნაკლებია რუსეთთან შედარებით, ხოლო ლატვიაში იმავე დონეზეა რაც რუსეთში.

სადღეისოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩევა აზერბაიჯანი. სომხეთში ბუნებრივი მატება 2-ჯერ ნაკლებია აზერბაიჯანთან შედარებით, ხოლო საქართველოში შობადობა და მოკვდაობა პრაქტიკულად ერთმანეთს გაუტოლდა. მომავალში ბუნებრივი მატების ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება აზერბაიჯანისათვის იქნება დამახასიათებელი, თუმცა იმავე დროს სომხეთსა და განსაკუთრებით საქართველოში მოკვდაობა გადააჭარბებს შობადობას და ამდენად დეპოპულაციას ექნება ადგილი.

რაც შეეხება მოსახლეობის განახლების ისეთ მაჩვენებელს როგორც არის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი. 2005-2010 წლებში მსოფლიოში საშუალოდ ის 1,08-ის ფარგლებში უნდა იყოს და 2040-2050 წლისათვის მოსალოდნელია მისი შემცირება 0,96-მდე. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში, 2005-2010 წლებში მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 0,76-ს, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – 1,14 შეადგენს. გაეროს ექსპერტების შეფასებით 2040-2050 წლებისათვის განვითარებულ ქვეყნებში მოსალოდნელია მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის ზრდა 0,88-მდე, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – შემცირება 0,97-მდე⁸³.

ზემოთ მოტანილიდან ნათელია, რომ განვითარებული ქვეყნებისათვის უკვე სადღეისოდ დამახასიათებელია მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი და მომავალში აღწარმოების რეჟიმის რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად ადგილი ექნება მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილ რეჟიმს.

მთლიანობაში პერსპექტივა საკმაოდ დამაფიქრებელია, ვინაიდან მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებას იწყებს მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი. ამასთან, გაურკვეველია, თუ რა მექანიზმებს ეფუძნება მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის მატება განვითარებულ ქვეყნებში. ასეთი მატების ერთადერთი გზაა შობადობის ზრდა, რომელიც სადღეისოდ ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია.

აღსანიშნავია, რომ ადრე არსებული წარმოდგენები დემოგრაფიული გადასვლის დასრულების თაობაზე, როგორც შობადობისა და მოკვდაობის გაწონასწორებაზე, სადღეისოდ სხვა შეხედულებით შეიცვალა და საუბარია

⁸³ World Population Prospects. The 1998 Revision V. 1: Comprehensive Tables UN N-Y, 1999, pp. 8-12.

მოსახლეობის აღწარმოების უახლეს, ე.წ. დეპოპულაციურ ტიპზე.


აღნიშნულის თაობაზე ცნობილი დემოგრაფები ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ გვაფრთხილებდნენ.

მაგალითად, ჩ. უესტოფი მიიჩნევდა, რომ წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ისტორიული თვალსაზრისით დემოგრაფიული გადასვლა დამთავრდება შობადობისა და მოკვდაობის მაგიური წონასწორობით დაბალ დონეზე, ატარებს უფრო ესთეტიკურ, ვიდრე რეალურ ხასიათს⁸⁴.

კიდევ უფრო ადრე, ცნობილი დემოგრაფის ა. ლანდრის აზრით შობადობის შემცირებას მომავალში შეიძლება მოჰყვეს რეგრესი და ცივილიზაციის დაღუპვაც კი⁸⁵. ამ საკითხებზე საინტერესო მოსაზრებები ქართულ დემოგრაფებსაც გააჩნიათ⁸⁶.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ქვემოთ მოგვყავს ის მონაცემები, რომლებიც გაეროს ექსპერტების შეფასებიდან გამომდინარეობს.

დიაგრამა 4.9. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში



წყარო: World Population Prospects. The 1998 Revision V. 1: Comprehensive Tables UN N-Y, 1999.

ზოგად ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი მაღალი იყო, მისი სიდიდე მომავალში მნიშვნელოვნად კლებულობს, ხოლო ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტიდან გამომდინარე მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი იყო დამახასიათებელი, უკვე სადღეისოდ, გაეროს ექსპერტების შეფასებით ნეტო კოეფიციენტის ზრდა არის მოსალოდნელი. შეგახსენებთ რომ საქართველო ჩვენი შეფასებითი მონაცემებით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობას, სადღეისოდ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა უკვე (1,03) მეტია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (1,11). სამომავლოდაც აღნიშნული ტენდენცია იქნება შენარჩუნებული. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა 2040-2050 წლებისათვის კიდევ უფრო გაიზრდება (1,01). ნაკლებად განვითარებულ

⁸⁴ Ch. F. Westoff. Thr Predicitability of Fertility in Developed Countres. – Population Bulletin of the United Natuions. 1978, №11, pp. 1-5. ციტირებულია წყაროდან: Ч. Ф. Уэстоф. Возможности прогнозирования рождаемости в развитых странах //Как изучают рождаемость. М., 1983, с. 94.

⁸⁵ A. Landri. La révolution demographique. P., 1934, p. 203.

⁸⁶ ა. სულაბერიძე, ვ. სულაბერიძე. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი და ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ // დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. ტ. 2, თბილისი, 2004, გვ. 62-76.

ქვეყნებში ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ძვრებს ექნება ადგილი, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი (1,04) მაინც ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს.

მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობის მატება მომავალში ყველა ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი, თუმცა მნიშვნელოვანი ზრდა სწორედ იმ ქვეყნებისათვის იქნება მოსალოდნელი, სადაც სადღეისოდ მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები საკმაოდ მაღალია.


4.5. საერთაშორისო (გარე) მიგრაცია

გაეროს მონაცემებით მსოფლიოში, 2000-2010 წლებზე, საშუალოდ წლიურად 3 მილიონამდე საერთაშორისო (გარე) მიგრანტია ნავარაუდავი. ამასთან, აღნიშნული 3 მილიონი გარე მიგრანტი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მიდის. ყველაზე მეტი მიგრანტი აზიიდან და ლათინური ამერიკიდანაა, ხოლო მიმღებ ქვეყნებს ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1960-1970 წლებთან შედარებით, 2000-2010 წლებში გარე მიგრაცია 5,2-ჯერ გაიზარდა. რაოდენობრივის გარდა ჰქონდა ადგილი თვისებრივ ცვლილებებსაც. მაგალითად, 1960-1970 წლებსა და წინა პერიოდში ევროპისათვის გარე მიგრაციის საღლო უარყოფითი იყო, ხოლო 1970-იანი წლებიდან საღლო უკვე დადებითია, ანუ ევროპაში მეტი მიგრანტი ჩამოდის, ვიდრე გადის.

ზოგადად მსოფლიოში, მომავალში დღევანდელთან შედარებით, გარე მიგრანტების რაოდენობა რამდენადმე დაიკლებს, თუმცა 2010-2050 წლების პერიოდში საშუალოდ წელიწადში 2,3 მილიონის ფარგლებში სტაბილიზირდება. პრაქტიკულად 1950-2050 წლების პერიოდში (10 წლიანი ინტერვალების განხილვისას) 2000-2010 წლები გარე მიგრაციის ყველაზე დიდი სიდიდით გამოირჩევა.

დიაგრ 4.10. საშუალო წლიური გარე მიგრაციის აბსოლუტური საღლო მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მიხედვით 1960-2050 წწ.



წყარო: World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p. 26.


როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საქართველოსათვის 1960-იანი წლებიდან დამახასიათებელია გარე მიგრაციის უარყოფითი საღლო, რომლის სიდიდე და ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალი იყო 1992-1995 წლებში.

ბუნებრივია, საქართველოს გარკვეული წვლილი შეაქვს მსოფლიოს საერთაშორისო მიგრაციაში, თუმცა აბსოლუტური რაოდენობის თვალსაზრისით, ეს წვლილი საკმაოდ მოკრძალებულია და 2000-იან წლებში მხოლოდ 1%-ს

შეადგენს.

როდესაც საერთაშორისო (გარე) მიგრაციაზე და მის სალდოზე ვმსჯელობთ, შედარებისათვის უფრო მიზანშეწონილია ზოგადი კოეფიციენტის, ანუ მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით წარმოდგენა. ასეთ დროს შესაძლებელია გარე მიგრაციის სალდოს ინტენსივობის გაზომვა.

დიაგრამა 4.11. საერთაშორისო (გარე) მიგრაციის სალდოს სიდიდე (%)-ით განვითარებულ, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში



წყარო: გაანგარიშებული ჩვენს მიერ – World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p. 26; World Population Prospects. The 1998 Revision V. 1: Comprehensive Tables UN N-Y, 1999, pp. 10, 12, 20, 32, 42, 52, 60, 62 – საფუძველზე.

ამ თვალსაზრისით საქართველოს წვლილი სხვა მნიშვნელობას იძენს და აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ გარე მიგრაციის ინტენსივობა საქართველოში საკმაოდ მაღალი იყო და სადღეისოდაც ასეთად რჩება.

მიგრაციის ყველაზე დიდი სალდო მოსახლეობის 1000 სულზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსოფლიოში 1990-2000 წლებში აღინიშნა. ამ პერიოდში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო საქართველოში განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობით გამოირჩეოდა (19,2 მოსახლეობის 1000 სულზე).

2000-იან წლებში გარე მიგრაციის სალდო მცირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კლებაა დამახასიათებელი საქართველოსათვის, თუმცა მისი ინტენსივობა მაინც საკმაოდ მაღალი რჩება (-8,5%).

შემდგომი პერიოდისათვის როგორც მსოფლიოს ქვეყნებისათვის, ისე საქართველოსათვისაც ძირითად ტენდენციას წარმოადგენს გარე მიგრაციის სალდოს შემცირება.

განვითარებული ქვეყნებისათვის 2040 წლისა და შემდგომი პერიოდისათვის მიგრაციის სალდო მაინც დადებითი იქნება, ანუ განვითარებული ქვეყნები ისევ შეინარჩუნებენ მიმდები ქვეყნების სტატუსს, ხოლო ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ისევ დარჩებიან მიგრანტების მიმწოდებლებად. 2040-2050 წლებში მიგრანტთა ყველაზე მეტი ნაკადი მიმართული იქნება ჩრდილოეთ ამერიკაში და მიგრაციის სალდოს ინტენსივობა 6-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. აღნიშნულ პერიოდში საქართველოსათვის გარე მიგრაციის სალდო 0-ის ფარგლებში იქნება, ანუ გასულებისა და ჩამოსულების რაოდენობა ერთმანეთს გაუტოლდება.


ბოლოსიტყვაობა

საქართველომ ძველი დროიდან დემოგრაფიული განვითარების ხანგრძლივი პერიოდი გაიარა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველო გადადის მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე. მთელი XIX საუკუნის განმავლობასა და XX საუკუნის დასაწყისში, გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, საქართველო მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის პირველ ფაზაში იმყოფებოდა.

საქართველოში 1914-1928 წლებში ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდი მიმდინარეობდა, ხოლო მეორე ფაზის დასაწყისად 1928-1930 წლები უნდა ვივარაუდოთ. მეორე ფაზა საქართველოში 1970-იან წლებამდე გრძელდებოდა, ხოლო 1970-იანი წლები დემოგრაფიული განვითარების ფაზათაშორის გარდამავალ პერიოდზე მოდის. მესამე ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდი ტიპათაშორის გარდამავალ პერიოდში გადაიხარდა, ანუ 2000 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპიდან უახლეს, ე.წ. დეპოპულაციურ ტიპზე გადასვლის ტიპათაშორისი გარდამავალი პერიოდი⁸⁷.

ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე ნაჩვენებია საქართველოს დემოგრაფიული განვითარება 1800-2050 წლების პერიოდისათვის.



როგორც ვხედავთ მაღალმა შობადობამ და მოკვდაობამ თანდათან ადგილი დაუთმო დაბალ შობადობასა და მოკვდაობას. 1990-იანი წლებიდან შობადობა არსებითად და მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო მოკვდაობის საერთო დონე, ასაკობრივი სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც ძირითადად დემოგრაფიული დაბერების შედეგია, იზრდება. 2010 წლიდან უკვე მოკვდაობა გადააჭარბებს შობადობას და დეპოპულაციის პროცესი შემდგომ პერიოდში უფრო გამოკვეთილი იქნება.

სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ მეტ-ნაკლებად ზუსტი მონაცემები XIX საუკუნის ბოლოსათვის გაგვაჩნია. 1897 წლისათვის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას მამაკაცებისათვის 42,4, ხოლო ქალებისათვის – 43,9 წელს შეადგენდა⁸⁸.

1926-1927 წლებში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას

⁸⁷ ა. სულაბერიძე. – ჟ. “დემოგრაფია”. №3(8) 2004, გვ. 72-80; ა. სულაბერიძე. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი, 2007, გვ. 82-84.

⁸⁸ გ. წულაძე სიცოცხლის ხანგრძლივობის ცვლილების მიზეზები საქართველოში. CRRC. თბილისი, 2007, გვ. 74.

მამაკაცებისათვის დაახლოებით 53 წლამდე, ხოლო ქალებისათვის – 57 წლამდე გაიზარდა.

1920-1930 წლებში საქართველო სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით ახლოს იმყოფებოდა დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან.

ამ წლებში, წინა პერიოდთან შედარებით, იზრდება სხვაობა მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის.


შემდგომ პერიოდში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას განაგრძობს ზრდას და 1960 წელს, შეფასებითი მონაცემებით, მამაკაცებისათვის 64,8 და ქალებისათვის – 69,4 წელს მიაღწია.

მომდევნო პერიოდისათვის დამახასიათებელია სიცოცხლის ხანგრძლივობის უფრო შესამჩნევი ზრდა, რის შედეგადაც 1990 წლისათვის მან მამაკაცებისათვის 67,5 და ქალებისათვის 75,1 წელი შეადგინა.


1990-იანი და 2000-იანი წლების პირველი ნახევრისათვის, გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, აღინიშნება სიცოცხლის ხანგრძლივობის გარკვეული სტაგნაცია.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებიდან გამომდინარე სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა 2005 წლიდან უფრო გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის შედეგია, ვიდრე რეალური მდგომარეობა.

სიცოცხლის ხანგრძლივობის რამდენადმე ზრდა მხოლოდ 2010 წლისათვისაა მოსალოდნელი. აღნიშნული დროიდან სიცოცხლის ხანგრძლივობას ზრდის ტენდენცია ექნება.



ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნა საქართველოს მოსახლეობის დინამიკაში.



ზემოთ მოტანილ დიაგრამაზე 2002 წლის ჩათვლით მოცემულია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ხოლო 2010-2050 წლები პროგნოზის საშუალო ვარიანტით.

როგორც ვხედავთ 1989 წლის ჩათვლით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა, ხოლო მომდევნო პერიოდიდან დამახასიათებელი იქნება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება.

მდგომარეობას გაართულებს ის გარემოებაც, რომ 2010 წლის შემდეგ საქართველო უკვე სრულად გადავა მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპზე, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია დეპოპულაცია.

ასეთ ვითარებაში აქტიური სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია მხოლოდ ნეგატიური დემოგრაფიული ვითარების რამდენადმე შერბილება-გაუმჯობესება. ამ მიმართულებით კარდინალურ ცვლილებებს 2030 წლამდე არ უნდა ველოდოთ.

მხოლოდ საზოგადოებრივად საჭირო “ბავშვების ყოლის მოთხოვნილებისა” და შესაბამისი რეპროდუქციული განწყობის ფორმირების შემდეგადაა შესაძლებელი გარკვეული ძვრები შობადობის დონის ამაღლებასა და დემოგრაფიული ვითარების შედარებით გამოსწორებაში.

დ ა ნ ა რ თ ი 1. დემოგრაფიული მაჩვენებლები

ცხრილი 1.1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960-2007 წლებში (1 იანვრის მდგომარეობით)

წელი	სულ (ათასი)	მათ შორის:				შეფასება (ათასი)
		ქალაქად	სოფლად	ქალაქად	სოფლად	
		ათასი		%		
სდ მონაცემებით						
1960	4129	1744	2385	42.2	57.8	4117
1961	4190	1803	2387	43.0	57.0	4166
1962	4258	1884	2374	44.2	55.8	4223
1963	4325	1927	2398	44.6	55.4	4278
1964	4389	1969	2420	44.9	55.1	4332
1965	4450	2026	2424	45.5	54.5	4384
1966	4505	2073	2432	46.0	54.0	4430
1967	4556	2122	2434	46.6	53.4	4473
1968	4598	2157	2441	46.9	53.1	4507
1969	4640	2202	2438	47.5	52.5	4541
1970	4686	2240	2446	47.8	52.2	4579
1971	4729	2276	2453	48.1	51.9	4615
1972	4778	2317	2461	48.5	51.5	4657
1973	4818	2349	2469	48.8	51.2	4691
1974	4856	2388	2468	49.2	50.8	4723
1975	4896	2434	2462	49.7	50.3	4758
1976	4920	2491	2429	50.6	49.4	4777
1977	4960	2523	2437	50.9	49.1	4813
1978	4986	2552	2434	51.2	48.8	4833
1979	4993	2549	2444	51.1	48.9	4859
1980	5041	2629	2412	52.2	47.8	4884
1981	5071	2659	2412	52.4	47.6	4911
1982	5100	2694	2406	52.8	47.2	4938
1983	5134	2729	2405	53.2	46.8	4970
1984	5167	2762	2405	53.5	46.5	5001
1985	5201	2798	2403	53.8	46.2	5033
1986	5234	2833	2401	54.1	45.9	5064
1987	5266	2873	2393	54.6	45.4	5095
1988	5397	2975	2422	55.1	44.9	5123
1989	5400	2991	2409	55.4	44.6	5148
1990	5424.4	2999.7	2424.7	55.3	44.7	5178.0
1991	5453.3	3004.8	2448.5	55.1	44.9	5206.0
1992	5467.4	2998.6	2468.8	54.8	45.2	5216.0
1993	5345.8	2918.3	2427.5	54.6	45.4	5078.0
1994	4929.9	2678.7	2251.2	54.3	45.7	4625.0
1995	4794.2	2592.7	2201.5	54.1	45.9	4475.0
1996	4674.5	2516.0	2158.5	53.8	46.2	4342.0
1997	4558.4	2441.9	2116.5	53.6	46.4	4212.7
1998	4504.9	2401.8	2103.1	53.3	46.7	4152.0
1999	4469.8	2371.7	2098.1	53.1	46.9	4112.2
2000	4435.2	2342.0	2093.2	52.8	47.2	4072.7
2001	4401.4	2312.9	2088.5	52.6	47.4	4034.4
2002	4371.5	2284.8	2086.7	52.3	47.7	4001.0
2003	4342.6	2266.8	2075.8	52.2	47.8	3965.8
2004	4315.2	2252.5	2062.7	52.2	47.8	3930.9
2005	4321.5	2257.5	2064.0	52.2	47.8	3899.3
2006	4401.3	2310.4	2090.9	52.5	47.5	3869.2
2007	4394.7	2308.9	2085.8	52.5	47.5	3839.2

სდ – მუდმივი მოსახლეობა, შეფასება – ფაქტობრივი მოსახლეობა

წყარო: აქ და შემდგომში – სდ მასალები, აგრეთეე G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007.

ცხრილი 1.2. საქართველოს მოსახლეობა ასაკისა და სქესის მიხედვით (ათასი)

ასაკი	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები
სდ მონაცემებით									
	1959 15. 01.*			1989 12. 01.*			2007 01.01.		
-1	89.3	45.4	43.9	89.2	45.9	43.3	47.0	24.8	22.2
1-4	370.7	188.9	181.8	376.5	192.1	184.4	185.2	97.6	87.6
5-9	408.8	208.9	199.9	440.6	224.2	216.4	243.7	127.8	115.9
10-14	315.9	162.0	153.9	432.1	220.0	212.1	303.2	155.8	147.4
15-19	335.8	162.5	173.3	419.2	217.7	201.5	370.4	187.8	182.6
20-24	399.8	185.1	214.7	413.8	203.4	210.4	357.9	180.1	177.8
25-29	366.3	174.3	192.0	467.6	226.1	241.5	328.0	162.8	165.2
30-34	363.6	171.9	191.7	416.8	201.3	215.5	310.7	151.3	159.4
35-39	221.2	87.6	133.6	362.4	174.6	187.8	299.3	143.5	155.8
40-44	188.1	73.2	114.9	261.1	124.7	136.4	320.1	149.4	170.7
45-49	197.6	83.7	113.9	296.5	139.0	157.5	329.4	153.3	176.1
50-54	171.6	73.7	97.9	345.7	163.9	181.8	279.6	128.3	151.3
55-59	171.7	61.8	109.9	303.9	140.8	163.1	236.8	107.4	129.4
60-64	134.1	53.6	80.5	297.4	130.2	167.2	140.0	61.3	78.7
65-69	101.7	45.5	56.2	160.5	57.5	103.0	233.3	96.9	136.4
70-74	85.5	35.8	49.7	123.4	39.5	83.9	172.5	70.7	101.8
75-79	60.6	26.6	34.0	100.8	33.0	67.8	134.1	51.5	82.6
80-84	33.6	13.4	20.2	55.9	17.6	38.3	68.9	21.8	47.1
85+	28.4	11.6	16.8	37.4	10.5	26.9	34.6	7.4	27.2
ს უ ლ	4044.3	1865.5	2178.8	5400.8	2562.0	2838.8	4394.7	2079.5	2315.2
-15	1184.7	605.2	579.5	1338.4	682.2	656.2	779.1	406.0	373.1
15-64	2549.6	1127.3	1422.3	3584.4	1721.7	1862.7	2972.2	1425.2	1547.0
65+	310.0	133.0	177.0	478.0	158.1	319.9	643.4	248.3	395.1
შეფასებითი მონაცემებით									
	1960 01.01.			1989 01. 01.			2007 01.01		
-1	93.3	47.4	45.9	89.1	45.8	43.3	48.9	25.1	23.8
1-4	377.1	192.2	184.9	358.6	183.0	175.6	195.5	101.2	94.3
5-9	416.0	212.6	203.4	419.6	213.5	206.1	232.7	121.5	111.3
10-14	321.4	164.8	156.6	411.5	209.5	202.0	253.3	131.3	122.0
15-19	341.7	165.4	176.3	399.2	207.3	191.9	284.1	146.2	137.9
20-24	406.6	188.3	218.3	394.1	193.7	200.4	296.2	148.7	147.4
25-29	372.5	177.2	195.3	445.3	215.3	230.0	284.5	139.3	145.2
30-34	370.0	175.0	195.0	397.0	191.8	205.2	262.4	125.1	137.3
35-39	225.0	89.1	135.9	345.2	166.3	178.9	251.4	118.1	133.3
40-44	191.4	74.5	116.9	248.7	118.8	129.9	255.6	119.3	136.3
45-49	201.0	85.1	115.9	282.4	132.4	150.0	262.5	121.8	140.7
50-54	174.6	75.0	99.6	329.3	156.1	173.2	231.2	105.2	126.0
55-59	174.7	62.9	111.8	289.4	134.1	155.3	198.1	87.6	110.5
60-64	136.4	54.5	81.9	283.3	124.0	159.3	188.2	80.7	107.5
65-69	103.5	46.3	57.2	152.9	54.8	98.1	189.5	78.8	110.7
70-74	87.0	36.4	50.6	117.5	37.6	79.9	170.7	68.9	101.8
75-79	61.7	27.1	34.6	96.0	31.4	64.6	128.7	49.9	78.8
80-84	34.2	13.6	20.6	53.3	16.8	36.5	72.8	25.9	46.9
85+	28.9	11.8	17.1	35.6	10.0	25.6	32.9	10.0	22.9
ს უ ლ	4117.0	1899.2	2217.8	5148.0	2442.2	2705.8	3839.2	1804.6	2034.6
-15	1207.7	617.0	590.7	1278.8	651.8	627.0	730.4	379.0	351.4
15-64	2594.0	1147.0	1447.0	3413.9	1639.8	1774.1	2514.2	1192.1	1322.1
65+	315.3	135.2	180.1	455.3	150.6	304.7	594.6	233.5	361.1

* მოსახლეობის აღწერების მასალების მიხედვით. მუდმივი მოსახლეობა.

ცხრილი 1.3. საქართველოს მოსახლეობა ასაკისა და სქესის მიხედვით (%)

ასაკი	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები
სდ მონაცემებით									
	1959 15. 01.			1989 12. 01.			2007 01.01.		
-1	2.2	2.4	2.0	1.7	1.8	1.5	1.1	1.2	1.0
1-4	9.2	10.1	8.3	7.0	7.5	6.5	4.2	4.7	3.8
5-9	10.1	11.2	9.2	8.2	8.8	7.6	5.5	6.1	5.0
10-14	7.8	8.7	7.1	8.0	8.6	7.5	6.9	7.5	6.4
15-19	8.3	8.7	8.0	7.8	8.5	7.1	8.3	8.9	7.8
20-24	9.9	9.9	9.8	7.7	7.9	7.4	8.1	8.7	7.7
25-29	9.1	9.3	8.8	8.7	8.8	8.5	7.5	7.8	7.1
30-34	9.0	9.2	8.8	7.7	7.9	7.6	7.1	7.3	6.9
35-39	5.5	4.7	6.1	6.7	6.8	6.6	6.8	6.9	6.7
40-44	4.7	3.9	5.3	4.8	4.9	4.8	7.3	7.2	7.4
45-49	4.9	4.5	5.2	5.5	5.4	5.5	7.5	7.4	7.6
50-54	4.2	4.0	4.5	6.4	6.4	6.4	6.4	6.2	6.5
55-59	4.2	3.3	5.0	5.6	5.5	5.7	5.4	5.2	5.6
60-64	3.3	2.9	3.7	5.5	5.1	5.9	3.2	2.9	3.4
65-69	2.5	2.4	2.6	3.0	2.2	3.6	5.3	4.7	5.9
70-74	2.1	1.9	2.3	2.3	1.5	3.0	3.9	3.4	4.4
75-79	1.5	1.4	1.6	1.9	1.3	2.4	3.1	2.5	3.6
80-84	0.8	0.7	0.9	1.0	0.7	1.3	1.6	1.0	2.0
85+	0.7	0.6	0.8	0.7	0.4	0.9	0.8	0.4	1.2
ს უ ლ	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
-15	29.3	32.4	26.6	24.8	26.6	23.1	17.7	19.5	16.1
15-64	63.0	60.5	65.3	66.3	67.2	65.6	67.6	68.5	66.8
65+	7.7	7.1	8.1	8.9	6.2	11.3	14.7	12.0	17.1
შეფასებითი მონაცემებით									
	1960 01.01.			1989 01. 01.			2007 01.01.		
-1	2.3	2.5	2.1	1.7	1.9	1.6	1.3	1.4	1.2
1-4	9.2	10.1	8.3	7.0	7.5	6.5	5.1	5.6	4.6
5-9	10.2	11.4	9.2	8.1	8.7	7.6	6.1	6.7	5.5
10-14	7.8	8.7	7.1	8.0	8.6	7.5	6.5	7.3	6.0
15-19	8.3	8.7	7.9	7.8	8.5	7.2	7.4	8.1	6.8
20-24	9.9	9.9	9.8	7.7	7.9	7.4	7.7	8.2	7.2
25-29	9.0	9.3	8.8	8.6	8.8	8.5	7.4	7.7	7.1
30-34	9.0	9.2	8.8	7.7	7.9	7.6	6.8	6.9	6.6
35-39	5.5	4.7	6.1	6.7	6.8	6.6	6.5	6.5	6.5
40-44	4.6	3.9	5.3	4.8	4.9	4.8	6.7	6.6	6.7
45-49	4.9	4.5	5.2	5.5	5.4	5.5	6.8	6.7	6.9
50-54	4.2	3.9	4.5	6.4	6.4	6.4	6.0	5.8	6.2
55-59	4.2	3.3	5.0	5.6	5.5	5.7	5.2	4.9	5.4
60-64	3.3	2.9	3.7	5.5	5.1	5.9	4.9	4.5	5.3
65-69	2.5	2.4	2.6	3.0	2.2	3.6	4.9	4.4	5.4
70-74	2.1	1.9	2.3	2.3	1.5	3.0	4.4	3.8	5.0
75-79	1.5	1.4	1.6	1.9	1.3	2.4	3.4	2.8	3.9
80-84	0.8	0.7	0.9	1.0	0.7	1.3	1.9	1.4	2.3
85+	0.7	0.6	0.8	0.7	0.4	0.9	0.9	0.6	1.1
ს უ ლ	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
-15	29.5	32.7	26.7	24.8	26.7	23.2	19.0	21.0	17.3
15-64	62.9	60.3	65.1	66.3	67.1	65.6	65.5	66.0	65.0
65+	7.6	7.0	8.2	8.9	6.2	11.2	15.5	13.0	17.7

ცხრილი 1.4. შობადობა, მოკვდაობა და ბუნებრივი მატება საქართველოში 1960-2006 წწ.

წელი	ცოცხლად დაბადებულები				გარდაცვლილები				ბუნებრივი მატება			
	რაოდენობა		კოეფ. %		რაოდენობა		კოეფ. %		რაოდენობა		კოეფ. %	
	სდ	შეფასება	სდ	შეფასება	სდ	შეფასება	სდ	შეფასება	სდ	შეფასება	სდ	შეფასება
1960	102866		24.7	24.8	27015	39324	6.5	9.5	75851	63542	18.2	15.2
1961	104429		24.7	24.9	27621	39111	6.5	9.3	76808	65318	18.2	15.4
1962	101717		23.7	23.9	30394	41944	7.1	9.9	71323	59773	16.6	13.8
1963	100326		23.0	23.3	29620	39809	6.8	9.2	70706	60517	16.2	13.8
1964	97433		22.0	22.4	29708	38947	6.7	8.9	67725	58486	15.3	13.1
1965	94987		21.2	21.6	31291	40021	7.0	9.1	63696	54966	14.2	12.1
1966	92026		20.3	20.7	30389	38427	6.7	8.6	61637	53599	13.6	11.7
1967	89302		19.5	19.9	32904	41130	7.2	9.2	56398	48172	12.3	10.3
1968	89660		19.4	19.8	32416	40066	7.0	8.9	57244	49594	12.4	10.5
1969	87069		18.7	19.1	35169	42977	7.5	9.4	51900	44092	11.2	9.3
1970	90207		19.2	19.6	34283	41506	7.3	9.0	66924	48701	11.9	10.2
1971	90396		19.0	19.5	35325	42143	7.4	9.1	55071	48253	11.6	9.9
1972	86402		18.0	18.5	36409	42853	7.6	9.2	49993	43549	10.4	8.8
1973	88577		18.3	18.8	35911	41657	7.4	8.9	52666	46920	10.9	9.4
1974	89761		18.4	18.9	37145	42494	7.6	9.0	52616	47267	10.8	9.4
1975	89712		18.3	18.8	39292	44361	8.0	9.3	50420	45351	10.3	9.0
1976	90605		18.3	18.9	38875	43268	7.9	9.0	51730	47337	10.5	9.3
1977	89028		17.9	18.5	40139	44113	8.1	9.1	48889	44915	9.8	8.8
1978	88766		17.8	18.4	40239	43659	8.0	9.0	48527	45107	9.7	8.8
1979	89803		17.8	18.5	41907	44893	8.3	9.2	47896	44910	9.5	8.6
1980	89458		17.6	18.3	43346	46163	8.5	9.4	46112	43295	9.1	8.2
1981	92501		18.1	18.8	43961	46511	8.6	9.4	48540	45990	9.5	8.7
1982	91784		17.8	18.5	42734	44956	8.3	9.1	49050	46828	9.5	8.7
1983	92660		17.8	18.6	43301	45250	8.3	9.1	49359	47410	9.5	8.7
1984	95841		18.3	19.1	45787	47527	8.7	9.5	50054	48314	9.5	8.8
1985	97739		18.5	19.4	46153	47630	8.7	9.4	51586	50109	9.8	9.1
1986	98155		18.4	19.3	46354	47559	8.7	9.4	51801	50596	9.7	9.0
1987	94595		17.6	18.5	46332	47235	8.6	9.2	48263	47360	9.0	8.4
1988	91905		17.0	17.9	47544	48176	8.8	9.4	44361	43729	8.2	7.6
1989	91138		16.8	17.7	49682	47468	9.2	9.2	41456	43670	7.6	7.6
1990	92815		17.1	17.9	50721	48983	9.3	9.4	42094	43832	7.8	8.5
1991	89091		16.3	17.1	52416	51561	9.6	9.9	36675	37530	6.7	7.2
1992	72631		13.4	14.1	55076	54370	10.2	10.6	17555	18261	3.2	3.5
1993	61594		12.0	12.7	57539	57393	11.2	11.8	4055	4201	0.8	0.9
1994	57311		11.8	12.6	50326	50365	10.4	11.1	6985	6946	1.4	1.5
1995	56341		11.9	12.8	49073	49930	10.4	11.3	7268	6411	1.5	1.5
1996	55000	55000	11.9	12.9	47961	49291	10.4	11.5	7039	5709	1.5	1.4
1997	54000	54000	11.9	12.9	47575	49511	10.5	11.8	6425	4489	1.4	1.1
1998	51526	52000	11.5	12.6	47321	49475	10.5	12.0	4205	2525	1.0	0.6
1999	48695	49500	10.9	12.1	47184	49510	10.6	12.1	1511	-10	0.3	0.0
2000	48800	50000	11.0	12.3	47410	49695	10.7	12.3	1390	305	0.3	0.0
2001	47589	50000	10.8	12.4	46218	48213	10.5	12.0	1371	1787	0.3	0.4
2002	46605	49000	10.7	12.3	46446	48257	10.7	12.1	159	743	0.0	0.2
2003	46194	49000	10.7	12.4	46055	48364	10.6	12.3	139	636	0.1	0.1
2004	49572	52000	11.5	13.3	48793	51665	11.3	13.2	779	335	0.2	0.1
2005	46512	50000	10.7	12.9	42284	50260	9.9	12.9	3528	-260	0.8	-0.1
2006	47795	50000	10.9	13.0	42255	48745	9.6	12.7	5540	1255	1.3	0.3

ცხრილი 1.5. ქორწინება და განქორწინება საქართველოში 1960-2006 წწ.

წელი	ქორწინება			განქორწინება		
	რაოდენობა სდ	კოეფიციენტი (%)		რაოდენობა სდ	კოეფიციენტი (%)	
		სდ	შეფასება		სდ	შეფასება
1960	44075	10.6	10.6	1470	0.4	0.4
1961	41705	9.9	9.9	1735	0.4	0.4
1962	40384	9.4	9.5	1910	0.4	0.4
1963	39622	9.1	9.2	1915	0.4	0.4
1964	38749	8.8	8.9	1932	0.4	0.4
1965	38930	8.7	8.8	2221	0.5	0.5
1966	40303	8.9	9.1	4396	1.0	1.0
1967	38227	8.4	8.5	4405	1.0	1.0
1968	36929	8.0	8.2	4510	1.0	1.0
1969	35666	7.6	7.8	4661	1.0	1.0
1970	36518	7.8	7.9	4943	1.0	1.1
1971	37011	7.8	8.0	4833	1.0	1.0
1972	36111	7.5	7.7	4692	1.0	1.0
1973	39826	8.2	8.5	5169	1.1	1.1
1974	41814	8.6	8.8	5258	1.1	1.1
1975	42183	8.6	8.8	5501	1.1	1.2
1976	43813	8.9	9.1	6172	1.2	1.3
1977	44301	8.9	9.2	6305	1.3	1.3
1978	46773	9.4	9.7	6621	1.3	1.4
1979	52524	10.4	10.8	6592	1.3	1.4
1980	50547	10.0	10.3	6788	1.3	1.4
1981	48100	9.4	9.8	7023	1.4	1.4
1982	49688	9.6	10.0	7114	1.4	1.4
1983	45559	8.8	9.1	7315	1.4	1.5
1984	41775	8.0	8.3	7117	1.4	1.4
1985	44168	8.4	8.7	6514	1.2	1.3
1986	44485	8.3	8.8	6667	1.3	1.3
1987	39157	7.3	7.7	6766	1.3	1.3
1988	38100	7.0	7.4	7082	1.3	1.4
1989	38288	7.1	7.4	7358	1.4	1.4
1990	36812	6.7	7.1	7796	1.4	1.5
1991	38070	7.0	7.3	7440	1.4	1.4
1992	26878	5.0	5.2	4890	0.9	1.0
1993	24105	4.7	5.0	3211	0.6	0.7
1994	21908	4.5	4.8	3089	0.6	0.7
1995	21481	4.5	4.9	2685	0.6	0.6
1996	19253	4.2	4.5	2269	0.5	0.5
1997	17099	3.8	4.1	2267	0.5	0.5
1998	15343	3.4	3.7	1758	0.4	0.4
1999	13845	3.1	3.4	1622	0.4	0.4
2000	12870	2.9	3.2	1854	0.4	0.5
2001	13336	3.0	3.3	1987	0.5	0.5
2002	12535	2.9	3.1	1836	0.4	0.5
2003	12696	2.9	3.2	1825	0.4	0.5
2004	14866	3.5	3.8	1793	0.4	0.5
2005	18012	4.1	4.6	1928	0.4	0.5
2006	21845	5.0	5.7	2060	0.5	0.5

ცხრილი 1.6. ცოცხლად დაბადებულები დედის ასაკის მიხედვით საქართველოში 1960-2006 წწ.

წელი	სულ	დედის ასაკი წლებში								უცნობია
		-20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50+	
სდ მონაცემებით										
1960	102866	3663	31575	31549	23702	8565	2585	622	605	
1965	94987	4656	21863	33992	19608	11760	2462	457	189	
1970	90207	7027	30420	21622	20500	7869	2407	304	58	
1975	89712	8331	36126	23857	10746	8336	1996	310	10	
1980	89458	10623	40469	23869	9957	2830	1452	137	121	
1981	92501	9194	42175	25683	10958	2910	1385	159	37	
1982	91784	10038	42239	24676	10696	2833	1162	140	-	
1983	92660	10042	42205	24906	11224	3269	888	126	-	
1984	95841	9830	42992	26153	12158	3804	752	152	-	
1985	97839	10009	42629	27730	12352	4272	635	212	-	
1986	98155	17338	33402	29052	12995	4554	692	122	-	
1987	94595	17089	31640	28040	12371	4439	887	110	19	
1988	91905	10966	36791	27020	12023	4217	758	87	43	
1989	91138	11760	35297	26504	12404	4295	812	66*		
1990	92815	11906	35271	26228	13712	4734	920	44*		
1991	89091	12022	34953	23558	12931	4655	949	23*		
1992	72631	10487	30200	17503	10198	3500	717	26*		
1993	61594	11216	24174	14305	8324	2888	639	48*		
1994	57311	12597	21155	12810	7444	2612	624	69*		
1995	56341	11893	20578	12691	7474	2928	676	101*		
1996	55000	10862	19903	12715	7591	3153	649	127*		
1997	54000	9920	19223	12743	7465	3343	857	449*		
1998	51526	9212	18609	12287	6939	3256	768	455*		
1999	48695	8313	17552	11751	6861	3281	806	131*		
2000	48800	7124	18394	12100	6868	3305	868	141*		
2001	47589	5784	18571	11379	7073	3610	955	217*		
2002	46605	5833	17945	10077	7834	3541	1150	225*		
2003	46194	5907	16463	12449	7269	3040	929	47	14	76
2004	49572	6187	18179	13196	7316	3277	971	130	29	287
2005	46512	6903	16703	12110	6896	2870	752	278		
2006	47795	6633	17665	12410	6831	2929	791	87	34	415
შეფასება										
1996	55000	10862	19925	12715	7591	3153	649	105*		
1997	54000	9920	19223	12743	7465	3343	857	449*		
1998	52000	9296	18780	12400	7003	3286	775	460*		
1999	49500	8415	17830	11930	7029	3317	842	137*		
2000	50000	7300	18820	12450	7000	3400	900	130*		
2001	50000	6062	19489	11974	7415	3808	1002	250*		
2002	49000	6133	18866	10595	8237	3723	1210	236*		
2003	49000	6266	17502	13230	7742	3225	985	50*		
2004	52000	6525	19172	13917	7717	3458	1024	187*		
2005	50000	7421	17924	13050	7413	3085	808	299*		
2006	50000	7000	18686	13150	7146	3064	827	127*		

*45+

ცხრილი 1.7. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები და მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები

წელი	სულ (15-49)	დედის ასაკი წლებში							შობადობის წამობრივი კოეფიციენტი	აღწარმოების კოეფიციენტი	
		-20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+		ბრუტო	ნეტო
სდ მონაცემებით											
1958-1959	85.0	22.2	124.3	172.0	112.2	58.7	21.5	6.4	2.59	1.237	1.146
1961-1962	89.9	24.5	150.5	163.0	113.0	55.2	18.3	4.5	2.65	1.287	1.194
1963-1964	84.6	23.2	158.5	161.4	106.1	53.0	17.5	3.9	2.62	1.267	1.176
1965-1966	78.2	28.2	163.7	154.1	99.8	54.1	15.6	3.7	2.60	1.249	1.183
1967-1968	72.9	31.1	167.9	145.7	98.5	46.0	14.4	3.2	2.53	1.228	1.170
1969-1970	73.3	34.3	182.9	147.2	97.5	46.3	12.6	2.4	2.62	1.292	1.233
1971-1972	70.8	33.7	183.5	155.7	90.7	44.4	12.0	2.2	2.61	1.277	1.215
1973-1974	69.4	33.4	192.0	157.6	78.4	41.5	10.8	1.7	2.58	1.269	1.206
1975-1976	68.9	36.3	179.4	156.3	82.5	35.9	11.0	1.8	2.52	1.239	1.179
1977-1978	68.0	37.4	178.1	140.7	71.3	27.3	9.5	1.2	2.33	1.144	1.091
1979-1980	68.5	47.8	181.1	121.9	66.3	24.0	7.6	1.4	2.26	1.102	1.052
1981	69.9	39.7	189.2	126.6	63.1	24.0	6.6	1.0	2.25	}	1.100
1982	69.0	44.6	186.0	118.8	58.9	23.7	5.9	0.8	2.19		
1983	69.4	46.1	182.6	117.6	60.1	25.2	5.0	0.7	2.19	}	1.109
1984	71.5	46.7	184.2	120.9	63.9	26.1	4.9	0.8	2.24		
1985	72.6	49.1	183.7	124.9	63.0	26.0	4.8	1.1	2.26	}	1.149
1986	72.7	49.1	180.0	127.4	64.6	26.4	5.8	0.6	2.27		
1987	70.0	49.2	176.4	119.6	60.0	24.6	7.6	0.6	2.19	1.117	1.078
1988	68.0	54.5	172.4	112.5	56.8	22.7	5.9	0.5	2.13	1.094	1.058
1989	67.2	58.0	167.7	110.4	57.7	22.7	5.8	0.4	2.113	1.026	0.993
1990	67.8	58.1	167.3	110.5	64.1	24.7	6.2	0.3	2.155	1.046	1.015
1991	64.5	58.0	165.6	100.4	60.7	23.9	6.1	0.1	2.075	1.005	0.976
1992	52.8	50.7	144.7	76.5	48.7	17.9	4.5	0.2	1.716	0.835	0.812
1993	47.4	56.6	122.0	66.7	42.2	15.4	4.2	0.3	1.537	0.741	0.714
1994	46.4	66.6	113.1	64.2	40.2	14.6	4.2	0.5	1.517	0.724	0.698
1995	46.0	64.2	113.3	66.4	41.9	16.6	4.2	0.7	1.537	0.733	0.708
1996	45.8	59.7	112.8	69.5	44.1	18.2	4.0	0.8	1.545	0.737	0.713
1997	45.6	55.2	111.3	72.2	44.6	19.4	5.2	3.0	1.555	0.742	0.720
1998	43.8	51.4	109.1	71.6	42.3	18.9	4.6	3.0	1.505	0.718	0.698
1999	41.5	46.5	104.0	70.3	42.5	19.0	4.7	0.9	1.439	0.687	0.669
2000	41.7	39.9	110.2	74.4	43.3	19.2	4.9	0.9	1.464	0.699	0.680
2001	40.9	32.5	112.2	71.1	45.2	21.0	5.4	1.4	1.444	0.689	0.669
2002	40.3	32.7	107.8	63.2	50.4	21.2	6.6	1.4	1.417	0.684	0.666
2003	40.0	33.2	99.4	78.8	46.8	19.0	5.2	0.5	1.414	0.665	0.645
2004	42.8	35.1	109.3	83.3	47.2	21.1	5.4	1.0	1.512	0.718	0.695
2005	39.6	38.5	97.2	75.2	44.0	18.6	4.2	0.5	1.391	0.654	0.634
2006	40.2	36.7	100.7	76.0	43.3	18.9	4.6	0.7	1.405	0.663	0.648
შეფასება											
1989	70.9	61.4	179.7	115.2	59.8	23.7	5.9	0.5	2.231	1.083	1.052
1990	71.9	62.2	182.5	115.1	65.8	25.5	6.2	0.3	2.288	1.111	1.080
1991	68.6	62.5	179.8	105.6	62.9	24.7	6.2	0.2	2.210	1.071	1.039
1992	56.4	55.0	156.7	81.4	51.0	18.5	4.6	0.2	1.837	0.894	0.867
1993	50.5	62.2	132.5	72.4	44.9	15.9	4.2	0.3	1.662	0.801	0.777
1994	49.9	74.4	123.2	71.0	43.5	15.1	4.2	0.5	1.660	0.797	0.773
1995	50.5	72.4	123.4	74.8	46.0	17.3	4.6	0.7	1.696	0.814	0.790
1996	50.7	68.1	122.9	79.5	49.0	18.9	4.4	0.8	1.718	0.825	0.800
1997	50.7	63.5	120.9	84.0	50.2	20.2	5.8	3.3	1.740	0.835	0.810
1998	49.3	60.1	119.3	84.0	48.1	20.0	5.2	3.4	1.701	0.816	0.792
1999	47.3	54.6	114.8	81.0	48.7	20.7	5.7	1.0	1.632	0.783	0.760
2000	48.2	47.4	123.2	84.5	49.0	22.1	6.0	1.0	1.666	0.800	0.777
2001	48.6	39.6	129.2	81.4	52.2	25.5	6.7	1.0	1.678	0.805	0.784
2002	48.0	40.5	125.5	72.2	58.3	25.6	8.2	1.7	1.661	0.797	0.775
2003	48.3	42.0	116.0	90.2	55.3	22.6	6.8	0.4	1.666	0.800	0.777
2004	51.6	44.6	126.8	94.7	55.7	24.8	7.1	1.3	1.775	0.860	0.834
2005	50.1	51.7	119.3	89.1	53.8	22.6	5.7	2.1	1.722	0.837	0.809
2006	50.8	50.0	125.9	90.3	52.1	22.8	6.0	0.9	1.740	0.846	0.819

ცხრილი 1.8. ცოცხლად დაბადებულები საქართველოში დაბადების რიგითობის მიხედვით (სდ მონაცემებით)

წელი	დაბადების რიგითობა					სულ
	I	II	III	IV	V+	
რაოდენობა						
1960	35672	29632	17693	9327	10536	102860
1665	29928	28166	18251	9182	9459	94986
1970	33060	28029	15087	7200	6830	90206
1975	39838	28725	13419	4677	3053	89712
1980	43442	29538	10822	3441	2215	89458
1985	41868	34625	15116	3975	2155	97739
1990	41338	31582	14477	3639	1779	92815
1995	30012	18352	5642	1621	714	56341
2000	25327	16250	5270	1318	635	48800
2001	25460	15086	5187	1285	571	47589
2002	24952	14878	5060	1146	569	46605
2003	28875	11752	3929	1025	613	46194
2004	28100	15771	4209	1037	455	49572
2005	27356	13743	4043	942	428	46512
2006	28935	13371	4107	938	444	47795
%						
1960	34.7	28.8	17.2	9.1	10.2	100.0
1665	31.5	29.7	19.2	9.7	10.0	100.0
1970	36.6	31.1	16.7	8.0	7.6	100.0
1975	44.4	32.0	15.0	5.2	3.4	100.0
1980	48.6	33.0	12.1	3.8	2.5	100.0
1985	42.8	35.4	15.5	4.1	2.2	100.0
1990	44.5	34.0	15.6	3.9	1.9	100.0
1995	53.3	32.6	10.0	2.9	1.3	100.0
2000	51.9	33.3	10.8	2.7	1.3	100.0
2001	53.5	31.7	10.9	2.7	1.2	100.0
2002	53.5	31.9	10.9	2.5	1.2	100.0
2003	62.5	25.5	8.5	2.2	1.3	100.0
2004	56.7	31.8	8.5	2.1	0.9	100.0
2005	58.8	29.6	8.7	2.0	0.9	100.0
2006	60.5	28.0	8.6	2.0	0.9	100.0

ცხრილი 1.9. რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა საქართველოში (სდ მონაცემებით)

წელი	სულ დაიბადა	ქორწინებაში დაბადებულები	ქორწინების გარეშე დაბადებულები	მათ შორის:		უცნობია
